საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
სამეცნიერო-ათეისტური მუშაობის კომისია

ს. სახაროვი

ზოგიერთი ქრისტიანული დღესასწაულის წარმოშობისა და იდეოლოგიური არსის შესახებ

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1971

შრომაში განხილულია ზოგიერთი ქრისტიანული დღესასწაულისა და კულტის წარმოშობის საკითხი. ნაჩვენებია რელიგიურ-მითოლოგიური წანამძღვრები, რასაც ეყრდნობიან ქრისტიანული თეოლოგები თავიანთი დოგმატიკური თვალსაზრისების შემუშავებისათვის. გამახვილებულია ყურადღება იმაზე, თუ საერთოდ რა პოლიტიკურ-იდეოლოგიური და მატერიალური ხასიათის ზიანი მოაქვს მშრომელთა მასებისათვის ყოველგვარ რელიგიურ, კერძოდ ქრისტიანულ-რელიგიურ გადმონაშთებს. შრომა გათვალისწინებულია ათეიზმის ლექტორ-პროპაგანდისტების, რელიგიისა და ათეიზმის საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

1—5—9

შესავალი

მას შემდეგ, რაც რელიგია წარმოიშვა, ურთიერთგანსხვავებული სარწმუნოების მიმდევარ ხალხთა შორის სხვადასხვაგვარი დღესასწაულები ჩამოყალიბდა. ასევე განსხვავდება ერთმანეთისაგან თანამედროვე გაბატონებული რელიგიების დღესასწაულები და ტრადიციები. ეს გარემოება მსოფლიოს ხალხთა მატერიალური და სულიერი ცხოვრების განვითარების თავისებურებებით, მათი ისტორიით აიხსნება.

ასეთივე მიზეზებით აიხსნება ის გარემოება, რომ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან უკვე დიდი ხანია უკუგდებული და სრულიად დავიწყებულია ბევრი რელიგია, თავისი შესაბამისი დღესასწაულებით, საკუთარი ღმერთებითა და წმინდანებით.

ამავე ისტორიული კანონზომიერების გამო დღესასწაულთა და ტრადიციების სიმტკიცით არც თანამედროვე მსოფლიო რელიგიები გამოირჩევა. მათ მრავალგვარი ცვლილება განიცადეს და საბოლოოდ დასაღუპავად არიან განწირულნი. „ცხადია, — წერდა მარქსი, — რომ საზოგადოებრივი წესების ყოველი დიდი ისტორიული გადატრიალებით გადატრიალება თვით ადამიანთა შეხედულებებსა და წარმოდგენებში ხდება, მაშასადამე, მათ რელიგიურ წარმოდგენებშიაც...“[1] ამგვარად, როგორც არ არსებობს უცვლელი რელიგიები, ასევე არც მათთან დაკავშირებული ტრადიციებია.

თანამედროვე დიდი ისტორიული გადატრიალებანი, რაც სოციალურ რევოლუციებში გამოიხატება, ყველა პირობას ქმნის რელიგიების საბოლოოდ დაძლევისათვის, იგი შეუძლებელს ხდის, აგრეთვე. რელიგიის რომელიმე ახალი ფორმის წარმოქმნისათვისაც. „თანამედროვე გადატრიალება წარსულთაგან — წერდა მარქსი-სწორედ იმით განსხვავდება, რომ ბოლოსდაბოლოს ადამიანებმა გამოიცნეს ისტორიულ გადატრიალებათა ამ პროცესის საიდუმლოებანი და ამიტომ იმათ იმის ნაცვლად, რომ ეს პრაქტიკული „გარეგნული“ პროცესი

[1] К. Маркс и Фр. Энгельс, Соч. т. 7, стр. 211.

კვლავ გააღმერთონ მაღალფარდოვან-ტრანსცენდენტური ახალი რელიგიის ფორმაში, უკუაგდებს ყოველგვარ რელიგიას"[2].

სსრ კავშირის ხალხთა ისტორიული გამოცდილება ამ წინასწარხედვის ბრწყინვალე, დოკუმენტური დადასტურებაც არის. ჩვენში განუხრელად ხორციელდება მილიონობით ადამიანთა მიერ რელიგიური ცრურწმენების უკუგდება. მეცნიერული ათეიზმი უფრო და უფრო მასობრივ გავრცელებას პოულობს. ასეთია რელიგიის ბედი თვით მსოფლიო მასშტაბითაც იმ ისტორიული აუცილებლობის გამო. რომ კაპიტალიზმს თავისი კოლონიალური სისტემით, რომელიც რელიგიის ბატონობის უკანასკნელ თავშესაფარს წარმოადგენს, გარდუვალი დამხობა მოელის.

ყოველ რელიგიურ დღესასწაულს თავისი საკუთარი წეს-ჩვეულებები. რიტუალები, ცერემონიები ახასიათებს. მათ გარეშე არ არსებობს ასეთი დღესასწაული. ამასთანავე არსებობს აგრეთვე ურელიგიო დღესასწაულები, წესები და ცერემონიები, ე. ი. ისეთი საერთო და ადგილობრივი (ან საოჯახო მასშტაბის) საყოფაცხოვრებო ხასიათის ღირსშესანიშნავი დღეები, თარიღები წეს-ჩვევები, რომლებიც რელიგიასთან არ არის დაკავშირებული, ამიტომ დღესასწაულები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1. რელიგიურად და 2. ურელიგიოდ, სახალხოდ.

სიტყვა „დღესასწაული" მიუთითებს იმაზე, რომ იგი არაა ჩვეულებრივი, სამუშაო დღე. „საღვთო გადმოცემის" მიხედვით ასეთ „დღეს" ოდესღაც თითქოს ესა თუ ის „სასწაული", არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა მოხდა. ქართული გამოთქმა „დღესასწაული" ზედმიწევნით მიუთითებს მისი შინაარსის რელიგიურ ხასიათზე. საბა-სულხან ორბელიანის განმარტებით: „დღესასწაული ესე არს დღე დიდებული და წმინდა, რომელსა შინა თანაგუაც სხვათა საქმეთა დატევება და მოცლა ვედრებად ღუთისა"[3].

ზემოაღნიშნულის მიხედვით „დღესასწაულის" დღე გამოირჩევა როგორც ჩვეულებრივი, ისე „კვირა" დღეებისაგანაც კი. „დღესასწაულები", ბიბლიის გადმოცემით, ხალხთა ყოფაცხოვრებაში თვით ღმერთის შთაგონებით არის დამკვიდრებული. ყურანის მიხედვითაც მუსულმანური რელიგიური დღესასწაულები თვით ალაჰის მიერ არის ნაბოძები და ა. შ. „დღესასწაულების" წარმოშობის ასეთი კონცეფცია საერთოა ყველა მიმართულების რელიგიებისათვის.

---

[2] К. Маркс и Фр. Энгельс, Соч., т. 7, стр. 211.

[3] ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან 1928, გვ. 103.

რელიგიური დღესასწაულები თავისი უმარტივესი, პრიმიტიული ფორმებით პირველყოფილი საზოგადოების განვითარების მხოლოდ გარკვეულ პერიოდში წარმოიშვა. უძველესი რელიგიური წეს-ჩვეულებები სხვადასხვა სახის მაგიურ მოქმედებაში ვლინდებოდა. მაგიები, უმთავრესად საჯაროდ და საზეიმო ვითარებაში სრულდებოდა. პირველყოფილი ადამიანები ასეთი მოქმედებით. ცხადია, სასურველი შედეგების მიღებას მოელოდნენ. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მაგიის შესრულებით უხილავი ძალების, კეთილი თუ ავი სულების, გულს მოიგებდნენ.

კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის შედეგად პირველყოფილი რელიგიური რწმენები თანდათანობით ახალი წარმოდგენებით და კულტით შეიცვალა. თაყვანისცემის უმთავრეს ობიექტებად ანტროპომორფული ანუ ადამიანის მსგავს არსებებად განსახიერებული ზებუნებრივი ძალები (ღმერთები, ანგელოზები, წმინდანები) გახდნენ. ამიერიდან რელიგიური დღესასწაულებიც სწორედ ამ ძალების პატივსაცემად, მათი გულის მოსაგებად იმართებოდა. ძველი ეგვიპტის, ბაბილონის, საბერძნეთისა და რომის რელიგიები ხასიათდებოდა დღესასწაულთა დიდი რაოდენობით, რომლებიც გამოირჩეოდნენ ბრწყინვალე და მდიდრული თეატრალური სანახაობით. ხელოვნება აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

დღესასწაულთა პრაქტიკის კიდევ უფრო მეტი მასშტაბით გავრცელება დაკავშირებულია მონოთეისტური რელიგიების წარმოშობასთან. ძველ ღვთაებათა (მიტრა, ოზირისი, ზევსი, აპოლონი და სხვ.) ადგილს მონოთეისტურ რელიგიაში ახალი ღმერთები, წინასწარმეტყველები და წმინდანები (იეღოვა, ბუდა, იესო ქრისტე, ალაჰი, მოსე, მუჰამედი და ა. შ.) იკავებენ. ამიტომ ძველი, დამარცხებული ღმერთების თუ წმინდანების სახელთან დაკავშირებული დღესასწაულები თანდათანობით ყველგან ახლით შეიცვალნენ.

ძველი რომის იმპერიის გამოცდილება წარმოადგენს იმის თვალსაჩინო მაგალითს, რომ რელიგიისა და 'რელიგიური ტრადიციების დარგში მიმდინარე ცვლილებები მთლიანად დაკავშირებულია საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების პირობათა ცვლილებებთან. ეს არის ისტორიული აუცილებლობა ყოველგვარი იდეოლოგიის განვითარებისა, მათ შორის რელიგიების მიმართაც.

„ხალხთა პოლიტიკურ და სოციალურ თავისებურებებთან ერთად, — წერდა ფ. ენგელსი, — რომის იმპერიამ დასაღუპავად გასწირა აგრეთვე მათი განსაკუთრებული რელიგიები. ყველა უძველესი რელიგია იყო პირველყოფილი სატომო რელიგია, ხოლო უფრო

გვიან ეროვნული რელიგია, რომელიც თითოეული ხალხის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პირობებიდან იყო აღმოცენებული და ძვიდროდ იყო მასთან შეზრდილი. რადგან დაინგრა მათი ეს საფუძველი, დაიმსხვრა მემკვიდრეობით მიღებული საზოგადოებრივი ფორმები, ძველთაძველი პოლიტიკური წყობილება და ეროვნული დამოუკიდებლობა, თავისთავად ცხადია იმსხვრეოდა აგრეთვე მასთან დაკავშირებული რელიგიაც... აღმოსავლური რელიგიური კულტის დანგრევამ რომში მხოლოდ ზიანი მიაყენა რომის სარწმუნოებას, მაგრამ აღმოსავლურ რელიგიათა დაცემის შეჩერება მას აღარ შეეძლო"[4]. აღმოსავლური ანუ ძველი ქვეყნების რელიგიების დაცემით, ადრე თუ გვიან, მათი დღესასწაულებიც წარსულს ჩაბარდა. იგივე ხვედრი მოელით თანამედროვე მსოფლიო რელიგიებსაც, მათ შორის ქრისტიანობასა და მის შესაბამის საკულტო ტრადიციებსა და დღესასწაულებს.

I. ქრისტიანული დღესასწაულების წარმოშობა

ქრისტიანობას დაახლოებით ორი ათასი წლის არსებობის ისტორია აქვს. ამ ხნის განმავლობაში ქრისტიანულმა ეკლესიამ დღესასწაულების მთელი სისტემა შექმნა და ხალხთა ყოფაცხოვრებაში დანერგა.

ქრისტიანულმა ეკლესიამ, რელიგიური იდეების უფრო ფართოდ გავრცელებისა და თავის წიაღში არაქრისტიანთა მოზიდვის მიზნით, ხელაღებით როდი უკუაგდო ძველი აღმოსავლური რელიგიების ტრადიციები. მან მათგან ბევრი რამ ისესხა, აიღო, გადაამუშავა ისინი და შექმნა საკუთარი კულტის რთული სისტემა, ახალი დღესასწაულები, წესები, ცერემონიები, რიტუალები. ცხადია, იდეოლოგიური მნიშვნელობის ამ ღონისძიებებსა და ყოფაცხოვრებაში მათ დანერგვაში ქრისტიანულ ეკლესიას აქტიურ დახმარებას უწევდა გაბატონებული კლასების ხელისუფალნი — მეფე-იმპერატორები, ფეოდალები და ა. შ. თამანედროვე სამყაროში ხუცობასთან ერთად რელიგიის დამცველის როლში გამოდიან კაპიტალისტური ქვეყნების მმართველი ძალები. მათ რელიგიის ბატონობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების შედეგად სავსებით შეგნებული აქვთ, რომ სარწმუნოებრივი კულტის მთელი სისტემის განუხრელი დაცვით, პირდაპირ თუ არა პირდაპირ, ისინი თავიანთ არსებობასა და ბატონობას ამტკიცებენ.

---

[4] ფრ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, 1955, გვ. 12-13.

ქრისტიანული დღესასწაულები იყოფა ორ ჯგუფად. საერთო მნიშვნელობის დღესასწაულების აღნიშვნა (მაგალითად, შობა, ნათლისღება, აღდგომა და ა. შ.) ქრისტიანობის ყველა მიმართულებისათვის მტკიცე ვალდებულებას შეადგენს.

ადგილობრივი მნიშვნელობის დღესასწაულები (ზოგან მათ საკაძრო დღესასწაულსაც უწოდებენ) უმთავრესად ამა თუ იმ „წმინდანის" ან მის სახელზე აგებული ტაძრების, ეკლესიების ან „ხატის" პატივსაცემად იმართება. ადგილობრივ დღესასწაულებს ყველგან არ მართავენ, არამედ გარკვეულ ადგილებში. ზოგჯერ ასეთი დღესასწაულები ერთი ან რამდენიმე სოფლის ფარგლებსაც კი არ სცილდება. მაგრამ ზოგიერთ ადგილობრივ დღესასწაულზე სალოცავად მორწმუნენი შორეული ადგილებიდანაც მოდიან. საქართველოში ადგილობრივი დღესასწაულების ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ: „გიორგობა", „მარიამობა" „ნინოობა", „თელეთობა", „მცხეთობა" და ა. შ.

ადრინდელი (I—II საუკუნის)ქრისტიანებისათვის რელიგიური დღესასწაულები არ წარმოადგენდა განსაკუთრებული ყურადღების საგანს, მათ საკუთარი დღესასწაულები არც კი გააჩნდათ. მას შემდეგ. რაც ქრისტიანული ეკლესიის მოღვაწეებმა დაინახეს, რომ სხვა რელიგიებზე გამარჯვებისა და ქრისტიანობის წარმატებისათვის საკუთარი დღესასწაულების შექმნა იყო აუცილებელი, მათ ამ მიმართულებითაც დიდი მუშაობა გასწიეს. ცხადია, თავდაპირველად ასეთი მოღვაწეობა თვით რომის იმპერიაში — ქრისტიანობის სამშობლოში გაჩაღდა.

გამარჯვების გზაზედ დამდგარმა ქრისტიანულმა ეკლესიამ ძველი, პოლითეისტური რელიგიების ღმერთების ადგილას, უწინარეს ყოვლისა, ერთიანი და სამპიროვანი ღმერთის კულტი წამოაყენა. ამასთან დაკავშირებით ახალი დღესასწაულები (შობა, აღდგომა და ა. შ.) შემოიღო. ამას მოჰყვა ქრისტიანულ „წმინდანთა" კულტის შექმნაც.

ქრისტიანულმა ეკლესიამ, წერდა ენგელსი,"... უამრავი იუდაური ღმერთი შესცვალა შინაგანად დიფერენცირებული, მისტიკური სამპიროვანი ღვთაებით, ხალხთა მასებში ძველი ღმერთების კულტის აღმოფხვრა მხოლოდ წმინდანთა კულტის საშუალებით შესძლო"[5].

აღსანიშნავია, რომ ახალი დღესასწაულების შემოღება-დანერგვა არცთუ ადვილი საქმე აღმოჩნდა. მაგალითად, თვით რომის სამყარო-

---

5 ფრ. ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, 1958, გვ. 35.

ში ქრისტეს შობის დღესასწაული პირველად 354 წ. დეკემბერში იდ-ღესასწაულეს. ამ აქტით ოფიციალურად გაუქმდა მითრას (სპარსულ-ი ღვთაების) „შობის“ დღესასწაული, რაც ყოველწლიურად 25 დეკემბერს იმართებოდა. ასევე რთული დასაძლევი აღმოჩნდა ქრისტიანობამდელი წმინდანების კულტიც. ფრ. ენგელსი ამ გარემოების ნათელსაყოფად ერთ-ერთი გერმანელი ისტორიკოსის (ვ. ი. ფალმეირის 1790—1861) შრომაზე მიუთითებს, სადაც აღნიშნულია, რომ პელეპონესში, მაინსა და არკადიაში იუპიტერის კულტის სავსებით გაქრობის პროცესმა დაახლოებით IX საუკუნემდე გასტანა[6].

ამგვარად, ქრისტიანულმა ეკლესიამ იმთავითვე იზრუნა იმისათვის, რომ ქრისტიანობის განმტკიცებისათვის ახალი დღესასწაულები შემოეღო. ქრისტიანული დღესასწაულების იდეოლოგიური დანიშნულების შესახებ „საღვთო სჯულის“ სახელმძღვანელოებში ნათქვამია: „დღესასწაულებად იწოდებიან დღეები, როდესაც წმინდა ეკლესია გაიხსენებს განსაკუთრებით საყურადღებო შემთხვევას მაცხოვრის, ღვთისმშობლისა და წმინდანთა ამქვეყნიური ცხოვრებიდან. ყველა დღესასწაულზე უწარჩინებულეს არის პასექის დღესასწაული — ქრისტეს აღდგომის დღე“[7].

ამგვარად, ქრისტიანობისათვის „დღესასწაულებად“ ისეთი დღეები იწოდება, რომლებიც მაცხოვრის (იესო ქრისტე), ღვთისმშობლისა და "წმინდანთა“ პატივსაცემად არიან განკუთვნილნი. დღესასწაულთა საერთო რაოდენობა ქრისტიანულ კალენდარში რამდენიმე ასეულს აღემატება და ყველას ერთნაირი მნიშვნელობა, როგორც ამაზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა, არ ენიჭება.

ქრისტიანული ეკლესია, როგორც ეს „საღვთო სჯულის“ წიგნის, განმარტებიდან ჩანს, უმთავრეს პერსონაჟებად მაცხოვარსა და ღვთისმშობელს („წმინდა მარიამი“) თვლის. ამიტომ უმთავრესად ის დღესასწაულები ითვლება, რომლებიც პერსონაჟების ამ ქვეყნად „ცხოვრებას“, „თავგადასავლის“, ღირსშესანიშნავი მოვლენების ანუ „ყველაზე საყურადღებო შემთხვევების მოგონება — მოხსენებას“ ეძღვნება.

ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით ყველაზე დიდ დღესასწაულს „აღდგომა“ წარმოადგენდა. ამის შემდეგ მოდის 12 უმთავრესი ე. წ. „ათთორმეტი დღესასწაული“. აქედან კი ყველაზე უფრო მნიშვნელოვან დღესასწაულებად „შობა“ და „სამება“ ითვლება.

---

6 კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, ტ. 22, გვ. 490 (რუს.).

7 იხ. პირველი დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე. შედგენილი არქიმანდრიტ ნესტროსი (ს. ყუბანეიშვილის მიერ) 1912, გვ. 108.

ქრისტიანული-საეკლესიო კალენდრით „ათთორმეტი დღესასწაულის "სია ასეთია: 1. შობა ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლისა. რომელიც 8 სექტემბერს იმართება[8], 2. ტაძრად მიყვანება მისი (ე. ი. წმ. მარიამისა — ავტ.) — 25 ნოემბერს. 3. ხარება — 25 მარტს, 4. შობა ქრისტესი — 25 დეკემბერს. 5. მირქმა უფლისა — 2 თებერვალს, 6. ნათლისღება უფლისა — 6 იანვარს. 7. ფერისცვალება უფლისა —6 აგვისტოს 8. ბზობა იესო ქრისტეს შესვლისა იერუსალიმში, რაც აღდგომის წინა კვირას აღინიშნება, 9. ამაღლება უფლისა — აღინიშნება აღდგომის შემდეგ მეორმოცე დღეს, 10. სულის წმინდის გადმოსვლა მოციქულებზე — აღდგომის შემდეგ მეორმოცდაათე დღეს, 11. მიძინება ღვთისმშობლისა — 15 აგვისტოს. 12. ჯვართ ამაღლება — 14 სექტემბერს[9].

რელიგიურ დღესასწაულებს მავნე შედეგები მოაქვს. საეკლესიო თვალსაზრისს, რელიგიური დღესასწაულების „ღვთაებრივი შთაგონების" შედეგად წარმოშობისა და მათი მარადიულობის შესახებ. მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს. თავდაპირველად რელიგიური დღესასწაულები ბუნებისა და საზოგადოების სტიქიური ძალებით და სოციალური ჩაგვრით დაბეჩავებული მასების ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდა. შემდეგში ამას დაემატა ხუცების მიერ მოგონილი მითიური პერსონაჟებისა და „წმინდანების" პატივსაცემად დაარსებული დღეებიც.

რელიგიური დღესასწაულები უვარგისი საზოგადოებრივი წყობილების უვარგისი პროდუქტებია. რომელთაც ექსპლოატატორული კლასების იდეოლოგები ყოველთვის იყენებდნენ და კვლავაც იყენებს ექსპლოატატირებულთა კლასობრივი შეგნების დაჩლუნგებისა და ყოველგვარი სოციალური უკეთესობების გამართლებისათვის. რელიგიური დღესასწაულები კაცობრიობის სულიერი ცხოვრების დროებითი თანამგზავრებია, მათ ადგილს, როგორც ამას საბჭოთა კავშირის გამოცდილება ადასტურებს, ურელიგიო სახალხო, შრომითი დღესასწაულები იჭერს.

2. ქრისტიანული „ყოველად წმინდა სამება"[10]

„სამების" ცნება. იესო ქრისტეს ადგილი „ყოვლად წმინდა სამებაში". სამების ანუ ტრიადული ღვთაების კულტი ძველ რელიგიებში.

---

8 თარიღები ძველი სტილითაა მოცემული. ავტ.

9 იხ. პირველი დაწყებითი დარიგება... გვ. 109.

10 „სამების" კულტი და მისი დღესასწაული მორწმუნეთა მასებში ფართო პოპულარობით არ სარგებლობდა. იგი ყველაზე ბუნდოვანი და მისტიკური ხასი-

ქრისტიანული „სამების“ კულტი და მისი შექმნის მიზეზები და პირობები. „სამების“ დღესასწაულის რეაქციული არსი.

„სამება“ ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი შედარებით უფრო გვიან შემუშავებული დოგმატია. ამ დოგმატის მიხედვით ქრისტიანული ღვთაება ერთიანია (მონოთეისტური), მაგრამ იგი ერთდროულად, ე. ი. ამავე დროს, სამპიროვნულია, სამი სახის ღვთაებისაგან (მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა) შედგება. ამგვარად, ეს ვითომდა განსაკუთრებული, ორიგინალური ღვთაებაღმერთი ერთსა და იმავე დროს „ერთიც“ არის და „სამიც“.

ქრისტიანული სარწმუნოების ეს ერთ-ერთი ცენტრალური მნიშვნელობის დოგმატი (და არა მარტო ეს დოგმატი) აშკარა უაზრობაა. მისი რაციონალური ახსნა, დასაბუთება, ცხადია, ყოვლად შეუძლებელია. საყურადღებოა, რომ ამას თვით ზოგიერთი ძველი, გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწეც კი აღიარებდა. მაგალითად, ნეტარი ავგუსტინე, აგრეთვე ტერტულიანე და სხვ. ამჟამად „სამების“ დოგმატის წინააღმდეგ ყოველგვარი საღი, კრიტიკული აზრის შემოტევა ხუცობას კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აყენებს, ვიდრე მათ წინაპრებს წარსულ საუკუნეებში. წარსულში, როცა რელიგიური იდეოლოგია ადამიანთა უდიდესი უმრავლესობის გონებას ფლობდა, ასეთ შემოტევებს უფრო ადვილად „იგერიებდნენ“ და აცხადებდნენ, რომ „ყოვლად წმინდა სამების“ არსებობა ადამიანთა გონებისათვის „უწვდომ ღვთაებრივ საიდუმლოებას“ წარმოადგენსო.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ეკლესიოსნებიც „სამების“ დოგმატის განმარტებისას ისევ ძველი, ბიბლიური არგუმენტებით სარგებლობენ.

„ყოვლად წმინდა სამების“ დოგმატის განმტკიცებისა და მორწმუნეთა შეგნებაში მისი უკეთ, ღრმად დანერგვის მიზნით ქრისტიანულმა ეკლესიამ სპეციალური დღესასწაული „სამება“ დააწესა. ამ დღესასწაულმა თავისი კულტის მეტად აბსტრაქტული და ბუნდოვანი შინაარსის გამო ისეთი პოპულარობა ვერ მოიპოვა როგორც

ათის კულტია, ბაგრამ ქრისტიანულ დოგმატიკაში მას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია. ე. წ. „ყოვლად წმინდა სამების“ არსებობის „დასაბუთება“ ქრისტიანული თეოლოგიისათვის ყველაზე უფრო საჭირბოროტო საკითხია. აქ ყველაზე უფრო აშკარად მოჩანს „ეკლესიის მამების“ აპოლოგეტების „თეორიული“ უძლურება, სისუსტე. ამ საკითხზე მათი მსჯელობისა და „მტკიცების“ მთელი აბსურდობა-უსაფუძვლობა. უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ გარემოების გამო საეკლესიო მოღვაწეები ყოველთვის თავს იკავებდნენ (მით უმეტეს ჩვენს დროში) მორწმუნეთა დაბალ ფენებში ამ საკითხზე ქადაგებებით გამოსვლისაგან, „სამების“ შესახებ საუბრებისაგან. აეტ.

შობის, აღდგომის დღესასწაულებმა, ანდა „ღვთისმშობლობამ“ და „გიორგობამ“.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ქრისტიანული კულტისა და დღესასწაულთა წარმოშობის, იდეოლოგიური არსის განხილვა მაინც „სამების“ დოგმატის და მისი სახელობის დღესასწაულის კონკრეტული ანალიზით უნდა დავიწყოთ. ეს დიდად შეგვიწყობს ხელს თვით იესო ქრისტეს მითიურობის გამოააშკარავებაში, რომლის სახელთანაც უმთავრესი ქრისტიანული დღესასწაულებია დაკავშირებული. აქვე დავინახავთ, რომ ქრისტიანული „სამების“ იდეა არავითარ „ზეშთაგონებას“, ღვთაებრივ სიბრძნეს არ წარმოადგენს, არამედ იგი ქრისტიანობის მამამთავრებს წარმართული რელიგიებიდან აქვთ აღებული და გადამუშავებული.

რიგითი ქრისტიანების ანუ მორწმუნეთა აბსოლუტური უმრავლესობის წარმოდგენით ერთადერთი ერთპიროვნული დამოუკიდებელი ღვთაებაა (ღმერთი) იესო ქრისტე, ოფიციალური კანონიკური ქრისტიანული მოძღვრებით კი იესო ქრისტე ე. წ. „სამების“ ერთ-ერთი სახეა, ერთ-ერთი წევრია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „სამებაში“ (და იმიტომაა იგი სამება) კიდევ ორი სხვა „წევრი“, სხვა სახეც არსებობს, რომელთაც თავისი საკუთარი სახელი აქვთ. როცა სახელწოდების მიხედვით მათი ჩამოთვლა ხდება, ვღებულობთ შემდეგ რიგს: 1. მამაღმერთი, 2. ძე ღმერთი, 3. სული წმინდა ღმერთი. საერთოდ ასეთი თანმიმდევრობითაა დასახელებული სამების წევრთა შემადგენლობა ოფიციალურ ქრისტიანულ წყაროებში.

ამგვარად, ამ რიგის მიხედვით პირველ ადგილზეა „მამაღმერთი“. მართალია, იესო ქრისტე „სამებაში“ ამ სახელწოდებით არაა დასახელებული, მაგრამ იგი „ძე ღმერთის“ სახელწოდებით შედის. ქრისტიანული მოძღვრებით იგი არის „ძე-შვილი“ მამაღმერთისა. ამგვარად, „სამებაში“ ძე ღმერთი (იგივე იესო ქრისტე) მამაღმერთისადმი „დაქვემდებარებულ“ ღვთაებად, ღმერთად გვევლინება. როგორც „ახალი აღთქმა“ განმარტავს, იგი (იესო ქრისტე) შობილია „მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა“[11] მამაღმერთი კი მამა, მშობელია ძე ღმერთისა (იესო ქრისტესი). ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით იგი არავისგან არ წარმოდგება, არავის არ „უშვია“. თვითონაა თავისი თავის მიზეზიც და შედეგიც, დროისა და სივრცის გარეშე არსებაა.

მონოთეიზმის თვალსაზრისით, (მაშასადამე. ქრისტიანული რელიგიის მიხედვითაც), ღვთაებრივ არსებას, რომელსაც დასაწყისი

---

11 იოანე, 1, 14.

აქვს დროსა და სივრცეში, გარეშე მიზეზი გააჩნია და ღმერთად მისი მიჩნევა შეუძლებელია. რაღა ღმერთია იგი თუ მას შემქმნელი გააჩნია. ამიტომ ქრისტეს (როგორც ღმერთის) რეპუტაცია რომ არ შეილახოს, ქრისტიანული ეკლესია ამ უაზრობის, აბსურდობის დასაფარავდა აცხადებს: მიუხედავად იმისა, რომ იესო ქრისტე „...არის შობილი მამისაგან"[12] (ე. ი. მამაღმერთისაგან გამოდის, არსებობით მას მამაღმერთი უსწრებს), მაინც თანაარსია თავისი მამისა, თანაარსობა კი მათ ერთდროულადვე არსებობას ნიშნავს, ისიც, ისე როგორც თვით მამაღმერთი, თურმე „...შობილია უწინარეს ყოველთა საუკუნეთა"[13].

როგორც ვხედავთ, შეუძლებელია იმის გაგება თუ რომელი დებულებაა „საღვთო სიბრძნე", რადგანაც, თვით ეკლესიისნების აღიარებით, „სამების" ეს წევრი (ი. ქრისტე) ერთდროულად მამაღმერთის ძეთაც, ე. ი. მისგან შობილადაც და ამავე დროს მის თანაარსადაც ითვლება. საღი გონებისათვის ყველაფერი ეს აშკარა აბსურდობას წარმოადგენს.

„სამების" მესამე წევრის — „სული წმინდა ღმერთის" ანუ ქრისტიანული „სამპიროვანი" ღვთაების სახეობის შესახებ ქრისტიანთა შორის არსებითად ორგვარი აზრი არსებობს:

მართლმადიდებლობის თვალსაზრისით „სული წმინდა ღმერთი" მხოლოდ მამაღმერთისაგან გამომდინარეობს, კათოლიკეთა მიხედვით კი იგი ერთდროულად „მამისა და ძისაგან" წარმოდგება.

ამგვარად, სქოლასტიკური დავა იმაზე, თუ როგორია სუბორდინაცია „წმინდა სამების ოჯახში", დღემდის გრძელდება. აღსანიშნავია, რომ ამ უაზრო ფუჭი დავის არსებობაზე წარსულში და, მით უმეტეს, ამჟამად მორწმუნეთა უმრავლესობას წარმოდგენაც კი არა აქვს.

ცხადია, ეკლესიას საერთოდ არ სურს, რომ მორწმუნეთა დაბალ ფენებში ამის შესახებ რაიმე იცოდნენ, ხოლო იმ დოგმატის შესახებ, რომ იესო ქრისტე-ძე ღმერთი „ყოველ საუკუნეთა წინ" შობილია, მარადიული არსებაა, ამაზე არ დაობენ, ამის შესახებ შეთანხმებულად გამოდიან, რადგან მათ კარგად იციან, რომ ამ დოგმატის შერყევა ქრისტიანულ სარწმუნოებას დიდ საფრთხეს უქადის. ამიტომ კატეხიზმოში პირდაპირ აშკარად არის აღიარებული: ქრისტეს მარადიულობის შესახებ ასე იმიტომაა თქმული, „..... რომ არავინ იფიქ-

---

12 კატეხიზმო, გვ. 51.

13 იქვე.

რომ ვითომც იყოს დრო, როდესაც ის (ე. ი. იესო ქრისტე) არ იყო"[14].

როგორც ქრისტიანული ტრადიცია გვიდასტურებს, ეკლესიის მსახურთა მრავალსაუკუნოვან პროპაგანდას იესო ქრისტეს შესახებ ფუჭად არ ჩაუვლია. ამის შესახებ სახარების წიგნთა შემდგენლებმა და ეკლესიის გამოჩენილმა მოღვაწეებმა იმთავითვე, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს II—III საუკუნეებისა, შეიმუშავეს საკუთარი დოგმატი, რომლის მიხედვით იესო ქრისტე, უწინარეს ყოვლისა, ზეციურ არსებადაა წარმოდგენილი. ქრისტიანობის იდეოლოგებმა იმთავითვე კარგად გაითვალისწინეს, რომ იესო ქრისტეს, როგორც ღმერთის, რეპუტაციისათვის ასე იყო საჭირო.

ცხადია, იესო ქრისტეს გენეალოგია სხვანაირად რომ ყოფილიყო შემუშავებული, მაგალითად, რომ იგი მხოლოდ მიწიერი წარმოშობის, ე. ი. დედამიწაზე გაჩენილ არსებად ყოფილიყო დასახული, ასეთ „ღმერთს" არავინ იწამებდა. რომის იმპერიის უღლის ქვეშ მგმინავ ხალხებს, მეტადრე მონებს, რომელთაც კლასობრივ ბრძოლებში ხასტიკი დამარცხებებით საკუთარი ძალებით ხსნის იმედი გაცრუებული ჰქონდათ, ასეთი ღმერთი ვერავითარ ნუგეშს ვერ მისცემდა.

ამრიგად, ჩაგრულთა ამ მასებისათვის ერთადერთი იმედი ზეცა იყო. იქიდან მოელოდნენ მხსნელს, რომელიც დაამხობდა რომის ბატონობას და, მათივე თავდაპირველი წარმოდგენებით, ბედნიერების „ათასწლოვან სამეფოს" აქ, დედამიწაზე, დაამყარებდა.

ასეთი მესიანური იდეები მაშინდელი რომის სამყაროში ქრისტიანობის წარმოშობის წინ თანდათანობით ვრცელდებოდა. როგორც ადრინდელი ქრისტიანობის რელიგიურ შეხედულებებში ვხედავთ, ძირითადად სწორედ ეს იდეები და წარმოდგენებია იესო ქრისტეს განსახიერებისათვის გამოყენებული. ამასთანავე, იესო ქრისტეს როგორც ქრისტიანული ღვთაების პერსონიფიკაცია ერთბაშად არ მომხდარა, მან გარკვეული ცვლილებები განიცადა. იოანეს „გამოცხადებაში" (უძველესი ქრისტიანული დოკუმენტი) იესო ქრისტე წმ. სამების იპოსტას ჯერ კიდევ არ წარმოადგენს. „გამოცხადების" (აპოკალიპსის) ავტორისათვის „სამების" ცნება სრულიად უცნობია. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ ამ პერიოდის ქრისტიანებს „წმ. სამებაზე" წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. იესო ქრისტე იქ ღმერთის ემანაციას წარმოადგენს და არა მის თანასწორ, თანაბარ ღვთაებას.

როგორც ფ. ენგელსი შენიშნავდა, იესო ქრისტე ამ დოკუმენტის მიხედვით „...არის ძე ღვთისა..., მაგრამ სრულიადაც არა თვით ღმე-

---

14 კატეხიზმო, გვ. 51.

რთი, ან ღვთის თანასწორი, პირიქით, იგი არის „ღვთის ქმნილების“ დასაბამი, მაშასადამე, დასაბამიდან არსებული, მაგრამ დაქვემდებარებული ემანაცია ღმერთისა“[15]...

ამგვარად, იესო ქრისტეს, რომელიც დასაბამიდან უხილავი იყო. „გამოცხადების“ წიგნის მიხედვით თავისი გარკვეული სახე აქვს, იგი ზეციური არსებაა, ზეცაშივეა დაბადებული, მაგრამ უფრო გვიანდელი წყაროების მიხედვით (პირველი სამი კანონიკური სახარების) იესო ქრისტე შემდეგ დედამიწაზე იბადება (გამოდის, რომ მეორედ). ამით იგი ერთდროულად მიწიერიცაა და ზეციერიც. ეს არის ღმერთკაცი, რომელიც ვიღაც ებრაელი ქალის მარიამის უბიწოდ ჩასახვის შემდეგ „გამოჩინდა ხორცად“[16]. გამოდის, რომ ამ აქტით, ე. ი. ჩვეულებრივი ადამიანის მიერ ქვეყნად მისი დაბადებით, იგი „ხილულ გრძნობად“, ხორციელ ღვთაებად იქცა, რომელსაც თავისი საკუთარი სახე და ინდივიდუალობა გააჩნია. ამრიგად, ადრინდელ ქრისტიანობას, ყოვლად წმინდა სამების დოგმატის შექმნამდე, იესო ცალკე პერსონაჟად ესახებოდათ.

ქრისტიანულ ტრადიციაში ასევე გამოკვეთილ, გრძნობად სახეებშია განსახიერებული როგორც „მამაღმერთი“, ისე „სული წმინდა“ ღმერთი. ამგვარად, მოგვიანებით შეთხზულია ახალი „სამპიროვანი“[17] ღვთაების ეს ორი იპოსტასი თანდათანობით ხილულ ღმერთებად გახდნენ. მაგალითად, ქრისტიანულ ხატოვან დამწერლობაში „მამაღმერთი“ ზეცაში, ღრუბლებზე მჯდომარე მოხუცის სახითაა განსახიერებული, ხოლო „სული წმინდა ღმერთი“ — მტრედის სახით. როგორც ვხედავთ, სამების თითოეულ წევრს თავისი საკუთარი, ურთიერთისაგან განსხვავებული სახე გააჩნია, საერთო კი, გარეგნული ნიშნების მიხედვით, ის აქვთ, რომ მათ თავზე თითოეულს ნათელი ადგია.

უფრო გვიანდელი პერიოდის ქრისტიანულ ბეჭდვით ლიტერატურაში, აგრეთვე ზეპირ გადმოცემებში „წმინდა სამება“ თავისი იპოსტასებით კიდევ უფრო დანაწევრებულადაა წარმოდგენილი. ამ წყაროებში უფრო მეტი მასალებია ერთმანეთისაგან განსხვავებული სამი სახის ღმერთზე და მათ მოქმედებათა შესახებ. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ქრისტიანულ აპოლოგეტიკა მაინც „ამტკიცებს,“ რომ ქრისტიანობა მონოთეისტური რელიგიაა, რომ იგი მხოლოდ

---

15 ფრ. ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის გვ. 32.

16 კატეხიზმო, გვ 32

17 სამპიროვანი ღვთაება, როგორც შემდგომ ვნახავთ, მხოლოდ ქრისტიანული რელიგიის კუთვნილებას არ შეადგენს.

ერთი ღმერთის რწმენაზეა დამყარებული და წარმართობასთან მას საერთო არა აქვს რა.

ქრისტიანული ეკლესია, საერთოდ, ცდილობს თავი აარიდოს სამების" შესახებ კრიტიკულ მსჯელობას, განსაკუთრებით კი იმაზე თუ როგორაა შესაძლებელი, რომ ქრისტიანული ერთარსება ღმერთი ამავე დროს სამპიროვანია, სამი სახით არსებობს. ეკლესიონსნები მორწმუნეთ ყოველთვის უკრძალავდნენ ამ დოგმატზე მსჯელობას. „წმინდა სამების" შესახებ მოძღვრებისადმი ოდნავი დაეჭვებისათვის, თუნდაც უბრალო ცნობისმოყვარეობისათვის, როგორც ერეტიკოსებს ინკვიზიცია უსასტიკესად უსწორდებოდა.

ჩვენს დროშიც, როცა „საღვთო წერილებისა" და ეკლესიის ავტორიტეტი საერთოდ ყველგან განუზომელად ეცემა, ხოლო მეცნიერება გიგანტურ წარმატებებს აღწევს, ხუცობა კვლავ თავგამოდებით იცავს რელიგიის თითოეულ დოგმასა და ლეგენდას. ქრისტიანული მოძღვარნი ამჟამადაც დაჟინებით ქადაგებენ, რომ სახარების ლეგენდები, საღვთო წერილებში აღწერილი „სასწაულები" თითქოს სინამდვილეს შეესაბამებიან, რომ ამ წიგნებში „ღვთაებრივი სიბრძნეა" გადმოცემული. ამასთანავე ეკლესიონსნებმა კარგად იციან, რომ ამ ლეგენდების რაციონალური ახსნა შეუძლებელია და საღი, კრიტიკულად მოაზროვნე გონებისათვის ისინი უაზრობას წარმოადგენენ. ამის გამო ქრისტიანობის აპოლოგეტები ამა თუ იმ „სასწაულის" ახსნისას მორწმუნე მასებს ტრადიციული განმარტებებით კვებავენ. მათი აზრით ადამიანებს არ ძალუძთ „ღვთის საქმეთა" გამოცნობა. მის საიდუმლოებაში ჩაწვდომა და ა. შ. კატეხიზმოშიაც ე. წ. „წმინდა სამების" არსებობაზე სწორედ ანალოგიური ხასიათის პასუხია გაცემული. მოვუსმინოთ ამ ახსნა-განმარტებას: „კით. როგორ არის ერთი ღმერთი სამ პირად? მიგ[18]. ჩვენ ვერ მივსწვდებით შინაგანსა ამა ღვთაების საიდუმლოსა; მაგრამ გვწამს ესე უეჭველისა მოწმობისამებრ სიტყვისა ღვთისა"[19]; „ღვთისა არა ვინ იცის გარნა სულმანვე ღვთისამან"[20]. ამ კითხვა-პასუხიდან ძნელი როდია იმის დანახვა, თუ როგორი „არგუმენტებით" ცდილობენ ეკლესიონსნები იმ უაზრობათა „დასაბუთებას", რასაც „წმინდა სამების" შესახებ ქრისტიანული მოძღვრება შეიცავს.

ასეთი არგუმენტებით ლამობენ ქრისტიანული აპოლოგეტები იმის დასაბუთებას, რომ საღვთო წერილები ღვთაებრივი „სიბრძნის

---

18 მიგ. მიგება — პასუხი — ავტ.

19 კატეხიზმო, გვ. 38.

20 კორინთელია, 2. 11.

წყაროა", ხოლო ამ სიბრძნეს რომ ვეზიაროთ, ამისათვის გონება, ვანსჯა კი არაა საჭირო, არამედ რწმენა. სხვანაირად რომ ითქვას, უნდა ვირწმუნოთ ყოველივე ისე როგორც „საღვთო" წიგნებში წერია, და როგორც თეოლოგები ქადაგებენ. ვინაიდან „ღვთის საქმეთა" გონივრული შემეცნება, თვით გონებისვე უძლურობისა გამო, შეუძლებელია. აი ხუცობის საბუთი.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გაირკვეს კიდევ ერთი საკითხი: სახელდობრ, არის თუ არა „სამების" კულტი და დოგმატი საკუთრივ ქრისტიანული ეკლესიის შემოქმედება? რა თქმა უნდა, ქრისტიანული თეოლოგია მას წმინდა ქრისტიანულ შემოქმედებად სახავს. „სამების" დოგმატის შესახებ მიტროპოლიტი მაკარი წერს: „ყოვლად წმინდა სამების დოგმატი უდავოდ არის ქრისტიანობის საიდუმლოებათა საიდუმლო"[21]. შემდეგ იგი იმეორებს „წმინდა სამების" „საიდუმლოების" შესახებ ქრისტიანული ეკლესიის ტრადიციულ აზრს: „თუ როგორაა ერთ ღმერთში სამი პიროვნება, რომ მამაც ღმერთია, ძეც ღმერთია და სული წმინდაც ღმერთია, მაგრამ მაინც სამი ღმერთი რომ არაა, არამედ ღმერთი ერთია — ეს ჩვენს გაგებას სრულიად აღემატება"[22]. ამ შემთხვევაში ქრისტიანული ეკლესიის ეს მოძღვარი (ისე როგორც მისი წინამორბედნი) თვითონვე მიუთითებს ადამიანთა გონების „უძლურებასა" და რწმენის უპირატესობაზე.

თანამედროვე „სულიერი მამები" ასევე მტკიცედ იცავენ იმას, რომ „სამების დოგმატი" მხოლოდ ქრისტიანობის „საიდუმლოებათა საიდუმლოს" წარმოადგენს.

ამჟამად, როცა რელიგიის ავტორიტეტის საყოველთაო შერყევასთან დაკავშირებით ეკლესია თანამედროვეობასთან შეგუების მიზნით თავისი პოზიციების განმტკიცებას ლამობს, ზოგიერთი დოგმების მოდერნიზებასაც კი გვთავაზობს. მაგრამ „ყოვლად წმინდა სამების" და ზოგიერთი სხვა დოგმატის (მაგ., იესო ქრისტეს უბიწოდ ჩასახვის, მისი მკვდრეთით აღდგომის და სხვ.) მიმართ ისინი მტკიცედ ტრადიციულ თვალსაზრისს იცავენ. ამ შემთხვევაში უკვე არაფერს აღარ თმობენ, რადგან ეს დოგმატები ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველთა საფუძველს, მის ქვაკუთხედს შეადგენენ. ძირითად დოგმებში რაიმე ცვლილების შეტანა კიდევ უფრო შეარყევდა ქრისტიანობის ავტორიტეტს მორწმუნეთა თვალში — ეს მათ კარგად აქვთ გათვალისწინებული.

---

[21] იხ. Православное догматическое богословые, т. 1, 1849, стр, 200.

[22] იქვე.

ამჟამად კაცობრიობის მნიშვნელოვან ნაწილს. საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა დიდ უმრავლესობას აღარ სწამთ არც ე. წ. „სამება“ და არც სხვა რომელიმე რელიგიური სასწაული. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს, აგრეთვე კაპიტალისტური სამყაროს მოქალაქეთა უმრავლესობას კიდევ სწამს ზებუნებრივი ძალების, ამა თუ იმ ღმერთების (რელიგიების მიხედვით) არსებობა, მათი ყოვლისშემძლეობა. ცნობილია, რომ თანამედროვე რელიგია თავისი გენეზისით წინამორბედ რელიგიებსა და ფილოსოფიურ იდეებთანაა დაკავშირებული. იგივე ითქმის მისი შინაარსის შემადგენელი ელემენტების მიმართაც. ამ თვალსაზრისით საყურაღღებოა „სამების“, როგორც ქრისტიანული კულტის, წარმოშობის განხილვა, რამდენადაც იგი ამ რელიგიის ერთ-ერთ მთავარ დოგმატს წარმოადგენს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, „სამების“ კულტის დოგმატი ქრისტიანებს თავიანთ „საიდუმლოებათა საიდუმლოებად“ მიაჩნიათ. მათი მტკიცებით, იგი საკუთრივ ქრისტიანული მოვლენაა და მისი მსგავსი სხვა რელიგიებს არა აქვთ.

მივმართოთ ძველი აღმოსავლეთის რელიგიათა ისტორიას. ამ ქვეყნების (ინდოეთი, ეგვიპტე და სხვ.) რელიგიების ისტორია საყურადღებო მასალებს გვაწვდის იმაზედ, რომ „სამების“ კულტი — სამი ღვთაების-ტრიუმვირატის ტრადიცია გაცილებით უფრო ძველი წარმოშობისაა ვიდრე თვით ქრისტიანობა. ძველი და თანამედროვე რელიგიების გამოჩენილი მკვლევარი ე. იაროსლავსკი წერდა: „როცა ჩვენ ძველ რელიგიებს ახლო ვეცნობით, ვნახულობთ, რომ ყოვლად წმინდა სამება მთლიანად ქრისტემდეა მოგონილი. სამყაროს შექმნა ძველებს თითქმის საკუთარი ისე ჰქონდათ წარმოდგენილი, როგორც ადამიანის დაბადების აქტი. როგორადაც ადამიანის დაბადებისათვის საჭიროა მამა და დედა, ისევე სამყაროს წარმოსაშობად და იმის შესაქმნელად, რაც კი არის სამყაროში, საჭიროა მამა და დედა.

მამა, დედა, ქალი ან ვაჟი-ასეთი სახით ყალიბდებოდა ყველაზე პატარა ოჯახი. ბუნებრივია, ასე იქმნებოდა ღმერთთა ძველი სამებაც. როცა ჩვენ ძველ რელიგიებს ვსწავლობთ, ამ სამებას თითქმის ყველგან ვხვდებით“[23]. ძველ ინდოეთში სამება წარმოდგენილი იყო ღმერთა სავითრას — მზის ღვთაების, ძე ღმერთის აგნის, სული წმინდა ღმერთის-ვაის სახით. ბაბილონური სამების ღმერთები იყვნენ: ანუსი-ცის ღმერთი, ეა-მდინარეთა ღვთაება, ბელი-მთელი დანარჩენი სამ-

[23] Эм. Ярославский, О религии, 1957, стр. 436.

ყაროს ღმერთი. ძველ ინდოეთში, გარდა ზემოაღნიშნულისა, სხვა სამებაც არსებობდა, სახელდობრ: ბრაჰმას, ვიშნუსა და შივას სახით. სამების კულტის პრაქტიკა ცნობილი ყოფილა ძველ ეგვიპტეშიც და ა. შ.[24].

არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დიდძალი მასალებისა და „საღვთო წერილების" ანალიზის საფუძველზე საბჭოთა მკვლევარი ისტორიკოს-ეთნოგრაფი ს. ტოკარევი დაასკვნის, რომ დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ „სამების" კულტი ძველ ეგვიპტეშიც არსებობდა. „ეგვიპტური საერთო პანთეონის შექმნამ თავის მხრივ ცალკეულ ღვთაებათა შორის თეოლოგიურ-მითოლოგიური კავშირების დადგენა გამოიწვია. ასე წარმოიშვა ღვთაებათა ცნობილი სხვადასხვაგვარი ტრიადები და ენეადები, ამასთანავე სხვადასხვა ადგილებში: ფივანის სამება, ამონიმუტი, ხონსუ, შემფიოსისა — პტახი, მისი ცოლის სოხმეტი და მათი ძე ნეფერტუმი. ენეადისაგან (ცხრაღმერთიანობა) ყველაზე გავრცელებული იყო ჰელიოსპოლისა, რომელიც რას მეთაურობით ოთხი წყვილი ღმერთისაგან შედგებოდა: რა, შუ და ტეფნუტი, გები და ნუტი, ოსირისი და იზიდა, სეტი და ნეფტიდა. ეს ღვთაებრივი ჯგუფები ნაწილობრივ ადგილობრივი კულტების შერწყმის პროდუქტს შეადგენდა, ნაწილობრივ ქურუმთა წმინდა თეორიული სპეკულაციების ნაყოფს"[25].

„სამების" კულტი ანუ იგივე ტრიადიული თუ ტრიუმვირატის[26] ღვთაება რომ ქრისტიანობამდელი ტრადიციაა, ამას არამარქსისტი მკვლევარნიც ადასტურებენ. ამ მხრივ საკმარისია თუნდაც დ. შანტეპი — დე-ლია სოსეის (თეოლოგიის ამსტერდამელი პროფესორის) და მის თანაავტორთა ვრცელი ნარკვევის (ილუსტრირებული „რელიგიის ისტორია", ორ ტომად) გაცნობა. აქ მოტანილი მასალები და დასკვნები ეჭვმიუტანელად მოწმობენ ძველი ქვეყნების რელიგიებთან (მაშასადამე, მათ კულტებთან, ტრადიციებთან) ქრისტიანული რელიგიის დამოკიდებულებას, კერძოდ სამების ქრისტიანობამდელ კულტებთან.

ეგვიპტის ღვთაებათა პანთეონის განხილვასა და მათ პერსონაჟთა დახასიათებასთან დაკავშირებით ნარკვევში აღნიშნულია, რომ „ეს ტრიადები უმთავრეს შემთხვევაში მამისაგან, დედისა და ძისაგან

---

24 Эм. Ярославский, О религии, 1957, стр 436.

25 С. А. Токарев, Религия в истории народов мира, 1964, стр. 280

26 ტრიუმვირატი (ტრი-სამი, მურატი-სხეული) ინდიური წარმოშობისაა. ნიშნავს სამებას, რომელიც სამი მთავარი ღვთაებისაგან — ბრამა, ვიშნუ და სივა (შივა) — შედგება. ავტ.

შედგება, ხოლო ზოგჯერ, აგრეთვე, როგორც ელეფანტინში. ერთი ღმერთისა და ორი ქალღმერთისაგან"[27]. იქვე მოხსენებულია აგრეთვე სამების კიდევ ერთ-ერთი სხვა ვარიანტიც, სახელდობრ ეგვიპტური მითოლოგიის ერთი ადგილობრივი ღვთაების — ჰორუსის (ჰორა) შესახებ. ეს ღვთაება ეგვიპტელებს სამ სახეობად ჰქონიათ წარმოდგენილი: ჰორუსი — „უფროსი ჰორიუსი" — მზის ღმერთი. გარ-ემ-ახუტი-ორი ჰორიზონტის (დასავლეთისა და აღმოსავლეთის) ღმერთი, ხოლო მის მესამე სახეს გარ-პეხრედი — „ჰორუსი ყმაწვილი"[28] —ანუ ძე წარმოადგენდა.

ეგვიპტეშივე უფრო გვიან ცნობილი ყოფილა საღმრთოებრივანი ღვთაების ოჯახი — ტრიადა: ჰორუსის (ჰორა), ოსირისისა და იზიდას შემადგენლობით[29]. ხალხის წარმოდგენაში ოსირისი მამა ღმერთია. რომელსაც ღმერთქალ იზიდასთან შეუღლებით შეეძინა ძე — ჰორა. ღმერთების ეს ოჯახი სასტიკ ბრძოლას ეწევა ბოროტი ძალის სეთის (ოსირისის ძმის) წინააღმდეგ. სეთმა ეშმაკობით მოატყუა, შეაცდინა ოსირისი, ჩაჰკეტა იგი კიდობანში და ზღვაში გადააგდო. იზიდა და ჰორუსი პოულობენ მეუღლისა და მამის გვამს და საგანგებოდ მალავენ. მაგრამ სეთი პოულობს ძმის გვამს, გლეჯს ნაკუწ-ნაკუწად და მიმოფანტავს. იზიდას და ჰორას შემწეობით იგი გაცოცხლდება და მკვდრეთით ზეცას ამაღლდება[30].

როგორც ვხედავთ, ოსირისის თავგადასავალი, კერძოდ მისი მოწამებრივი სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა, ბევრ პუნქტში საოცრად ემთხვევა მრავალი საუკუნის შემდეგ მოვლენილი „მხსნელის" ანუ იესო ქრისტეს ამქვეყნიურ „ბიოგრაფიას".

გარდა ეგვიპტისა, თავისებური „სამების" — ტრიადული ღვთაების კულტი ძველ ბაბილონსა და ინდოეთშიაც ყოფილა გავრცელებული. ქრისტიანულ „სამებას" და მის კულტს რომ ამ ქვეყნების ტრიადული ღვთაების კულტებთან საყურადღებო მნიშვნელობის შეხების საერთო წერტილები გააჩნია, ამაში დარწმუნება ძნელი როდია. რელიგიების ისტორიას დადგენილი აქვს, რომ ქრისტიანობის წარმოშობამდე მრავალი საუკუნით ადრე ბაბილონელთა ღმერთების პანთეონში პირველი ადგილი „დიდ ღვთაებრივ ტრიადას" ეკავა, ე. ი. ზებუნებრივი, ღვთაებრივი ძალების სათავეში სამი ღმერ-

---

[27] Д. П. Шантепи—Де-ля Соссей. История религии, стр. 120,

[28] იქვე, გვ. 124, 125.

[29] იქვე, გვ. 124, 125.

[30] იქვე, გვ. 128.

თისაგან შემდგარი „ტრიადა“ იდგა. ამ სამეულის წევრებია: ანუსი, ბელი და ეა. რელიგიური მითების, ლეგენდების თანახმად ეს ღმერთები თანაბარნი არიან, ერთობლივად განაგებენ მთელ სამყაროს, ზეცას, დედამიწასა და ქვესკნელს[31].

ღმერთებს სამყაროს გამგებლობაში თავისი საკუთარი ფუნქციებიც ჰქონიათ. მაგალითად, ანუსი-ცის თუ ზეცის მეუფეა, ბელი დედამიწისა და მასზე მომქმედი ბუნებრივი ძალებისა, ეა — ქვესკნელისა (მიწის ქვეშეთისა) და იქაური ძალებისა. ბაბილონელთა შორის რომ ეს კულტი ძველთაგანვე არსებობდა, ამის საბუთად სირაპულის (ადგილია) უძველესი წარწერებია მიჩნეული[32].

ბაბილონური ტრიადის წევრთაგან შვილები მხოლოდ ანუსს ჰყავს „ძე ღმერთების“ სახით, მაგრამ ისინი ტრიადის შემადგენლობაში არ შედიან. ისინი უფრო ქრისტიანული ანგელოსების, ნახევარღმერთების წინაპრებს და შორეულ პროტოტიპებს მოგვაგონებენ. ანუსი — „ღმერთების მამა“[33] სწორედ ამ ძალების მეშვეობით ახორციელებს თავისი მეუფებას სამყაროში, ისე როგორც შემდეგ ქრისტიანული „მამაღმერთი“ ანგელოსების მეშვეობით განაგებს დედამიწაზე მცხოვრებთა სვე-ბედს.

ქრისტიანობას ბაბილონურ ღვთაებათა ტრიადასთან სხვა საერთო მომენტებიც ჰქონდა. აქედან მთავარია ის, რომ ამ ტრიადის პირველი პირი, ანუსი, მიჩნეულია ამ ტრიადის სხვა ღმერთების მამად. ქრისტიანულ სამებაში „მამა ღმერთი“, მიუხედავად იმისა შეესაბამება თუ არა ეს ქრისტიანულ დოგმატიკას, მაინც მთავარ, უფროს ღმერთად არის დასახული. გამოდის, რომ ძე ღმერთიც და „სული წმინდა“ ღმერთიც მისგან გამომდინარეობს, მასვე ექვემდებარებიან.

მაგალითად, ქრისტიანული რელიგიით „ძე ღმერთი“ „მამაღმერთის“ ნებით „განკაცდა“ და ამ სახით მოევლინა იგი, როგორც შუამავალი „ზეციერი მამისა“ ცოდვებში ჩაფლულ კაცობრიობას ერთხელ და სამუდამოდ ხსნისათვის.

ქრისტიანულ „ყოვლად წმინდა სამებას“ კიდევ უფრო მეტი მსგავსება და საერთო გააჩნია ინდური რელიგიის ინდუიზმის ტრიუმვირატთან (ტრიმურტი). ვედური რელიგიებიდან ცნობილი ინდური ღმერთების — ბრაჰმას, ვიშნუსა და შივას სამერთიანობა თავისებურ „სამებას“ წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში ტრიმურატი გამო-

---

[31] Д. П. Шантепи Де-ля Соссей, გვ. 187, 188.

[32] იქვე, გვ. 188.

[33] იქვე, გვ. 188.

დის თავისებური სამერთიანობის ფორმით[34]. ეს კომბინაცია ერთ-ერთ ქანდაკში ერთი ტანით (ზედა ტანით) და დასახელებული ღმერთების სამი თავ-პირით არის გამოკვეთილი. როგორც ცნობილია, ქრისტიანული „სამებაც", თვით ქრისტიანული ხატდამწერლობის მიხედვით, ერთიანი ტანითაა გამოსახული, მაგრამ ინდური ტრიმურატისაგან განსხვავებით მას მხოლოდ ერთი თავი აქვს, სახე კი სამი.

ამგვარად, ძველ ქრისტიანობამდელ რელიგიებში „ტრიადების", „ტრიმურტების" სახით თავისებური სამების კულტების არსებობა გვიდასტურებს, რომ ქრისტიანული „ყოვლად წმინდა სამება", არსებითად, არავითარ ახალ ორიგინალურ მოვლენას არ წარმოადგენს. რელიგიის მეცნიერული ისტორია ფარდას ხდის ყველა ამგვარ მონაპოვრს და ააშკარავებს მათი წარმოშობისა თუ შეთხზვის ფაბრიკაციის მიზეზებსა და დანიშნულებებს. „მოძღვრება „სამების" შესახებ, — წერდა ემ. იაროსლავსკი, — ქრისტიანობამდე არსებობდა. უწმინდესი სამებაც, ისევე როგორც სხვა ღმერთი, ღმერთ-ქალები და რელიგიური მოძღვრებანი, ხალხმა შექმნა, არავითარი საიდუმლოება მათში არ არის. ყველაფერი უაღრესად მარტივი და უხეშია, ხოლო ხუცობას, რა თქმა უნდა, საიდუმლოებანი სჭირდება"[35].

როგორც ვხედავთ, წარმართული რელიგიებისადმი ქრისტიანული სამებისა და მისი კულტის რელიგიურ-იდეური დამოკიდებულება არავითარ ეჭვს არ იწვევს. მაგრამ ისმის კითხვა, რით იყო გაპირობებული პოლითეისტური ტრადიციების გამოყენება, როცა მაშინდელს სამყაროში ქრისტიანები იმთავითვე მონოთეიზმის დროშით გამოდიოდნენ?

როგორც ცნობილია, რომის მსოფლიო წესრიგის კრახმა ამ სამყაროში გავრცელებული ყველა რელიგიის დაცემაც გამოიწვია. ასეთ ვითარებაში სწორედ ქრისტიანობა აღმოჩნდა ისეთ რელიგიად, რომელსაც მსოფლიო რელიგიად გახდომა მოელოდა. იგი ყველა ჩაგრულს, განურჩევლად მათი ეროვნებისა და რელიგიისა, მეტადრე მონებს, ამქვეყნიური უკუღმართობისაგან ხსნასა და შველას აღუთქვამდა. ამავე დროს ამ რელიგიის გავრცელებას წინ ეღობებოდა წარმართული რელიგიები თავისი მრავალრიცხოვანი კულტებით, რთული წეს-ჩვეულებები. ქრისტიანობის მქადაგებლებს უთუოდ ანგარიში უნდა გაეწიათ ძველი რელიგიების მორწმუნეთა ფართო მასებისათვის, ამიტომ პოლითეიზმის წინაშე ერთგვარი კომპრომისი აუცილებელი იყო.

---

34 Д. П. Шантепи Де-ля Соссей ტ. II, გვ. 142. 143.

35 Ем. Ярославский, О религии, стр. 142.

„იმისათვის, რომ რელიგიად გამხდარიყო, შენიშნავდა ფ. ენგელსი, მონოთეიზმს (იგულისხმება ქრისტიანული მონოთეიზმი — ავტ.) იმთავითვე უნდა დაეთმო პოლითეიზმისადმი"[36]. პოლითეიზმისადმი კომპრომისის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ის, რომ მაშინდელ რომის სამყაროში უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებულ ტრიადულ ღვთაებათა კულტების ძირითადი იდეებისა და ელემენტების გამოყენებით ეკლესიოსნებმა ახალი, ე. წ. „ყოვლად წმინდა სამების" დოგმატი შეიმუშავეს. „წმინდა სამების" კულტის დაწესება წარმართული კულტების დაპყრობისა და მათი „გაქრისტიანების" მიმართულებით ქრისტიანობის განმტკიცებისათვის ერთ-ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

ცხადია, ქრისტიანულმა ეკლესიამ „სამების" კულტის შემოღებით ერთგვარად უღალატა კიდეც თავის „ორთოდოქსალურ" მონოთეიზმს, გადაიხარა პოლითეიზმისაკენ, მაგრამ საბოლოდ ასეთი აუცილებელი ნაბიჯით მან სხვა და სხვა რელიგიების ამღიარებლებს გზა გაუკაფა ქრისტიანობისაკენ, გაუადვილა ამ უაღრესად კოსმოპოლიტურ რელიგიაზე — ქრისტიანობაზე გადასვლა. ამასთანავე, ქრისტიანობა იმთავითვე, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ყველას შველასა და დახმარებას პირდებოდა. პოლითეიზმისადმი დათმობებმა ფორმირების პროცესში მყოფი ქრისტიანობა სულ მოკლე ხანში ისეთ სარწმუნოებად აქცია, რომელიც თავისი დოგმატიკით არაქრისტიანებისათვის თანდათანობით მისაღები ხდებოდა. უდავოა, რომ წარმართთა რელიგიური შეგნების გაქრისტიანებაში გარკვეული როლი „წმინდა სამების" კულტმაც შეასრულა, რომელმაც ძველი, ტრიადულ ღვთაებათა კულტის ადგილი დაისაკუთრა.

„სამების" კულტის ტრადიციად დასანერგავად ეკლესიის მოღვაწეებმა მისი საზეიმო ვითარებაში აღსანიშნავი დღეც კი დააწესეს. იგი იმართება აღდგომის დღესასწაულიდან ორმოცდამეათე დღეს. ქრისტიანული ეკლესია ამ დღესასწაულისათვის დიდი გულმოდგინებით ემზადება. როგორც ჩვენში, ისე სხვა ქვეყნებში ამ კულტის დანერგვას ეკლესიოსნები სხვა გზებითა და საშუალებითაც ცდილობდნენ: მაგალითად აშენებდნენ „წმ. სამების" სახელობის მონასტრებს, ეკლესიებს, არქმევდნენ სოფლებს „სამების" სახელწოდებას და ა. შ.

ქრისტიანულ მღვდელმსახურებაში „სამების" კულტი კიდევ უფრო ღრმად არის დანერგილი. ეკლესიოსნები მას თითქმის ყველა წირვა-ლოცვის დროს იგონებენ. არსებობს „სამების" სადიდებელი სპე-

---

36 ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა. ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, 1955, გვ. 50.

ციალური ლოცვა-ჰიმნი. მღვდელმსახურებისას ამ ჰიმნიდან გარკვეულ სიტყვებს სამჯერად წარმოთქვამენ და მორწმუნეებსაც ავალებენ, რომ პირჯვარის გადასახვისას იდუმალად, უხმოდ ან ხმამაღლა წარმოთქვან იგი 3-ჯერ (მაგალითად, „უფალო შეგვიწყალენ" და სხვ.). ლოცვის წარმოთქმისას მორწმუნემ სამჯერ უნდა დაიჩოქოს (მეტანია შეასრულოს) და ხელაპყრობით, ამ დროსაც 3-ჯერვე (ზოგიერთ შემთხვევაში კი 12-ჯერ), წარმოთქვას „უფალო შეგვიწყალენ".

როგორც წესი, „ყოვლად წმინდა სამება" „საიდუმლოებათა" შესრულების დროსაც მოიხსენიება. რაც შეეხება პირჯვარის გადასახვას, რაც ლოცვების გარეგან ნიშანთა შორის უმთავრესი რიტუალია. უწინარეს ყოვლისა, იგი სამების სადიდებელ მანიპულაციას წარმოადგენს. პირჯვრის გადასახვით, განმარტავენ ეკლესიოსნები, „ცხადათ ვაჩვენებთ წმიდისა სამების სამპიროვნების თანასწორობას და ერთ-არსებობასა და ამასთანავე შეურევნელობასა"[37]. „სამების" კულტის გავლენა ვლინდება ისეთ გამოთქმებში, როგორიცაა: „ყველაფერი სამებითაა", „ღმერთი სამებით არის", „ყოვლად წმინდა სამება შეგვწიოთ" და ა. შ. ასეთი რიგი გადმონაშთს მიეკუთვნება ისეთი ჩვევა, როცა ოჯახიდან შორეულ მხარეში მიმავალს სამჯერ-შემოატრიალებენ და სათანადო ლოცვებსაც წარმოთქვამენ. ამ წეს-ჩვეულებას მორწმუნენი მაგიურ მნიშვნელობას ანიჭებენ. სწამთ, რომ „სამების წყალობით ყველაფერი კარგად იქნება: ეკლესიის სამლოცველო სახლების ან „წმინდა ადგილების" სამჯერად გარს შემოვლაც „წმინდა სამების" გულის მოსაგებად ხდება.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, სამების კულტის დღესასწაული არა თუ სსრ კავშირში, არამედ, ამჟამად, თვით კაპიტალისტურ სამყაროშიც კი, მისი მეტად აბსტრაქტული და მისტიკური შინაარსის გამო, მორწმუნეთა ფართო მასებში ყველაზე არაპოპულარულია. მაგრამ ამ დოგმატზე ჩვენ შედარებით მაინც უფრო მეტად გავამახვილეთ ყურადღება. საქმე იმაშია, რომ ეკლესიოსნები ამ დოგმატს ქრისტიანული თეოლოგიის „საიდუმლოებათა საიდუმლოს" უწოდებენ, რომ იგი ღვთაებრივი სიბრძნის ყველაზე დიდ საგანძურს წარმოადგენს და ა. შ. როგორც ვნახეთ, „სამება" და დოგმატი „სამებისა", რომელსაც ქრისტიანები ასეთ დახასიათებას აძლევენ, არსებითად წარმართული რელიგიებიდანაა ნაწარმოები. ამასთანავე, ყოვლად აშკარად და მოურიდებლადაც, რაზედაც ადრინდელ

---

37 იხ. ლოცვანი, 1963, გვ. 99.

(პირველი საუკუნის) ქრისტიანებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ (იხ. იოანეს აპოკალიპსები).

ქრისტიანული „სამების“ შესახებ პირველად ცნობებს გვაწვდის ჩ. წ. აღრიცხვის მეორე საუკუნის მეორე ნახევრის ზოგიერთი ქრისტიანული წყარო. კულტისა და დოგმატის ფორმირება და დანერგვა შედარებით ნელი ტემპით წარმოებდა: საბოლოო სახით ფორმირება ჩ. წ. აღრიცხვის მეოთხე საუკუნემდე გრძელდებოდა, ხოლო დოგმატის სახით მისი კანონიზაცია ნიკეისა (325 წ.) და კონსტანტინეპოლის (381 წ.) მსოფლიო კრებებზე დასრულდა. ასე დაკანონდა ახალი, ქრისტიანული სამწევრიანი ღვთაების კულტი — „მამაღმერთის “...ძეღმერთისა“ და „სული წმინდა“ ღმერთის სახით.

ამგვარად, წმინდა „სამების“ კულტის ანალიზი სავსებით აშკარად ხდის, რომ იგი საკუთრივ ქრისტიანული შემოქმედების ნაყოფი არაა. ეს ანალიზი აგრეთვე ცხადყოფს, რომ დოგმატი „სამების“ შესახებ ქრისტიანულ მოძღვრებაში უაზრობისა და უცნაურობის ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს, მაგრამ ამასთან ცნობილია, რომ ამ დოგმატის „დასაბუთება“ ეკლესიისნებსაც ერთობ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. ამის შესახებ სავსებით მართებულად შენიშნავდა საბჭოთა მკვლევარი ნ. რუმიანცევი. „როცა თვით ეკლესიისნებს ვეკითხებით — წერდა იგი — როგორ გავიგოთ, რომ მათი თეთრწვერა „მოხუცებული მამა ღმერთი, 30 წლის ასაკში ვითომდაც გარდაცვლილი ძე ღმერთი და ორთავე მათგან გამოსული“ ფრთოსანი მტრედი „სული წმინდა“ წარმოადგენს სამპიროვნულ, დამოუკიდებელ ღმერთს და ამავე დროს ღვთაებრივი „სამერთიანობას“ შეადგენენ, თვითონ ეკლესიისნები იბნევიან და მხოლოდ „ღვთაებრივ საიდუმლოების მიუწვდომლობაზე მიუთითებენ“[38].

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სამების“ კულტის იდეოლოგიური გავლენა სსრ კავშირის მოსახლეობაშიაც კი ჯერჯერობით საგრძნობი და მნიშვნელოვანია. მორწმუნეთ მტკიცედ სწამთ „ყოვლად წმინდა სამების“ ყოვლის შემწეობისა. ისინი ჯერ კიდევ იკვებებიან „სამების“ მადლის ილუზიებით, დიდ იმედებს ამყარებენ მასზედ. აქა-იქ ასრულებენ ამ კულტის შესაბამის რიტუალებს, დღესასწაულებს, სალოცავად დადიან იმ ადგილებში, სადაც „სამების“ ეკლესიები და სალოცავი სახლებია ან რაიმე საღვთო ნიშანი ეგულებათ.

---

[38] Н. Румянцев, Православные праздники, их происхождения и классовая сущность, 1931, стр. 299.

„სამების“ ქრისტიანული კულტის შემონარჩუნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ ცენტრალურ ფიგურად აქ, როგორც აღვნიშნეთ, ქრისტე — „ღმერთკაცი“ გამოდის. ქრისტეს სახელთანაა დაკავშირებული ქრისტიანული რელიგიის სახელწოდება — „ქრისტიანობა“, წელთაღრიცხვა და მრავალი სხვა თარიღი, განსაკუთრებით კი რელიგიური დღესასწაულები თავისი უამრავი წეს-ჩვეულებით. ამიტომ საჭიროა გავეცნოთ თვით იესო ქრისტეს მიწიერი „ცხოვრების“ ბიოგრაფიას, კერძოდ თუ რატომ და როგორ „მოევლინა“ იგი „ცოდვილ კაცობრიობას“ „საყოველთაო მხსნელის როლში“. ჩვენი აზრით, ამ საკითხების გაშუქება ქრისტესშობის“ დღესასწაულის ანალიზით უნდა დავიწყოთ.

3. ქრისტიანული ღვთაების შობის კულტი, მისი დღესასწაული და იდეოლოგიური არსი

ქრისტიანული თეოლოგია იესო ქრისტეს „დაბადების“ („შობის“) მიზანდანიშნულებაზე. „დაბადების“ ვითარების სურათი „ახალი აღთქმის“ მიხედვით. იესო ქრისტეს კულტისა და შობის დღესასწაულის რელიგიურ-მითოლოგიური წანამძღვრები. შობის დღესასწაულის რეაქციული არსი.

ქრისტიანული ეკლესიის რელიგიურ-იდეოლოგიურ მოღვაწეობაში, აგრეთვე მორწმუნეთა სულიერ ცხოვრებაში „შობის“ დღესასწაულს ერთობ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. შობის დღესასწაული იესო ქრისტეს კულტის ერთ-ერთ მთავარ ნიშანს წარმოადგენს. იგი პირველად, როგორც იესო ქრისტეს „შობის“ დღესასწაული, რომის ეკლესიამ შემოიღო და ოფიციალურად 354 წ. 25 დეკემბერს იდღესასწაულა. ეს თარიღი, 25 დეკემბერი, როგორც შემდეგ ამის შესახებ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით, ირანული ღვთაების მითრას შობის საზეიმო ვითარებაში აღსანიშნავ დღედ ითვლებოდა, ხოლო რომის სამყაროში ქრისტიანობის წარმოშობამდე საგრძნობლად გავრცელებული იყო.

ამგვარად, ქრისტიანებს, მათი რელიგიის წარმოშობის დაახლოებით 3 საუკუნის განმავლობაში, თავიანთი ღვთაების დაბადების დღის აღსანიშნავი დღესასწაული არ ეზიარებოდათ.

იესო ქრისტეს „დაბადების“ (შობის) შესახებ ქრისტიანული რელიგიის უძველეს პირველ წყაროებში არავითარი კონკრეტული ცნობები არ მოიპოვება, ე. ი. არაა ცნობილი არა თუ თვე და დღე, არამედ წელიც კი.

თავიანთი ღვთაების, — მით უმეტეს „ღმერთ-კაცის“ — ამ ქვეყნად„ დაბადების“ თარიღის უქონლობა ქრისტიანულ ეკლესიოსნებს დიდად აწუხებდათ, მეტადრე კი მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად იქნა აღიარებული. საჭირო იყო იესო ქრისტეს „დაბადების“ თარიღის შეთხზვა. ეს მოხდა 532 წელს, როცა ბერმა დიონისემ თვითნებურად „გამოანგარიშების“ საფუძველზე „დაადგინა“, რომ იესო ქრისტე დაიბადა რომის დაარსებიდან 754 წლის შემდეგ. ეს თარიღი პირველად სცნო რომის ეკლესიამ, ხოლო შემდეგ თანდათანობით მთელ ქრისტიანულ სამყაროში შემოიღეს. ამ აქტით ქრისტიანულმა თეოლოგიამ არსებითად დაამთავრა იესო ქრისტეს ისტორიზაცია, მისი ამქვეყნიური ცხოვრება-მოღვაწეობის „ბიოგრაფიის“ შედგენა. თავისი პირველად და პრიმიტიული სახით ეს ბიოგრაფია“ მოცემულია იოანეს აპოკალიპსებში. უფრო დეტალურად და ქრისტიანული ეკლესიოსნებისათვის მისაღები სახით კი მათესა და ლუკას სახარებებში, აგრეთვე ახალი აღთქმის რამდენიმე სხვა წიგნში.

მაგრამ, როგორც ქვემოთ ამის შესახებ უფრო ვრცლად იქნება მსჯელობა, ამ ე. წ. ქრისტიანულ „საღვთო წიგნებში“, მეტადრე კი მათესა და ლუკას სახარებებში, რომლებიც ქრისტიანულ თეოლოგებს ქრისტეს ისტორიულობის უმთავრეს დოკუმენტად მიაჩნიათ. უამრავ შინაგან წინააღმდეგობებსა და შეუსაბამისობებს აქვს ადგილი.

იმ საკითხის გაშუქებამდე, თუ რამ გამოიწვია, ან რატომ გახდა „აუცილებელი“ აპოკალიპსებისაგან განსხვავებული, სახარებისეული ქრისტეს „შობის“ ახალი ლეგენდების შექმნა. უნდა გავეცნოთ ადრინდელ ქრისტიანულ წარმოდგენებს როგორც ქრისტეს შობის, აგრეთვე მისი პერსონაჟის შესახებ.

ადრინდელ ქრისტიანებს დამთავრებული სახით არათუ თავიანთი „მხსნელის“ ფიზიონომია, არამედ მისი სრული სახელწოდებაც კი (ორი სიტყვით იესო ქრისტე) არ ჰქონიათ გამოკვეთილი, მათ იგი მხოლოდ ზეციურ არსებად ჰყავდათ წარმოდგენილი. ადრინდელ ქრისტიანთა კონტიგენტი შედგებოდა რომის იმპერიის ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთაგან. უმთავრესად აქ იყვნენ მონები, ჯარისკაცები, აგრეთვე დაპყრობილი პროვინციების (პალესტინისა და ა. შ.) გაღატაკებული ფენები. საყოველთაო უუფლებობის, სასოწარკვეთილებისა და უიმედობის მძიმე ატმოსფერომ, რაც მონათმფლობელურმა რეჟიმმა რომის იმპერიის უღლის ქვეშ მგმინავ ხალხებს მოუტანა, გამოიწვია ძველი რელიგიების კრახი. გაჩნდა მოთხოვნილება ახალ

ოელიგიაზე, გაძლიერდა მესიანური იდეები ზეციური მხსნელის ახლო პომავალში მოსვლის შესახებ. ასეთი იდეები, საიდანაც შემდეგ ქრისტიანობა განვითარდა, უწინარესად ებრაელთა დიასპორაში ჩაისახა. მაგრამ თავდაპირველად როგორც დიასპორის ებრაელებში, ისე სხვა ხალხებში, სადაც მესიანური იდეები ფეხს იკიდებდა, იესო ქრისტეზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ.

ქრისტიანული იდეების ჩანასახებს პირველად ვხვდებით იოანეს აპოკალიპსებში (გამოცხადებაში) და ზოგიერთ უძველეს აპოკრიფში. იოანეს აპოკალიპსები, ფრ. ენგელსის გამოკვლევით, ადრინდელი ქრისტიანული ლიტერატურის ყველაზე ძველი ძეგლია. პირველად აქაა ნახსენები ქრისტიანული ღვთაება, მაგრამ, როგორც ითქვა, არა სრული სახელწოდებით „იესო ქრისტე, არამედ ზოგან იესოდ, ზოგან კი ქრისტედ. აღწერილია, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ პირველადი ქრისტეს — თუ იესოს-ფიზიონომია და მისი დაბადების ვითარება, რომელიც საოცრად განსხვავდება სახარებისეული ქრისტეს ფიზიონომიისა და მისი „დაბადების“ ვითარების სურათისაგანაც. ე. ი., როცა ამ ნაწილში ჩვენ იოანეს აპოკალიპსების გადმოცემებს მათესა და ლუკას სახარებათა ლეგენდებს ვადარებთ, აშკარად ვღებულობთ სხვადასხვა სურათებს. ერთ შემთხვევაში (აპოკალიპსების მიხედვით) იესო ქრისტე ზეცაში იბადება, ხოლო დასახელებულ სახარებათა ცნობებით კი დედამიწაზე, ქალ. ნაზარეთში (უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ქალაქი მაშინ არცკი არსებობდა-ავტ.) ან ბეთლემის მახლობლად რომელიღაც გამოქვაბულში იშვა. ამ „ქრისტეს“ (ე. ი. სახარებისეულ „ძე ღვთისას“), იმავე წყაროების თანახმად, დედამიწაზე სულ ბევრი 32 წელი უცხოვრია. აპოკალიპსების „ქრისტეს“ კი დედამიწაზე არც ერთი დღე არ უცხოვრია. იგი აქ (აპოკალიპსებში) მხოლოდ და მხოლოდ ზეციური არსებაა და არა სახარების „ღმერთკაცი“ თუ „განკაცებული“, ხორცშესხული „ღმერთი“.

სახარებისეული ქრისტეს მშობლებად ტომით ებრაელნი — დურგალი იოსები და დიასახლისი ქალი მარიამი ითვლება. მაგრამ იმავე წყაროების მიხედვით იოსებს იესო ქრისტეს „გაჩენაში“ არავითარი „წვლილი“ არ მიუძღვის. მათეს სახარებაში იესო ქრისტეს ჩასახვის პროცედურა ასეა გადმოცემული: უფლისაგან მოვლინებული ანგელოსი იოსებს ამშვიდებს. „იოსებ, ძეო ღვთისა! ნუ გეშინიან მიყვანებად მარიამისა, ცოლისა შენისა (ხაზი ჩვენია —ს. ს.), რამეთუ რომელი იგი მისგან იშუვეს, სულისაგან წმინდისა არს“[39]. როგორც ეხედავთ, ამ „ცოლ-ქმრიდან“ (იქვეა ნათქვამი, აგრეთვე,

39 სახარება მათესი, 1, 20.

რომ „იოსები იყო ქმარი მისი“[40], ე. ი. მარიამისა) „ღვთისმშობლად“ მარტო მარიამი გამოდის, თუ მხედველობაში არ მიკიღებთ „სულის წმინდას“, რომლის მონაწილეობით ეს „ჩასახვა“ მოხდა. აპოკალიპსების ავტორისათვის ღვთაებრივი, „უბიწო ჩასახვის“ მთელი ეს პროცედურა სრულიად უცნობია. კერძოდ, აქ არც მარიამი და არც „მამობის“ უფლებას მოკლებული[41] იოსებიც არაა ნახსენები. აპოკალიპსებში „იესოს“ თუ „ქრისტეს“ (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ნაწარმოებში ასეა დანაწევრებულად დასახელებული „ძე ღვთისა“) მშობელ დედად წარმოდგენილია უცნაური გარეგნობის ქალი, „დედაკაცი, რომელთა ემოსა მზე, და მთოვარე იყო ქვეშე ფეხთა მისთა, და თავსა ზედა გვირგვინი ათორმეტთა ვარსკვლავთა“[42].

როგორც ვხედავთ, სახარებისეულ ღვთისმშობელსა და „აპოკალიპსების დედაკაცს“ შორის საერთო სრულიად არაფერი არაა. გარდა ამისა, მათი მუცლების ნაყოფიც სრულიად სხვადასხვანაირი არსებაა. მაგალითად, თუ აპოკალიპსების „დედაკაცმა“ იესო (ან ქრისტე) ზეციური კრავის სახით შვა, რომელსაც შვიდი რქა და შვიდი თვალი გააჩნდა, იოსების მეუღლემ, მარიამმა, ქრისტიანთა მაცხოვარი ნორმალური ბავშვის სახით „დაბადა“. ამასთანავე, როგორც აღინიშნა, თვით „საღვთო“ წერილებისვე თანახმად ამ ღვთაების დაბადების აქტი სრულიადაც სხვადასხვა ადგილებსა და სხვა ვითარებაში „განხორციელდა“ (ზეცაში, დედამიწაზე — ბეთლემსა და ნაზარეთში). გამოდის, რომ ადგილის მიხედვითაც იგი რამდენიმეჯერ „იშვა“. ანალოგიური ხასიათის წინააღმდეგობებითა და აშკარა შეუსაბამობებით აღსავსეა არა მარტო სახარება, არამედ სხვა საღვთო წერილებიც. ამგვარად, მარტო ამ შედარებითაც სავსებით აშკარა ხდება, რომ „ღვთის შთაგონებით“ დაწერილ წიგნებში სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგოდ არის გადმოცემული იესო ქრისტეს გენეალოგია. საყურადღებოა, რომ იოანესა და მარკოზის სახარებებში იესო ქრისტეს ამ ქვეყნად დაბადების შესახებ და ყრმობის პერიოდზე სრული

---

40 იქვე, 19.

41 მიუხედავად ე. წ. მათეს სახარების გადმოცემისა იოსებისა და მარიამის ცოლ-ქმრის შესახებ, ეკლესიოსნები დღესაც დაჟინებით ირწმუნებიან, რომ მარიამი არ იყო იოსების მეუღლე, არამედ „მიბარებული“ იყო მოსავლელად იოსებთან, თავის ნათესავთან, რომელიღაც ტაძრის მღვდელმთავრის მიერ „როგორც დაწინდული სასძლო“ („საღვთო პატარძალი“). ასეთი მტკიცების (როგორც შემდეგ ეს უფრო ვრცლად იქნება ნაჩვენები) ძირითადი მიზანია ის, რომ მარიამი მორწმუნე მასების თვალში დააახონ, როგორც იმ თავითვე წმინდანი, რომელიც განგების მიერ მხოლოდ ღვთაებრივი არსების დაბადებისათვის იყო ვამიზნული.

42 იოანე, 12, 1.

ლუმილია. ამ სახარებათა მიხედვით, იესო ქრისტეს მიწიერი „ბიოგრაფია“ სამოღვაწეო ასპარეზზე მისი გამოსვლით იწყება, ე. ი. როცა იგი უკვე დავაჟკაცებული იყო.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ოთხივე სახარება, რომელთაგან მათესა და ლუკას სახარებებს ქრისტიანული ხუცობა იესო ქრისტეს ამქვეყნად „ცხოვრობა-მოღვაწეობის“ ყველაზე სრულყოფილ და ჭეშმარიტ „ბიოგრაფიებად“ თვლიან, თავიდან ბოლომდე მოგონილი, ბუნებრივად შეუძლებელი მოვლენების „სასწაულების“ აღწერას წარმოადგენს: მაგალითად, უბიწოდ, შეუღლების გარეშე ჩასახვა, სასწაულებრივი შობა, რაც უცნაური მოვლენებით აღინიშნება, შემდეგ თვით იესო ქრისტეს მიერ მკვდრების „გაცოცხლება“, ავადმყოფთა განკურნება და ა. შ.

· მეცნიერება გადაჭრით უკუაგდებს, ააშკარავებს ყოველგვარი სასწაულების შესაძლებლობას. ცრურწმენებს, ბიბლიის მონაჭორებს, რომლითაც აღსავსეა არა მარტო ქრისტიანული, არამედ ყველა რელიგიის ე-წ. „საღვთო წერილები“. ამიტომ არა მარტო იესო ქრისტეს დაბადების სხვადასხვა ვარიანტებს, რომლებიც „საღვთო წერილებშია“ გადმოცემული, არამედ მთლიანად მთელი ამბების გადმოცემას, თუნდაც რომ ძირითად პუნქტებში ისინი ერთმანეთს ემთხვეოდნენ, ვერავითარი მეცნიერება, კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი სინამდვილედ ვერ მიიღებდა.

ქრისტიანული „ღმერთკაცი“ — იესო ქრისტე — ისეთივე მითიური წარმოშობისაა, როგორც ყოველგვარი, და მათ შორის მისი წინამორბედი, აღმოსავლური ღვთაებანი, ბუდა, მითრა, ოსირისი და სხვ.

ამასთანავე დადგენილია, რომ ქრისტიანებმა თავიანთი ღვთაების— იესო ქრისტეს ფიზიონომიის ფორმირებისათვის ამ ღვთაებათა კულტებითაც ისარგებლეს. ეკლესიისნების მტკიცებაში იესო ქრისტეს დაბადებისა და ცხოვრების შესახებ ჭეშმარიტების ნატამალი რომ არ არის, ისტორიული მეცნიერებისათვის ეს ცხადზე უცხადესია.

ანალოგიური ხასიათის ცრურწმენებს, კერძოდ ქრისტეს სახით ღვთაებრივი პიროვნების არსებობის რწმენას, თავისი დროებითი ადგილსამყოფელი მხოლოდ მორწმუნეთა შეგნებაში გააჩნია. მაგრამ ასეთ ადამიანთა რაოდენობა სოციალური პროგრესისა და ათეიზმის განუხრელად აღორძინების გამო თანდათანობით მცირდება. ეს გარემოება კი იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ მომავალში ქრისტიანული ღვთაებაც ადამიანთა შეგნებიდან ერთხელ და სამუდამოდ გამოდევნილი იქნება. იგი „გარდაცვლილ“ ღვთაებათა პანთეონში დაბინავდება; სწორედ იქ, სადაც მისი წინამორბედი პოლითეისტური რელიგიის ათასობით, უკვე დავიწყებული, ღმერთები და წმინდანები „გა-

ნისვენებენ". ცხადია, ასევე წარსულს ჩაბარდება მორწმუნეთა ყოფაცხოვრებაში შემორჩენილი იესო ქრისტეს შობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციაც.

ქრისტიანობის ზოგიერთ მეცნიერულ მკვლევარს შორის ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებული თვალსაზრისიც არსებობს. ისინი შესაძლებლად თვლიან ისეთი რეალური, კონკრეტული ადამიანის არსებობას (იესოს ქრისტეს, იოსების თუ სხვა სახელწოდებით), რომელმაც ქრისტიანული რელიგიის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ანდა ერთგვარად მისი იდეური ფუძემდებელი იყო. ასეთ მკვლევართა უმრავლესობას, როგორც წესი, რელიგიასთან საერთო არაფერი აქვს, არ სწამთ ზებუნებრივი ძალების არსებობა, „გამოცხადება", „სასწაულები", „უბიწოდ ჩასახვის" სახარებისეული ლეგენდები და ა. შ. ამ თვალსაზრისის მომხრეთა შორის იყვნენ ან არიან მარქსისტი მკვლევარნიც, მაგალითად, ინგლისელი ისტორიკოსი რობერტსონი, ფრანგი მწერალი ა. ბარბიუსი, საბჭოთა მკვლევარი მ. ნიკოლსკი და სხვ.

თანამედროვე რელიგიები, მაშასადამე ქრისტიანობაც, „ზეშთაგონების", „გამოცხადების" შედეგი რომ არაა, არამედ საბოლოო ანგარიშით ამა თუ იმ ისტორიული ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების პროდუქტია, ამ მიმართულებისათვის სადავოდ, ცხადია, არ ითვლება. ამასთანავე, კონკრეტულად ქრისტიანობის წარმოშობის შესახებ ისინი ასე მსჯელობენ: მართალია, დასაწყისში ქრისტიანობა რომის იმპერიის ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა მოძრაობის რელიგიური იდეოლოგიური გამოხატულება იყო, მაგრამ ამ მოძრაობას, რომელიც ახალი რელიგიის დროშით წარმოებდა, თავისი ბელადები, ხელმძღვანელებიც უნდა ჰყოლოდა, მათ შორის ისეთიც, რომელიც ამ მოძრაობის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა. ასეთი პიროვნება რომელმაც აგრეთვე იდეური საფუძვლები ჩაუყარა ქრისტიანობას, უნდა ყოფილიყო სახარების მოთხრობათა მთავარი პერსონაჟის იესო ქრისტეს პროტოტიპი, რეალური, კონკრეტული ადამიანი და არა „ზეკაცი", ღვთაება და ა. შ.

სწორედ ასე აყენებდნენ ზემოდასახელებული ავტორები ქრისტეს ისტორიულობის საკითხს, რასაც სახარების ლეგენდებთან საერთო, ცხადია, არაფერი არა აქვს. თეორიულად საკითხის ასე დაყენება. რათქმა უნდა, შეიძლება. მართლაც, არსებობდა თუ არა ასეთი ადამიანი, ამ საკითხს ჩვენთვის დიდი პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ სხვა საკითხია ის, რომ რელიგია, ქრისტიანობა, ერთი ადამიანის შემოქმედებად გამოვაცხადოთ. ამის შესახებ სწორ მოსაზრებას კამოთქვამს საბჭოთა მკვლევარი ი. კრიველიოვი..

„საკითხს იმაზე, არსებობდა თუ არა იესო ქრისტე როგორც ადამიანი ამას ჩვენთვის, მარქსისტებისათვის, მსოფლმხედველობითი მნიშვნელობა არა აქვს. დედამიწაზე სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი ადამიანები არსებობდნენ, აბსტრაქტულად რომ ვიმსჯელოთ, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ცხოვრობდა ასეთი ადამიანიც და რომ მან ქრისტიანობის წარმოშობაში გარკვეული როლი შეასრულა"[43]. მაგრამ ისმება კითხვა — არსებობს თუ არა სათანადო მონაცემები იმისა, რომ ასეთი ადამიანი მართლაც არსებობდა, გვაქვს თუ არა ამის ისტორიული საფუძველი?.

ისტორიულ მეცნიერებას რომ მართლაც იესო ქრისტეს რეალურად არსებობის შესახებ სათანადო ცნობები გააჩნდეს, მაშინ, სამართლიანად შენიშნავს დასახელებული ავტორი, რაღა შეგვიშლიდა ჩვენ ხელს მისი ისტორიულად არსებობის აღიარებისათვის? „ჩვენი ათეისტური მრწამსი? რა თქმა უნდა არა, ვინაიდან ასეთი აღიარება ღმერთის რეალურადა არსებობას კი არ შეეხებოდა, არამედ ადამიანისა.

არც ათეიზმს, არც მარქსიზმს არავითარ ზიანს არ მიაყენებდა იმ ფაქტის დადგენა, რომ ოდესღაც ამ სახელწოდებით არსებობდა ადამიანი, რომელსაც ქრისტიანობის აღმოცენებაში მნიშვნელოვანი როლი შეესრულებიოს"[44]. მაგრამ ამ შემთხვევაში საკითხი — არსებობდა თუ არა იესო ქრისტე, რა თქმა უნდა როგორც ისტორიული, რეალური ადამიანი, ისტორიული მეცნიერებისათვის გადაწყვეტილია. არავითარი საფუძველი, საბუთები არ არსებობს იმისა, რომ ვამტკიცოთ ისეთი პიროვნების არსებობა, რომელიც ახალი რელიგიის, ქრისტიანობის ფუძემდებელი ყოფილიყო. ამაზე ყველაზე უფრო სარწმუნოდ პირველი საუკუნის (როდესაც თითქოს იესო ქრისტეს დედამიწაზე ცხოვრება-მოღვაწეობას ჰქონდა ადგილი) გამოჩენილი ფილოსოფოსების. ისტორიკოსების, მწერლების სრული დუმილი მეტყველებენ, მაგალითად, რომაელი ფილოსოფოს სენეკას, რომლის ეთიკური პრინციპები საფუძვლად დაედო ქრისტიანულ მორალს, პერციუსის, პლინიუს უფროსის და სხვების, რომელთაც თავიანთ თხზულებებში იესო ქრისტეს შესახებ ერთი სიტყვაც არ აქვთ დაძრული; რა თქმა უნდა, ყოველივე ეს არ შეიძლება შემთხვევითი იყოს.

კიდევ უფრო საყურადღებოა იესო ქრისტეს თითქმის თანამედროვეთა და „თანამემამულეთა" დუმილი მისი რეალურად არსებობის შესახებ. მაგალითად, ფილონ ალექსანდრიელის, რომელიც ტომით ებრაელი იყო, ებრაელ ხალხთა ცხოვრებიდან არც ერთ ცოტა თუ ბევ-

---

43 Ж. «Наука и религия», 1964, стр. 38.

44 იქვე.

რად მნიშვნელოვან, ღირსშესანიშნავ მოვლენას ყურადღების გარეშე არ სტოვებდა. იგივე ითქმის ისტორიკოსის იუსტი ტივერიადელის მიმართ და ა. შ.

ამგვარად, პირველი საუკუნის არაქრისტიან ავტორთა, ე. ი. ისეთ მოღვაწეთა, რომლებიც იესო ქრისტეს „თანამედროვეებად" და „თანამემამულეებად" გამოდიან, ასეთი დუმილი შეუძლებელია შემთხვევითი იყოს. განა დასაშვებია, რომ მათ ვერ შ ე ე მ ჩ ნ ი ა თ იესო ქრისტეს, როგორც ადამიანის, მოღვაწეობა თუ სინამდვილეში იგი მართლაც არსებობდა!

ჩვენი კვლევის საგანს, რა თქმა უნდა, იესო ქრისტეს როგორც „ადამიანის" ისტორიულად არსებობის საკითხი არ წარმოადგენს. ამ საკითხზე ისტორიული მეცნიერების უტყუარ დასკვნებს იმიტომ მივმართეთ, რომ წინასწარვე აღგვენიშნა შემდეგი: რამდენადაც იესო ქრისტე როგორც ისტორიული რეალური პიროვნება არასოდეს არ არსებობდა, ამდენადვე მის სახელთან დაკავშირებული შობის, აგრეთვე „აღდგომისა" და სხვა დღესასწაულთა წარმოშობაში „მას" (ე. ი. იესო ქრისტეს) არავითარი ბრალი არ მიუძღვის, რადგან იგი არ არსებობდა. აქ ძალაუნებურად გვახსენდება სტენდალის (ანრი მარი ბ ე ი ლ ი 1782-1842, წწ.) მოსწრებული გამოთქმა ღმერთს შეიძლება მხოლოდ ის ეპატიოს, რომ იგი არ არსებობს"[45].

ამგვარად, აზრი იესო ქრისტეს რეალურ არსებობაზე მეცნიერებისათვის, საღი გონებისათვის მიუღებელია. იგივე ითქმის ლეგენდებზე მისი „დაბადებისა" თუ „აღდგომის" შესახებაც.

მაშ საიდან, როგორ აღმოჩნდა ქრისტიანული ეკლესიების ტრადიციებში ე. წ. იესო ქრისტეს „შობის" დღესასწაული ან „აღდგომისა", როცა მისი იუბილარი მითიური პერსონაჟია? ამგვარი იდეოლოგიური ხასიათის მოვლენათა წარმოშობის ჭეშმარიტ ახსნასაც მარქსიზმ-ლენინიზმი იძლევა. ამ მოძღვრების თანახმად, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ქრისტიანობა რომის სამყაროში მონათმფლობელური რეჟიმის კრახის, მისი ხრწნის იდეოლოგიურ პროდუქტს წარმოადგენს. ამ რელიგიას ფესვები მაშინდელ ბერძნულ-რომაულ რელიგიებსა და ფილოსოფიაში აქვს. ცხადია, ქრისტიანული „შობის" დღესასწაულიც მაშინდელი იდეოლოგებისა და რელიგიური ტრადიციებისაგან დამოუკიდებლად არ შეიძლებოდა რომ შექმნილიყო. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ქრისტიანული „შობის" დღესასწაულიც თავისი მთელი რიგი იდეებით და რიტუალებით ქრისტიანობამდელი რელიგიური შეხედულებებისა და რიტუალებისაგან არის ნაწარმოები.

---

[45] В мире мудрых мыслей. 1962, стр. 212.

მართლაც, ძველი ქვეყნების ღმერთების შესახებ მითებსა და თქმულებებში, აგრეთვე ამ ღმერთების სადიდებელ საკულტო ტერმინებში „შობისა“ და სხვა თარიღების აღსანიშნავ დღესასწაულებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. რა თქმა უნდა, ასეთი ტრადიციები ამ ქვეყნებში (ეგვიპტე, ბაბილონი, საბერძნეთი და ა. შ.) ქრისტიანობის წარმოშობამდე რამდენიმე საუკუნით წინ იყო დამკვიდრებული. საყურადღებოა, რომ აღმოსავლური წარმოშობის მითები და მათი მთავარი პერსონაჟების კულტები რომის იმპერიაში ქრისტიანობის ფორმირების პერიოდში, I და II საუკუნეებში, საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. ამ პერიოდში იმპერიის მოსახლეობაში ძველი აღმოსავლეთის კულტებიდან ყველაზე მეტი პოპულარობით იზიდას (ეგვიპტე), მითრას (ირანი), ფრიგიელი ღვთაებრივი „მხსნელის“ ატისას, ღმერთთა დიდი დედის კიბელას, ბერძნული მხსნელის „დიონისეს“ და ა. შ. კულტი სარგებლობდა. იმპერიის ჯარისკაცებს, მეზღვაურებს, ხელოსნებსა და მონებს შორის ყველაზე მეტი თაყვანისმცემლები იზიდას (ქალღმერთი) ჰყავდა[46]. იზიდას სახელობაზე აგებული იყო მრავალი ტაძარი, სამლოცველო სახლი, არსებობდა, აგრეთვე, თაყვანისმცემელთა თემები[47]. იზიდას, როგორც ზეციური „მხსნელის“, ასეთი პოპულარობის გამო ფრ. ენგელსი წერდა: „იმპერიის ხანის რომში იზიდას კულტი სახელმწიფო რელიგიის შემადგენელი ნაწილი იყო“[48]. ძველი ეგვიპტური თქმულების თანახმად, ღმერთქალმა ქალწულმა იზიდამ სასწაულებრივად შვა ღვთაებრივი ყმაწვილი-ჰორა-მზის ღმერთი და იგი მშობიარობის შემდეგაც „ქალწულ დედად“ ითვლებოდა. ჰორას მოკვლა ბოროტმა ღმერთმა სეთიმ განიზრახა, მაგრამ იზიდამ, დედამისმა, ყრმა ჰორა მოსალოდნელ უბედურობას იმით გადაარჩინა, რომ იგი სადღაც თავისი შვილით (ჰორათი) გადაიხვეწა.

ეგვიპტეში დიდხანს არსებობდა ჰორას შობის აღსანიშნავი დღესასწაული, რაც განსაკუთრებულ საზეიმო ვითარებაში ტარდებოდა.

როგორც ვხედავთ, ეგვიპტური ჰორას შობასა და მის თავგადასავალთან საერთო ბევრ რამეში აქვს იესო ქრისტეს შობის დღესასწაულს. სახარების ლეგენდების მიხედვით იესო ქრისტეც უბიწოდ ჩასახვის შედეგად იშვა ქალწული მარიამისაგან, რომელიც შემდეგაც კვლავ ქალწულად რჩება. მეფე ირიდის გადაწყვეტილება ყრმა იესოს მოკვლის მიზნით ყველა ახალი დაბადებულის ამოსაჟლეტად, ბეთ-

---

[46] А. Донини, Люди, идоли и боги, 1962, стр. 98.

[47] ნ. რუმიანცევი, ცხოვრობდა თუ არა იესო ქრისტე, 1940, გვ. 13.

[48] К. Маркс и Фр. Энгельс, Соч., т. 27, стр. 201

ლემიდან ეგვიპტეში მარიამის გაქცევა ყრმა იესოს ქრისტეს გადასარჩენად და სხვა ეგვიპტური „მზის ღმერთის“ „შობის“ მითებისადმი ქრისტიანული „შობის“ დამოკიდებულებაზე მეტყველებენ.

შემთხვევითი არაა ის გარემოებაც, რომ ორივე „ქალწულ“ დედა იზიდასა და მარიამს თავიანთ ქანდაკურ გამოსახულებებში თუ სურათებში, სრულიად ერთნაირად, კალთაში უზით ყრმა ღმერთები: იზიდას-ჰორა, ხოლო მარიამს ყრმა იესო ქრისტე, რომლებსაც დედები. ამ მომენტში, ძუძუთი კვებავენ. გამოსახულებებს კიდევ სხვა რიტუალებშიაც ბევრი აქვთ საერთო. რელიგიური მითების მიხედვით, ასევე სასწაულებრივად ჩაესახა ფრიგიელ მხსნელ ღვთაებას თავისი ძე ატისი. როცა ატისი დავაჟკაცდა, „ლამაზ ჭაბუკად“ იქცა, იგი მალე ტრაგიკულად დაიღუპა. მაგრამ ღვთაებრივი სასწაულის ძალით იგი გამოცოცხლდა, მკვდრეთით აღსდგა და ზეცად ამაღლდა. სასწაულებრივი სახით ჩაისახა და შვა ადონისი ქალწულმა ქალმა მირაამ. კიდევ უფრო მეტ მსგავსებას ვხედავთ (ზოგიერთ დეტალში კი საოცარ დამთხვევას) იესო ქრისტეს შობის მითებისა და ინდოეთის ღვთაების ბუდას დაბადების შესახებ არსებულ გადმოცემებს შორის.

ამ შემთხვევაში პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს შემდეგი მომენტები: ზოგიერთი ინდური გადმოცემით ბუდა, ვიდრე ამ ქვეყნად დაიბადებოდა, უხილავი არსების სახით ზეცაში თუ სადღაც არსებობდა; როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იესო ქრისტეც ჯერ „ყოველ საუკუნეთა“ წინ უხილავად არსებობდა, ხოლო შემდეგ მოხდა მისი „გამოჩინება“, იმით, რომ ქალწულ მარიამისაგან იშვა როგორც ღმერთ-კაცი, მაგრამ ეს მოხდა ბუდას „დაბადებიდან“ დაახლოებით 500 წლის შემდეგ.

ბუდას ჩასახვისა და დაბადების ვითარების გადმოცემა ზოგიერთ ძირითად მომენტში სახარებისეულ იესო ქრისტეს „ბიოგრაფიაში“ რომ მეორდება, ეს შემდეგიდან ჩანს: ინდური გადმოცემის მიხედვით, მეფე სუდოდანის მეუღლეს მაიას სიზმარში ეუწყა, რომ მას უცნაური, ე. ი. თავისი ქმრის გარეშე, სასწაულებრივი სახით ჩაესახება ღმერთი — ბუდა და რომ ამით მას დიდად ბედნიერი დედობა მოელის. „გამოცხადებას“ სასწაულიც მალე მოყვა. ქალწულ მაიას (დააკვირდით! სახარების მითებში ქალწულ მარიამს) ახალგაზრდა, თეთრი სპილოს სახით ღმერთი ბუდა ჩაესახა. დაბადება კი ჰიმალაის მთების რომელიღაც გამოქვაბულში მოხდა[49].

ყველა ქრისტიანობამდელი მითი და ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ბევრი მეფე, იმპერატორი, სხვა გამოჩენილი ისტორიული პირი თავი-

---

[49] Д. П. Шантепи—Де-ля Соссей, დასახ, შრ., ტომი II, 1892, გვ. 82.

ანთი მამების მხრით ღვთის შვილებად ითვლებიან, ე. ი. მათმა დედებმა ისინი ამა თუ იმ ღმერთებთან შეუღლების გზით ჩაისახეს. ასეთი ლეგენდები ძველ აღმოსავლეთში ყველაზე მეტად ეგვიპტეში, ბაბილონსა და ასურეთში იყო გავრცელებული. ამიტომ იმპერატორთა თაყვანისცემაც აქ რელიგიური კულტის ხასიათს ატარებდა. პითაგორის მოწაფენი თავიანთ მასწავლებელს ღმერთ აპოლონის ძედ თვლიდნენ. ფილოსოფოსი პლატონი, რომელიც ქრისტიანული ფილოსოფიის ერთ-ერთ წარმართულ წინამორბედად ითვლება, ათენელთა წარმოდგენით მისმა დედამ აპოლონისაგან ჩაისახა.

ალექსანდრე მაკედონელს უზენაესი ღმერთის ზევსის ძედ თვლიდნენ[50]. ქრისტიანობის წარმოშობის წინ, აგრეთვე მისი წარმოშობის ეპოქაშიაც, რომის იმპერიის მმართველი ძალები ყოველნაირად შეეცადნენ იმას, რომ იმპერატორები (იულიუსი, ავგუსტე და სხვ.) ღმერთკაცებად დაესახათ და მათი, როგორც ღვთაებრივი პიროვნების, კულტი დაენერგათ. იმპერატორმა ავგუსტემ ცოტა როდი იზრუნა იმაზე, რომ... „არამცთუ ღმერთკაცი, არამედ ეგრეთ წოდებული უბიწო ჩასახვა სახელმწიფოს მიერ დაკანონებულ ფორმულებად ქცეულიყო.... მან განკარგულება გასცა ყველგან გაევრცელებინათ, რომ იგი, ავგუსტე კეისარი, „Divus" (ღვთაებრივი), თავისი მამის, ადამიანის, ძე კი არ არის, არამედ იგი დედამისს აპოლონ ღმერთისაგან შეეძინა"[51].

მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი კულტებიდან და მითებიდან სახარებისეული შობის მითებისა და დღესასწაულის ჩამოყალიბებაზე ყველაზე მეტი გავლენა მითრაიზმმა მოახდინა. მითრაიზმის სამშობლოა ირანი. მითრაიზმის წარმოშობა (პირველი ათასწლეულის დასასრულს) მონათმფლობელური წყობილებისა და მისი იდეოლოგიის იმ კრიზისთანაა დაკავშირებული, რომელმაც შემდეგ ჩ. წ. პირველ საუკუნეში რომის იმპერია და ყველა ძველი ქვეყანა მოიცვა. მითრაიზმის ძირითად ელემენტს მითრას-მზის ღვთაების — კულტი წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ, ჩ. წ. პირველი საუკუნის რომის იმპერიაში — ქრისტიანობის სამშობლოში, თვით დიასპორის ებრაელობაში, სადაც ქრისტიანობა ჩაისახა, მითრას კულტი საკმაოდ გავრცელებული იყო. მითრას კულტი ფორმირების პროცესში მყოფი ქრისტიანობისათვის ყველაზე ძლიერ მეტოქეს წარმოადგენდა და დიდ წინააღმდე-

---

[50] А л ф а - О м е г а, Христианские и Еврейские праздники и их языческие пройсхождения, 19_5, стр. 4.

[51] ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, 1955, გვ. 6

კობას უწევდა ამ ახალი რელიგიის გავრცელებას. ამ იდეურ ბრძოლაში ქრისტიანობამ მითრაიზმისაგან ბევრი რამ გადმოიღო და შეიწოვა. უწინარეს ყოვლისა, მითრასა და იესო ქრისტეს გენეალოგია თავიანთ უმნიშვნელოვანეს მომენტებში ერთმანეთს არსებითად ემთხვევიან. ცხადია, ეს გარემოება როგორც მითოლოგიური შინაარსით, ისე დოგმატიკური მხრითაც მითრაიზმისადმი ქრისტიანობის დიდ დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტეს „შობისა" და „მკვდრეთით" აღდგომის მითები, აგრეთვე მისი დღესასწაულები დავალებულია მითრას კულტისა და მისი დღესასწაულებისაგან.

მითრაისტული ლეგენდების მიხედვით მითრა, ისე როგორც იესო ქრისტე, უწინარესად ზეციური არსება იყო, ე. ი. ქვეყნის შექმნამდე ზეცაში არსებობდა, როგორც ღმერთი და ანგელოსთა მხედრობის მეთაურის, უზენაესი ღვთაების ორმუზდის გვერდით. როცა ქვეყანა შეიქმნა, მითრაც სასწაულებრივად (უბიწოდ ჩასახვის გზით დაბადა ქალწულმა ქალმა მირამ, ზოგიერთი სხვა ლეგენდის მიხედვით კი ქალღმერთმა ანაიტმა) ისე, როგორც შემდეგ სახარების იესო ქრისტე, დედამიწაზე იშვა, „განხორციელდა" ერთ-ერთ კლდოვან გამოქვაბულში. მისი დაბადება პირველად მწყემსებს გაუგიათ, გამოცხადებულან ამ ადგილს ყრმა მითრას პატივსაცემად, შემდეგ ამ მოვლენის შესახებ მთელ ქვეყანას აუწყეს და ა. შ. როგორც ვხედავთ, აქ ძნელია ვიპოვოთ არსებითი განსხვავება სახარებისეული იესო ქრისტესა და ირანული ღვთაების მითრას შესახებ გადმოცემებში.

ყველა ირანული თქმულებით მითრა ზეციური შუამავალია დედამიწაზე, მის მისიას ადამიანების ხსნა — მფარველობა შეადგენს. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვითაც იესო ქრისტე ცოდვილ დედამიწას სწორედ ამ დანიშნულებით მოევლინა, მაგრამ უფრო ფართო მასშტაბით ვიდრე ირანული მითრა. მითრაისტებს სწამთ, რომ ორმუზდმა მითრა იმ მიზნით წარმოგზავნა, რომ ადამიანებს ბოროტ არიმანსა და მის ჯოჯოხეთურ ძალებთან ბრძოლის ხერხები ასწავლოს. დაამოძღვროს ადამიანები იმაში თუ როგორ დააღწიონ მათ თავი ამ ძალების მზაკვრობას და ცდუნებებს. მითრა ახდენდა სასწაულებს არიმანის ბოროტ განზრახულობათა ჩასაშლელად. ამ მიზნით იგი ქმნიდა თავის მოწაფეთა, მიმდევართა თემებს, გადასცემდა მათ თავის მოძღვრებას, ღვთაებრივი სიბრძნის საიდუმლოებებს.

იგივე ლეგენდების მიხედვით, მითრას თავისი ამქვეყნიური მოძღვრების პირველი ეტაპის დასასრულს გამოსათხოვარი საღამო — „საიდუმლო სერობა" მოუწყვია, პურითა და ღვინით უზიარებია თა-

ვისი მოწაფენი, ხოლო ამის შემდეგ ზეცად ამაღლებულა თავისი მამასთან — ორმუზდთან. გამოსათხოვარ საღამოზე მას თავის მოწაფეთათვის მეორედ მოსვლა აღუთქვამს, არიმანის ძალებს უკანასკნელ ბრძოლას გაუმართავს, გაანადგურებს მათ და დედამიწაზე ნეტარების სასუფეველს დაამყარებს. როგორც ვხედავთ, მითრას ამქვეყნიური მოღვაწეობის „ბიოგრაფია", (რომ მითრა მეორედ გამოცხადდება ამ ქვეყნად, საბოლოოდ გაანადგურეს უწმინდურ ძალებს და ა. შ.) საოცრად ემთხვევა სახარებისეული იესო ქრისტეს „ბიოგრაფიას". რა თქმა უნდა, დავა იმაზე, რომ ეს შემთხვევითი დამთხვევაა, ყოვლად უსაფუძვლოა.

ბუნებრივია, რომ ქრისტეს „შობის" და, როგორც ამას შემდეგ ვნახავთ, „აღდგომის" დღესასწაულების შესახებ მითების შექმნა ქრისტიანობაზე იუდაიზმის დიდი გავლენითაც მოხდა. ბიბლიის (ძველი აღთქმის) წიგნებში, რომლებიც „ახალი აღთქმის" წიგნებთან შედარებით რამდენიმე საუკუნით ადრეა შექმნილი, უხვად ვხვდებით სასწაულებრივი ჩასახვა-შობის შესახებ გადმოცემებს.

უწინარესად, აქ გადმოცემულია მითიური მოსე წინასწარმეტყველის სასწაულებრივი წესით ჩასახვაზე, დაბადებაზე, ყრმობის პერიოდში მის დევნაზე და ა. შ. აგრეთვე იესო ნავინის, სამსონისა და სხვა ბიბლიური პერსონაჟების ანალოგიურ „თავგადასავალზე".

ასეთი რიგის ლეგენდებს მიეკუთვნება ღრმა მოხუცი ბიბლიური პერსონაჟების მიერ ღმერთი იეღოვას შემწეობით შვილების გაჩენა. მაგალითად, „ღმერთმა იეღოვამ აბრამს უწინასწარმეტყველა, რომ მის ცოლს — სარას, რომელიც შვილოსნობის ასაკიდან დიდი ხანია გამოსული იყო, ვაჟი ეყოლებოდა. იუდეველთა ღვთის მსახურს ზაქარიას მღვდელმსახურების დროს მთავარანგელოზმა გაბრიელმა აუწყა, რომ მის ცოლს ელისაბედს, თუმცა იგი ღრმა მოხუცია, შვილი ეყოლება" და ა. შ.[52]

ამგვარად, ძველი რელიგიების ღვთაებათა „დაბადების" და მათი ამქვეყნიური მოღვაწეობის შესახებ მითებთან იესო ქრისტეს „შობის" და მისი თავგადასავალის ეს ზოგადი შედარებაც კი საკმარისად ცხადყოფენ წარმართობისადმი ქრისტიანული მითებისა და ტრადიციების უცილობელ დამოკიდებულებაზე.

ქრისტიან თეოლოგთა მტკიცებით 25 დეკემბერი (ახალი სტილით 7 იანვარი) ზეშთაგონების ძალით მხოლოდ იესო ქრისტეს დაბადების საზეიმო ვითარებაში აღსანიშნავ დღედ არის დადგენილი. სინამდვილეში კი ასეთი რელიგიური ტრადიციები აღმოსავლეთის ქვე-

---

52 ალფა-ომეგა. იქვე, გვ 8 .

ყნების ხალხთა შორის ქრისტიანობის წარმოშობამდე გაცილებით ადრე იყო გავრცელებული.

რომსა და საბერძნეთში იესო ქრისტეს „შობის“ დღესასწაულის შემოღებამდე ამ ქვეყნების ხალხთა ტრადიციებში თამუზის, ადონისის, მითრას შობის და სხვა რელიგიურ დღესასწაულებს უმთავრესი ადგილი ეჭირა. რა თქმა უნდა, ქრისტიანული „შობის“ დღესასწაულის ჩამოყალიბებაში არა მარტო ზემოაღნიშნულ (განსაკუთრებით მითრას) კულტებს, არამედ, როგორც აღვნიშნეთ, ეგვიპტურ რელიგიურ ტრადიციებსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით.

ქრისტიანული „შობის“ დღესასწაული ბევრ მომენტში რომ ეგვიპტური რელიგიური ტრადიციების ზეგავლენას განიცდის, ამას არა თუ მარქსისტ ავტორთა გამოკვლევები, არამედ უკანასკნელად ჩვენი დროის მკვლევართა გამოკვლევებიც ცხადყოფენ. პროფ. დონინი (იტალიის კომპარტიის ერთ-ერთი მოღვაწე), რელიგიის ისტორიის მკვლევარი, თანამედროვე გერმანელ მკვლევართა ე. ნორდენისა და ე. დოლგენის სპეციალურ გამოკვლევათა დამოწმებით, წერს: „მზის ღმერთის დაბადების პატივსაცემი ეგვიპტური დღესასწაულების შესახებ ნორდენმა[53] ბევრი მასალა შეკრიბა. ნორდენი მოგვითხრობს, რომ ეგვიპტური ალექსანდრიაში ზამთრის ნებუნიობის გამო ღამით 24-დან 25 დეკემბრამდე, ქრისტიანული მითის ჩამოყალიბებამდე დიდი ხნით ადრე, დღესასწაულზე უკვდავი ყრმის, იზიდას ვაჟის (იგულისხმება ღვთაებრივი ჰორა-ს. ს.), ქანდაკება გამოქონდათ, რასაც მხიარული რიტუალური შეძახილებით მიესალმებოდნენ — „გიხაროდეთ; ყოველად წმინდამ იმშობიარა გაიმარჯვა სინათლემ“[54]. ა. დონინი დოლენგის დამოწმებით განმარტავს, რომ „ახალი წლის დაწყების აღსანიშნავად ამგვარი დღესასწაულები (ეპიფანეს დღესასწაულები) ღამით 5-დან 6 იანვრამდე იმართებოდა.

IV საუკუნის მეორე ნახევრის დოკუმენტები მოწმობენ იმაზე, რომ მთელ შუაზღვისპირეთში 25 დეკემბერს საზეიმოდ დღესასწაულობდნენ მზის დაბადების დღეს, რომელიც ყოველ წელს ახალ ცხოვრებას უბრუნდებოდა, მაგრამ ამჯერად უკვე სპარსულ ღვთაება მითრასთან, მზიურ მხსნელთან, გავლენიანი რელიგიის ცენტრალურ გამოსახულებასთანა გაიგივებული, რომლის შედარება ქრისტესთან შეიძლება[55].

---

53 იხ. ა. დონინის დასახ. შრომა, გვ. 97.

54 ეს ჩართული სიტყვები ე. ნორდინოს ეკუთვნის — ავტ.

55 ი ქ ვ ე.

ადგილობრივ ღვთაებათა „შობისა“ და „გამოცხადების“ დღესასწაულები, ჯერ კიდევ ქრისტიანობის წარმოშობამდე, იმპერიის მთელ რიგ ადგილებში 6 იანვარს იმართებოდა. მაგალითად, არაბეთში ქალ. პეტრეში — „მხოლოდ შობილისა ძისა უფლისა“ დუსაროასი, საბერძნეთსა და მის ზოგიერთ კუნძულზე-ღმერთ დიონისესი, ეგვიპტეში — ოსირისისა და სხვ. ამ მხრივ საყურადღებოა აგრეთვე ეონის შობის დღესასწაული, რომელიც ალექსანდრიაში იმართებოდა. ამ დღესასწაულმა ქრისტიანული შობის დღესასწაულის წარმოშობაზედაც იქონია გავლენა. ეგვიპტური გადმოცემის ერთი ვარიანტით ეს ღვთაებაც ქალწულისაგან იშვა[56]. ქრისტიანობის ისტორიის საბჭოთა მკვლევრის ნ. რუმიანცევის გამოკვლევით ეონი ეგვიპტური ღვთაების ოსირისისა და ბერძნული (ღვინისა და ვაზის) ღმერთის დიონისეს ნაერთს წარმოადგენს, რაც ამ ქვეყნებს შორის სავაჭრო და სამეურნეო ურთიერთობათა საფუძველზე განხორციელდა[57].

ცხადია, რომ ამ ორი სხვა და სხვა ქვეყნის ხალხის ღვთაებათა ასეთ სინთეზს მათი (ამ ღმერთების) სახელობის დღესასწაულების, რიტუალების და წესჩვეულების (ძირითადი ნაწილის მაინც) ურთიერთშერწყმაც უნდა მოყოლოდა. მართლაცდა, ეონის „შობისა“ და გამოცხადების“ საკულტო ტრადიციებიდან რომ ქრისტიანებს ზოგიერთი მისი ელემენტი გადმოუღიათ, ამაზე შემდეგი გარემოება მიგვითითებს. ეონის თაყვანისმცემლები ამ ორმაგი დღესასწაულისათვის წინასწარ ემზადებოდნენ. დღესასწაულის დღედ დადგენილი იყო 6 იანვარი. 5—6 იანვარს ღამეს წირვა-ლოცვებში ატარებდნენ. დასასრულს ტაძრის საფლავიდან“ ჯურღმულიდან., გამოჰქონდათ ეონის გამოსახულება — ქანდაკი, რომელიც ოქროს ჯვრებით იყო მორთული, და ტაძრის შუაგულს 7-ჯერ შემოატარებდნენ. დამსწრეთა წესად მიღებულ შეკითხვაზე, თუ რას მოასწავებს ეს რიტუალი — „გარეშემოვლა“ ეურუმები უმალვე უპასუხებდნენ და სხვებიც იმეორებდნენ: „დღეს (აი, ახლა) ქალწულმა შვა ეონი“. ამის შემდეგ დამსწრეთა საზეიმო განწყობილება კიდევ უფრო ძლიერდებოდა. ეონის „დაბადების“ მაუწყებელი ეს სიტყვები, რომ არაფერი ვთქვათ მისი „შობის“ საზეიმო ვითარებაში აღსანიშნავ სხვა ცერემონიებზე, როგორც მართებულად შენიშნავს ნ. რუმიანცევი, ქრისტიანული საშობაო ჰიმნის სიტყვებს — „ქალწულმა დღეს უზენაესი შვა“[58] —

---

[56] Ю. П. Францев, У истоков религии и свободомыслия, 1959, стр. 102,

[57] ნ. რუმიანცევი, დასახ. შრომა, გვ. 6.

[58] იქვე; გვ. 46

მოგვაგონებენ. რა თქმა უნდა, ეს გარემოება სრულიადაც არაა შემთხვევითი. ეს დღესასწაული მისი ძირითადი შინაარსითა და თარიღით (6 იანვარი) ალექსანდრიელმა ქრისტიანებმა მეორე საუკუნის დასასრულს გადაიღეს, ამასთანავე იგი რამდენადმე შეასწორეს და ახლი შინაარსით შეავსეს. კერძოდ, ამ დღესასწაულს დაუკავშირეს ქრისტეს შობისა და ნათლის ღების მითები, რაც ამ დროისათვის ალსებითად უკვე შედგენილი იყო. ყოველივე ამის შედეგად „წარმართული“ ორმაგი დღესასწაულის გვერდით ჩამოყალიბდა სამმაგი დღესასწაული „შობა-ღვთის გამოცხადება-ნათლის ღებას“ სახელწოდებით..

ალექსანდრიელ ქრისტიანთა ამ მაგალითს სხვა ადგილების ქრისტიანებმაც მიბაძეს და მეოთხე საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულისათვის მას მაშინდელი ქრისტიანული სამყაროს ბევრი ეკლესია ,ღესასწაულობდა. მაგრამ რომის იმპერიის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ქრისტიანებიც, ამ დროისათვის ჯერ კიდევ წარმართულ ღვთაებათა, კერძოდ, მითრის და სხვა შობის დღესასწაულის ტრადიციას მისდევდა. ასეთი მდგომარეობა 354 წლამდე გრძელდებოდა. გამარჯვებულ, სახელმწიფო რელიგიად აღიარებულ ქრისტიანობას თავისი გავლენის განმტკიცებისათვის უწინარესად ესაჭიროებოდა წარმართული კულტებისა და ტრადიციების საბოლოო დაძლევა და საკუთარი ტრადიციების, წეს-ჩვეულების დანერგვა.

ამ მიზნით რომის ეკლესიამ 354 წ. თავის კალენდარში 25 დეკემბერს საკუთრივ „ქრისტეს შობის“ დღესასწაული შემოიღო, ხოლო „ღვთის გამოცხადება, ნათლისღება“ ცალკე დღესასწაულად დასტოვა, შეუნარჩუნა მას „წარმართული“ თარიღი 6 იანვარი. ამგვარად, პირვანდელი სამმაგი ქრისტიანული დღესასწაული ორ დღესასწაულად იქნა გაყოფილი, რაც ყველა ქრისტიანული ეკლესიისათვის სავალდებულოდ გამოცხადდა. მეოთხე საუკუნის დასასრულისათვის თითქძის ყველა ქრისტიანულმა ეკლესიამ შემოიღო შობის ცალკე დღესასწაული 25 დეკემბერს, ხოლო სომხურმა ეკლესიამ უარყო იგი და დღემდე 6 იანვარს ისევ სამმაგ დღესასწაულს „შობა — ღვთის გამოცხადება-ნათლის ღება“ მართავს.

ქრისტიანულ საეკლესიო კალენდარში საკუთრივ „შობის (ე. ი. ქრისტეს დაბადების) აღსანიშნავ თარიღად 25 დეკემბრის, აგრეთვე იანვრის სამმაგი დღესასწაულიდან „შობის“ დღის დამოუკიდებელ დღესასწაულად გამოყოფის ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს მითრაიზმის წარმატებები.

ჩ. წ. აღრიცხვის პირველი ორი საუკუნის განმავლობაში მითრაიზმის გავლენა რომის იმპერიაში ისე გაიზარდა, რომ იგი ფაქტიურად სახელმწიფო რელიგიის დონემდე ამაღლდა. მითრაიზმის ამ წარმატებებში უმთავრესი როლი, ცხადია, თვით რომის გაბატონებულმა კლასებმა და მათმა იდეოლოგიურმა ძალებმა შეასრულეს. მონათმფლობელური რეჟიმის საერთო კრიზისი და აქედან წარმოშობილი საყოველთაო აპათია, დემორალიზაცია რომის ხელისუფალთ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი გზებისა და საშუალებების გადაუდებელი ძიების წინაშე აყენებდა. იმპერიის შიგნით პოლიტიკური და მორალური მდგომარეობის განმტკიცების ერთ-ერთ საშუალებად მათ ახალი. საიმპერიო მნიშვნელობის რელიგიის შექმნა დაისახეს. მალე ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯებიც გადაიდგა. პირველად ახალი რელიგიის შექმნას იმპერატორთა კულტის შემოღებით შეეცადნენ. ეს ცდა კრახით დამთავრდა. მაშინ ჯერი მითრაზე მიდგა. მითრას კულტს, გარდა იმისა, რომ იგი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში საკმაოდ პოპულარული იყო, განსაკუთრებით ბევრი თაყვანისმცემლები რომის ლეგიონთა ჯარისკაცებშიაც ჰყავდა. ჯარისკაცთა მნიშვნელოვანი ნაწილი მცირე აზიის იმ ადგილებიდან იყვნენ ჩამოსულნი, სადაც მითრაიზმი უკვე გავრცელებული იყო. ჯარისკაცთა შეგნებაში „უძლეველი მზის“ (Ral invitus) ღვთაებად იყო წარმოსახული. რომის ხელისუფალნი მოხერხებულად სარგებლობდნენ ამ მომენტით და, თავის მხრით, ყოველნაირ მფარველობას უწევდნენ მითრაიზმის პროპაგანდას, რომელსაც რომის იმპერატორთა მფარველ ღმერთად ასაღებდნენ. იმპერატორმა კომოდამ (180—192) მითრა ოფიციალურად აღიარა, იწამა უზენაეს ღმერთად და მის მისტერიებში აქტიურად მონაწილეობდა. არისტოკრატიულ წრეებში მითრას თაყვანისმცემლობამ მესამე საუკუნეში კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო.

დიოკლიტიანემ, გალერიუსმა და ლიცინიუსმა მითრას ტაძრები აუგეს, ავრელიანუსმა კი განკარგულება გასცა, რომ თვით მარსის მოედანზე (ქალ. რომი) უძლეველი მზის Ral invitus-ის პატივსაცემად ტაძარი აეგოთ. ეს ტაძარი დიდი ზეიმით აკურთხეს 274 წლის 25 დეკემბერს, ეს დღე. ირანული მითების თანახმად, მითრას დაბადების დღედ ითვლებოდა[59].

მესამე საუკუნეში მითრას კულტის პოპულარობამ ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ უკვე საკითხავი იყო თუ ვინ აჯობებდა — ქრისტიანობა თუ მიტრაიზმი. მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება, ცნობილი მიზეზების გამო, ქრისტიანობას დარჩა.

---

[59] Шарл Эншлен. Происхождение религии. 1954, стр. 132.

მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში, და კიდევ უფრო ადრე. ქრისტიანობას ძლიერი, ცენტრალიზებული ორგანიზაცია და დიდი მატერიალური შესაძლებლობები გააჩნდა. ამ დროისათვის ქრისტიანული ეკლესია თავისი პოლიტიკური იდეებით სავსებით შეგუებული იყო არსებული რეჟიმისადმი და მონათმფლობელური რეჟიმისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობას ქადაგებდა, აშკარად ამართლებდა კლასობრივ ზავსა და მორჩილების იდეოლოგიას. ცხადია, ყოველივე ამან ქრისტიანობას მეტი შესაძლებლობა მისცა 325 წელს სახელმწიფო რელიგიად გამხდარიყო.

მიუხედავად ქრისტიანობის ასეთი გამარჯვებისა, ბევრი წარმართული, მათ შორის მითრაისტული, ტრადიცია, დღესასწაული, წესჩვევა და სხვ. ჯერ კიდევ დიდ სიცოცხლისუნარიანობას ამჟღავნებდა. საჭირო იყო მათი დაძლევა და მათ ნაცვლად ახალი დღესასწაულების, წეს-ჩვეულების დანერგვა. სწორედ ქრისტიანობას, რომელიც ადრე უარყოფდა ყველა ეროვნულ რელიგიას, „ყველა მათთვის დამახასიათებელ განმასხვავებელ წეს-ჩვეულებებს" (ენგელსი), ამიერიდან თვითონვე სჭირდებოდა საკუთარი წეს-ჩვეულებები, დღესასწაულები. ამიტომ ქრისტიანული ეკლესია, სდევნიდა რა რომში გავრცელებულ რელიგიებს, ამავე დროს საბოლოოდ დაძლევისა და საკუთარი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით, როგორც ზემოთ ვნახეთ, მათ ერთგვარად გადამუშავებული სახით ღებულობდა, ანდა ზოგჯერ აშკარად „გაქრისტიანებასაც" ეწეოდა, როგორც რუმიანცევი მიუთითებდა „ქრისტიანულმა ეკლესიამ ისესხა და თავის კალენდარში შეიტანა „მზე-მიტრას შობა", რასაც ბევრი ქრისტიანი ისედაც ასრულებდა"[60]. ქრისტიანული „შობა" არსებითად რომ მითრას „შობის" გაქრისტიანებიდან წარმოდგება, ამის დასასაბუთებლად ნ. რუმიანცევი იმოწმებს ერთ-ერთი ძველი საეკლესიო მწერლის საყურადღებო სიტყვებს: „მიზეზი იმისა, თუ რატომ შესცვალეს ეკლესიის მამებმა 6 იანვრის დღესასწაული და 25 დეკემბერზე გადაიტანეს, იყო შემდეგი: სწორედ 25 დეკემბერს წარმართები მზის დაბადებას დღესასწაულობდნენ და მის სახელობაზე ცეცხლს ანთებდნენ. ამ დღესასწაულსა და მის გასართობებში ქრისტიანებიც მონაწილეობდნენ. როცა ეკლესიის მასწავლებლებმა შეამჩნიეს, რომ ამ დღესასწაულით ქრისტიანებიც იხიბლებოდნენ, მიიღეს ზომები და შობის ნამდვილი დღესასწაული ამ დღეზე (25 დეკემბერზე) გადმოიტანეს, ხოლო ღვთის გამოცხადება 6 იანვრისათვის შემოინახეს"[61]. როგორც ვხედავთ, მზის ღვთაე-

---

60 ნ. რ უ მ ი ა ნ ც ე ვ ი, დასახ. შრომა, გვ. 49.

61 ი ქ ვ ე.

ბის — მიტრას შობის დღესასწაულის „დაპყრობა“ თუ „გაქრისტიანება“ შედარებით იოლად, მარტივად მომხდარა. ასე რომ, ქრისტიანულმა ეკლესიამ 354 წელს თავის კალენდარში ერთ-ერთი მეტად საჭირო დღესასწაულის თარიღი შეიტანა და მისი კანონიზაცია მოახდინა.

ამგვარად, „...ბოლოს და ბოლოს მის (მიტრას) ადგილზე თავიანთი იესო ქრისტე დააყენეს როგორც მზის ღმერთი. ამნაირად 25 დეკემბერი შობისა და წმიდა დღესასწაულის დღედ გახდა“[62].

საყურადღებოა, რომ რომის ეკლესიის მიერ იესო ქრისტეს დაბადების თარიღად და დღესასწაულად 25 დეკემბრის გამოცხადებას თვით ქრისტიანთა შორის მაშინვე მოწინააღმდეგენი აღმოუჩნდნენ. მაგალითად, ანტიოქიის ეკლესიებში დიდი ხნის განმავლობაში წარმოებდა დავა იმაზე, თუ რომელია იესო ქრისტეს შობის „ნამდვილი დღე“ — 6 იანვარი თუ 25 დეკემბერი. ამ საკითხზე, ქრისტიანთა შორის აზრთა სხვადასხვაობის გამო, ცნობილი ღვთისმეტყველი იოანე ოქროპირი ერთ-ერთ თავის სამოძღვრებო გამოსვლაში ანტიოქელ ქრისტიანთა წინაშე 386 წ. 25 დეკემბერს ამბობდა: „რაზე გსურთ თქვენ დღეს მოისმინოთ? აბა სხვაზე რა თუ არა სწორედ ამავე დღის შესახებ. მე კარგად ვიცი, რომ ბევრი ამაზე ერთმანეთს შორის ამჟამადაც დაობს, ერთნი კიცხავენ, მეორენი ამართლებენ და ყველგან ბევრს ლაპარაკობენ ამ დღის (25 დეკემბრის — ს. ს.) შესახებ, ზოგი წინააღმდეგია მისი, ამტკიცებენ, რომ იგი ახალია, არაა ძველი, ახლახან შემოღებულიაო, სხვები კი მისი მომხრე არიან, ამტკიცებენ, რომ იგი ძველია, დიდიხნისაა“[63] და ა. შ. ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ იოანე ოქროპირი თავისი თვალსაზრისის დასაბუთებისათვის (რომ 25 დეკემბერს სწორედ იესო ქრისტე დაიბადა და ამიტომ შობის დღესასწაული ამ დღეს უნდა ედღესასწაულათ — ს. ს.) ამაოდ მიმართავს ძველი და ახალი აღთქმის ლეგენდებს, სადაც, როგორც ეს ჩვენ ადრევე აღვნიშნეთ, იესო ქრისტეს არც დაბადების წელზე, მით უმეტეს, არც დაბადების დღის შესახებ სრულიად არაფერია ნათქვამი. ასე ცდილობდნენ და ამჟამადაც ცდილობენ ქრისტიანი მამები ძველი რელიგიებისადმი, მათი კულტებისადმი, კერძოდ მიტრაიზმისადმი, ქრისტინობის აშკარა იდეური დამოკიდებულების მიჩქმალვას.

ქრისტიანული შობის დღესასწაული, სადაც არ უნდა ტარდებოდეს იგი (დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა შორის თუ კაპიტალისტურ სამყაროში), თავისი რელიგიური იდეებით, საშობაო მოწოდე-

---

62 ალ ფ ა-ო მ ე გ ა. დასახ. შრომა, გვ. 71.

63 Творения святого отца нашего Иоанна Златоуста, т. II, 1896, стр. 388.

ბებით (დღესასწაულის წინ) ყოველგან მავნე იდეოლოგიის პროპაგანდას წარმოადგენს. საშობაო მოწოდებები მეტად მავნე სოციალურ პრინციპებს ქადაგებენ. შობის დღესასწაული, რომელიც ჩვეულებრივად სამ დღეს გრძელდება, უწინარეს ყოვლისა მშრომელთა რელიგიური გაბრუების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას წარმოადგენს. ეკლესიოსნებისა და რელიგიური სექტანტებისათვის შობის დღესასწაული და მასთან დაკავშირებული მღვდელმსახურება მეტად ეფექტური საშუალებაა მორწმუნეთა მთელი ყურადღების ქიმერული, მოჩვენებითის სამყაროსაკენ — საიქიო ცხოვრებისაკენ მისაპყრობად.

წარსულში შობის დღესასწაული ილუზორული იმედებით კვებავდა და დღესაც კვებავს კაპიტალის სამყაროში მშრომელთა მნიშვნელოვან მასებს და ამით ადუნებს მათ ნებისყოფას, ბრძოლის უნარიანობას, აქ, დედამიწაზე ნამდვილი, ბედნიერი ცხოვრების დამყარებისათვის.

ე. წ. ქრისტიანულ სამყაროში შობის დღესასწაულს, მისი იდეოლოგიის ასეთი შინაარსის გამო, ექსპლოატატორული კლასები ყველგან დიდი ყურადღებით ეკიდებიან, ყოველნაირად მხარს უჭერენ მას. რუსეთში მეფის მთავრობამ „შობა“ სახელმწიფო დღესასწაულად გადააქცია, დაუთმო მას სამი დღე. ამ დროის განმავლობაში მუშაობას სწყვეტდა თითქმის ყველა დაწესებულება, დღესასწაულში აბამდნენ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, რომლებსაც ითხოვდნენ საშობაო არდადეგებზე და ავალდებულებდნენ ყველა საეკლესიო წირვა-ლოცვის მოსმენას.

კაპიტალისტურ სამყაროში შობის დღესასწაულის ჩატარების ანალოგიური პრაქტიკა არათუ დღემდე ძალაშია, არამედ მას ამჟამად კიდევ უფრო მეტი მზრუნველობით ეკიდებიან. დასავლეთის ბევრი ეკლესიის, კერძოდ კათოლიკური ეკლესიების, მესვეურნი თანამედროვეობის სულისკვეთების შესაბამისად ცოტას როდი ზრუნავენ იესო ქრისტეს პროლეტარული წარმოშობის „დასამტკიცებლად“. აღსანიშნავია, რომ მორწმუნეთა წინაშე იესო ქრისტეს ასეთ დახასიათებას და მთელ ამ სიყალბეთა შესახებ ქადაგებას ისინი, პირველყოვლისა, „შობის“ (ხოლო შემდეგ „აღდგომის“) დღესასწაულის დღეებში ეწევიან. კულტის მსახურთა ამ ახალი, მორიგი ნაყალბევის შინაარსი ასეთია: იესო ქრისტე დედამიწაზე ღარიბულად ცხოვრობდა. ითმენდა სიღატაკეში ცხოვრებას და ყოველგვარ გაჭირვებას უდრტვინელად იტანდა, ე. ი. ითმენდა ყველაფერს და ჩვენც, ადამიანებსაც, მოთმინებას გვასწავლიდა. ისინი ამჟამადაც ქადაგებენ, რომ მისი მშობლები მშრომელები იყვნენ: იოსები (მამა) დურგლობდა.. ხოლო დედა-მარიამი შინამრეწველი (მქსოველი) იყო.

ამგვარად, თანამედროვე ხუცობის დახასიათებით იესო ქრისტე, როგორც პირადი მდგომარეობით, ასევე სოციალური წარმოშობით თუ სავსებით პროლეტარი არა, ხელმოკლე მშრომელი და მშრომელთა წარმომადგენელი მაინც იყო. ასეთი „მოძღვრების“ პროპაგანდით ეკლესიოსნები მორწმუნეთა მასებს ერთობ მავნე იდეებს შთააგონებენ. სახელდობრ, რომ მშრომელთა ნამდვილი ბელადი და მასწავლებელი მხოლოდ „ღმერთი კაცი“ იესო ქრისტეა, რომ მშრომელთა ხსნის მოძღვრებას „ქრისტეს სარწმუნოება“ წარმოადგენს. ქრისტიანობა კი (და არა მხოლოდ ეს რელიგია) ყველა ჩაგრულს ამქვეყნიური ჭირვარამიდან „ხსნას“ და საუკუნო ბედნიერ ცხოვრებას ზეცაში — საიქიოში აღუთქვამს. რა თქმა უნდა, ექსპლოატატორული კლასებისათვის ასეთი იდეოლოგია ერთობ სასურველი და ხელსაყრელია.

ამიტომაა, რომ შობის წინა დღეებში, როგორც წარსულში, ასევე ჩვენს დროშიც, საშობო მოწოდებებით გამოდიოდნენ და კვლავაც გამოდიან კაპიტალისტური ბანაკის არა მარტო მაღალი თანამდებობის სასულიერო პირები, არამედ საერო ხელისუფალნიც. „შობის“ დღეებში ხუცობასთან ერთად ასეთი მოწოდებებით გამოდიან პრეზიდენტები, მეფენი, მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები.

როგორც წესი, „საშობაო მიმართვები“ ყველას, განურჩევლად მათი კლასობრივი მდგომარეობისა, ურთიერთპატივისცემის, პატიებისა და ურთიერთსიყვარულის შესახებ მოუწოდებენ. ჩაგრულებმა უნდა შეიყვარონ თავიანთი მჩაგვრელები, ე. ი. ექსპლოატატორები, უნდა ილოცონ ერთმანეთისათვის და „ქრისტეს სიყვარულით“ იცხოვრონ სოციალური და ეკონომიური ჩაგვრის პირობებში. ამ მიზნით „შობის“ დღესასწაულის დღეებში ეკლესიოსნებს მორწმუნეთა მთელი ყურადღება მითიური იესო ქრისტეს მოწოდებებზე გადააქვთ.:“ გიყვარდეთ მტერნი თქვენნი, და აკუთხევდით მაწყევართა თქვენთა, და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა, და ულოცავდით, მათ, რომელნიც მძლავრობდენ თქვენ და გდევნიდნენ თქვენ“ (მათე 5,44).

ქრისტიანული შობის დღესასწაულს დაახლოებით 1600 წლის ისტორია გააჩნია. ამ ხნის განმავლობაში (მეტადრე დღესასწაულის დღეებში) ეკლესიოსნები განუწყვეტლივ ავრცელებდნენ ლეგენებს, რომ „იესო ქრისტე მშვიდობის მოციქულია, რომ მან დედამიწაზე, კაცთა შორის მშვიდობა და სათნოება „დაამყარა. მაგრამ ისტორია სრულიად საწინააღმდეგოს მეტყველებს. მართლაცდა სხვა, უფრო ძველ რელიგიებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თვით ქრისტიანობის წარმოშობიდან დღემდე შეუძლებელია ისეთი წელის დასახელებაც-კი, როცა „ღვთით გაჩენილ და კუთხეულ“ დედამიწაზე მშვიდობა და ყოვე-

ლი ადამიანი სათნოებით აღჭურვილი რომ ყოფილიყო. პირიქით, ადამიანები უძველესი დროიდან, ვიდრე დღემდე, უფრო და უფრო მეტად განიცდიან გამანადგურებელი, სისხლის მღვრელი ომების საშინელებებს; ქრისტიანული ეკლესია კი, საერთოდ, არათუ კიცხავდა და კიცხავს ამას, არამედ ღვთაებრივ სანქციას, გამართლებას აძლევდა მას.

ასე იყო ფეოდალიზმის ეპოქაში, ასეთივეა ქრისტიანელი კლერიკალობის პოზიციები დღესაც (მაგალითად, ვიეტნამში და სხვ.). მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, იმპერიალისტური ძალები კლერიკალების ჩათვლით კვლავ ღაღადებენ იმას, რომ ადამიანთა შორის ნამდვილი მშვიდობის დამყარება ქრისტიანიზმის აღორძინებით შეიძლება. სწორედ ასეთი რეაქციული იდეების საქადაგებლად გამოიყენა შობის დღესასწაული ერთ-ერთ თავის გამოსვლაში, 1958 წ. 26 დეკემბერს, კანცლერმა ადენაუერმა. მან, როგორც ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ლიდერმა, ამ დღეს განაცხადა: „ჩვენ აღგვეთქვა მშვიდობა, მაგრამ მას მხლოდ მაშინ მივიღებთ, როცა უწინარეს ყოვლისა, ღმერთსა ვსცემთ თაყვანს, შინაგანი მშვიდობა თითოეული ჩვენთაგანისათვის ცალ-ცალკე და მშვიდობა ყველასათვის... მე მგონია, ჩვენ ყველანი ერთობ ცოტას ვფიქრობთ იმაზე, რომ, უწინარეს ყოვლისა, ღვთისადმი თაყვანისცემა გვმართებს. ჩვენ ყველას, მიუხედავად იმისა თუ ვინა ვართ ჩვენ და რას ვაკეთებთ, პირველ ყოვლისა ღვთისადმი თაყვანისცემა გვმართებს, რომ ჩვენ და ყველას მშვიდობა გვექნეს... ადამიანის გონება, მისი სული შეურყეველია იმიტომ, რომ ღვთაებრივი წარმოშობისაა... დიდება უზენაესს! ვადიდოდ ღმერთი, მაშინ აღსრულდება ანგელოსთა დანაპირები. მშვიდობა დედამიწაზე და კაცთა შორის კეთილი განწყობილება“[64].

ქრისტიანობის აღდგენა-აღორძინების შესახებ ქადაგებებით (დასავლეთის ქვეყნებში) ბევრი სახელმწიფო მოღვაწე გამოდის. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არაა. ძველი სამყაროს როგორც სასულიერო, ასევე საერო ხელისუფალნი ამჟამად ყველაზე მწვავედ გრძნობენ, რომ ქრისტიანობისა და მისი ეკლესიის წინანდელი როლი და მნიშვნელობა მშრომელთა კლასობრივი შეგნების დაჩლუნგებაში განუხრელად ეცემა. სწორედ ამით აიხსნება, რომ თანამედროვე ბნელეთის მოციქულები ანაფორიანი და უანაფორო ხუცები ყოველნაირი საშუალებებით ცდილობენ ქრისტიანობის აღორძინებას. ამ ამოცანის განსახორციელებლად ისინი განსაკუთრებული მზრუნველობას იჩენენ შობის (და სხვა) დღესასწაულების მაღალ იდეურ დონეზე ჩასატარებლად.

---

64 Ж. «Наука и религия», 1958, № 4, стр. 53.

ამ მიზნით დასავლეთის მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში მთავრობამ შემოიღო სპეციალური საშობაო არდადეგები. ამ დღეებში მუშაობა წყდება წარმოება-დაწესებულებებში, სწავლა — სკოლებში და ა. შ. საშობაო წირვა-ლოცვებსა და ცერემონიებში მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ ოფიციალური, სახელმწიფო პირებიც. ამ დღეებში ეკლესიის ამბიონებიდან ეკლესიოსნები აღფრთოვანებით წარმოთქვამენ ქრისტეს სადიდებელ ჰიმნს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება". ამ სადიდებელს მხურვალედ ეხმაურებიან ამ ქვეყნების მმართველი წრეები, ე. წ. „ძალის პოლიტიკის", რევანშიზმის, მესამე იმპერიალისტური ომის გაჩაღების მომხრენი და ორგანიზატორები. რეაქციის ამ ძალებს, რომლებიც შობის დღესასწაულს, მორწმუნე მასების თვალის ახვევის მიზნით, თავიანთი მოჩვენებითი „ღვთისმოსაობის", „ღვთის მოშიშობის" საჩვენებლად იყენებენ, ნამდვილ მშვიდობასთან საერთო არაფერი აქვთ. სწორედ ასეთმა ძალებმა, ჩვენს საუკუნეებში, კაცობრიობას ორჯერ მოახვიეს თავს მსოფლიო ომი.

ამგვარად, საშობაო ლოზუნგები და მოწოდებები მათ სულ სხვანაირად აქვთ გაგებული. ქრისტიანული „მშვიდობა" მათ ესმით როგორც კაპიტალისტთა ,და მემამულეთა მშვიდობიანი, უშფოთველი ცხოვრება, „კაცთა შორის სათნოების" და „კეთილგანწყობილების" მოწოდება კი როგორც მოთხოვნა, რომ ჩაგრულნი და ექსპლოატირებულნი მათი მჩაგვრელებისადმი სათნონი და კეთილისმყოფელნი იყვნენ.

„შობას", როგორც ერთ-ერთ მთავარ ქრისტიანულ დღესასწაულს, ჩვენი საზოგადოებისათვისაც სერიოზული მნიშვნელობის იდეოლოგიური და მატერიალური ზიანი მოაქვს. ეკლესიოსნები და რელიგიური სექტანტობა წარსულის ამ გადმონაშთს უწინარესად რელიგიური ცრურწმენების გამოსაცოცხლებლად იყენებენ. ბუნებრივია, ჩვენს ქვეყანაშიაც „შობის" დღესასწაულის დღეებში მშრომელ მორწმუნეთა მთელი ყურადღება კულტის მსახურებს მითიურ იესო ქრისტეზე გადააქვთ.

რელიგიური იდეოლოგიის თვალსაზრისით იმ ქადაგებათა შორის, რასაც ჩვენი ქვეყნის ეკლესიონები და მათი დასავლეთელი თანამოსაყდრენი ეწევიან, არავითარი განსხვავება არ არსებობს. კულტის მსახურნი შობის დღესასწაულის დღეებში (სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ) ჩვენს პირობებშიც ქადაგებენ იმას, რომ ამ დღეს „კაცთა ხსნისათვის" ხორციელად იშვა უფალი ქრისტე. ვისთვისაც ყველა ადამიანი ძვირფასი და ახლობელია... „ვინც დედამიწაზე კეთილმყოფელი მშვიდობა

ბოიტანა"[65]. ასეთი ქადაგებით მიმართავდა რუსეთის მართლმადიდებლობის ერთ-ერთი ბოძთაგანი ჩვენი ქვეყნის მშრომელ მორწმუნეთ. შობის დღესასწაულთან დაკავშირებით ანალოგიური შინაარსის ქადაგებით ამოძღვრებდა მისი ერთ-ერთი თანამოსაყრდე მრევლს. მისი მტკიცებით იესო ქრისტე ყველა ადამიანის ხსნისათვის იშვა, ყველა დროების — წარსულის, აწმყოსა და მომავლისა... მაშ თაყვანი ვსცეთ, მას, ვადიდოთ მისი დაბადება"[66]. თუ რა იგულისხმება ქრისტიანულ „ხსნაში", ეს არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს: ესაა „სამოთხე" — ბედნიერების ზეციური სასუფეველი, რასაც, მათი მტკიცებით, მართლმორწმუნენი სიკვდილის შემდეგ მოიპოვებენ.

გარდა იდეურისა, შობის დღესასწაული მნიშვნელოვან მატერიალურ ზიანსაც აყენებს კომუნიზმის მშენებელ ადამიანებს. იგი დაკავშირებულია მრავალი შოკადღის გაცდენასთან, უმიზნო, უნაყოფო ხარჯებთან.

4. ქრისტიანული აღდგომის დღესასწაული

ეკლესიოსნები „აღდგომის" დღესასწაულის განსაკუთრებულობის შესახებ. აღდგომის დღესასწაულის რელიგიურ-მითოლოგიური ფესვები და წანამძღვრები. აღდგომის დღესასწაულის რეაქციული არსი.

როგორც აღვნიშნეთ, ქრისტიანული საეკლესიო კალენდარით სხვა უამრავი დღესასწაულიდან მთავარ დღესასწაულებად მხოლოდ 12-ია მიჩნეული, მაგრამ ამ რიცხვში არ შედის „აღდგომის" დღესასწაული, რადგან, მათივე განმარტებით, იგი ხარისხით ყველაზე მაღლა დგას, ყველას აღემატება, განსაკუთრებულია. ჯერ კიდევ გრიგოლ ღვთისმეტყველი, IV საუკუნის საეკლესიო მოღვაწე, წერდა: აღდგომა „ჩვენთვის უქმეთა უქმეა და დღესასწაულთა დღესასწაული, აღემატება ყველა დღესასწაულს არა მარტო ადამიანურს და მიწიერს, არამედ ქრისტიანობრივს და ქრისტესათვის შესრულებულთაც ისე, როგორც მზე ვარსკვლავთ აღემატება"[67]. ასე ესმით თანამედროვე ეკლესიოსნებსა აღდგომის დიდი უპირატესობა და მნიშვნელობა ყველა სხვა დღესასწაულთან შედარებით. მაგალითად, მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალის ერთ-ერთ კორესპონდენტის განმარტებით „ეკლესიის

---

[65] Журнал московской патриархий, 1963, № 12, стр. 5.

[66] Ж. М. П., 1954, № 11, стр. 16.

[67] Св. Григорий Богослов..., т. 1, стр. 662-

ეს უდიდესი დღესასწაული ყველა დღესასწაულისაგან გამოირჩევა. როგორც გამოვლინება ქრისტეს ყოვლისშემძლეობისა, სასწაულების განმტკიცებისა და საწინდარი ჩვენი აღორძინებისა"[68].

ცნობილია, რომ ეკლესიოსნები არცერთ სხვა დღესასწაულის ჩატარებისათვის ისეთი გულმოდგინეობითა და ხანგრძლივობით არ ემზადებიან, როგორც „აღდგომის" დღესასწაულისათვის. მზადება აღდგომის დღესასწაულის „ღირსეულად" ჩატარებისათვის იანვრის პირველი რიცხვებიდანვე, ე. ი. რამდენიმე თვით ადრე, იწყება, უფრო ზუსტად კი 5 იანვრიდან. ე. წ. „ღვთის გამოცხადების" დღესასწაულის წინა დღიდან. ამ დღიდან დაწყებული „აღდგომის" დადგომამდე, რაც მარტის ან აპრილის (ძვ. სტ.) ერთ-ერთ კვირა დღეს ხვდება, მთელი ყურადღება მორწმუნეთა იდეურ შემზადებაზეა გადატანილი. ამ პერიოდში მორწმუნეებმა მკაცრად უნდა დაიცვან ე. წ. 40-დღიანი დიდი მარხვის წესები, როცა არათუ ხორცეულის, არამედ რძის ნაწარმის პროდუქტთა ჭამაც კი უდიდეს ცოდვა-დანაშაულად ითვლება. ეკლესიებში ამ ხნის განმავლობაში თითქმის განუწყვეტლივ მიმდინარეობს სპეციალური დანიშნულების წირვალოცვები, მორწმუნეთა მიერ, მათი სულის გაწმენდის მიზნით, ცოდვათა მონანიება და, ბოლოს, ზიარების მიღება, რათა ღირსეულად, დამსახურებულად შეხვდნენ ამ დღეს. „აღდგომის" დღეებში ეკლესიოსნები კიდევ უფრო აძლიერებენ თავიანთ სამოძღვრებო ქადაგებებს მითიური ქრისტეს ამ ქვეყნად „მოწამებრივი სიკვდილისა" და „მკვდრეთით აღდგომის — გაცოცხლების" შესახებ.

რატომ ემზადებიან ასე საგანგებოდ და განსაკუთრებული გულმოდგინების ვითარებაში ატარებენ სწორედ ამ დღესასწაულს? ამ საკითხის საიდუმლოებას გვიხსნის თვით ის მიზან-დანიშნულება, რასაც ქრისტიანული თეოლოგია ქრისტეს, მკვდრეთით აღდგომის" დოგმატში ხედავს. საღვთო წერილების მიხედვით იესო ქრისტე „ცოდვილ" კაცობრიობას მათი ხსნის გულისათვის მოეელინა, სწორედ ამ მიზნით „განკაცდა", ანუ ხორციელ იქნა იგი, რათა ადამიანებსა და მას შორის უშუალო კონტაქტი დამყარებულიყო. ამ სასწაულის შედეგად იგი მანამდე უხილავი არსებიდან ხილულ ღვთაებად იქცა, უშუალოდ. პირადად დაამოძღვრა ადამიანები ამქვეყნიური ტანჯული ცხოვრებიდან საუკუნო სასუფეველში — სამოთხეში მისასვლელი გზების მოძღვრებით.

ბიბლიის ზღაპრების მიხედვით ქრისტეს ამქვეყნური მოღვაწეობის ცენტრალურ მომენტს მისი „მოწამებრივი სიკვდილი" და „მკვდ-

---

[68] Ж. М. П., 1956, № 5, стр. 28.

რეთით აღდგომა“ წარმოადგენს. ამიტომ იესო ქრისტეს, როგორც ყოვლისშემძლე ღმერთის, რეპუტაცია ჩვეულებრივი ადამიანის ხელით სიკვდილით რომ არ შელახულიყო რადგან ღმერთები საერთოდ არ კვდებიან, მით უმეტეს მომაკვდავათ მათი მოკვდინება არ შეუძლიათ. სახარების შემთხზველებმა სათანადოდ იზრუნეს. სახარებისა და სხვა საღვთო წერილთა მონაჯორების მიხედვით (რასაც დღემდე დაჟინებით ავრცელებენ ეკლესიისნები), ებრაელთა მიერ ქრისტეს წამება და ხორციელი (და არა სულიერი) სიკვდილი თურმე თვით მისივე სურვილების, წინასწარი განზრახულობის შესაბამისად მომხდარა, რათა საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანით სამუდამოდ გამოესყიდა ყველა ადამიანის ცოდვა-დანაშაული. იგი ეწამა და გარდაიცვალა როგორც „ღმერთკაცი“ (ე. ი., როგორც ეკლესიაში გვარწმუნებენ, მასში მოკვდა ადამიანური ბუნება-ს. ს.), ხოლო მესამე დღეს აღსდგა როგორც ღმერთი, ამაღლდა ზეცად, ე. ი. დაბრუნდა იქ, საიდანაც იგი ცოდვილ დედამიწას მოევლინა. ამგვარად, იესო ქრისტე კვლავ არსებობს, იგი არ მომკვდარა, რადგან ყოვლისშემძლე და ყოვლის შემქნელი არ შეიძლება კვდებოდეს, უკვალოდ ქრებოდეს.

აი, სწორედ ასეთი წარმოდგენებისა და იდეების დანერგვა შეადგენს სააღდგომო დღესასწაულის უმთავრეს მიზანს. თუ ქრისტიანობის ამღიარებელთ „მკვდრეთით აღდგომის“ რწმენა შეერყევათ, მაშინ ქრისტეს ღმერთობის რწმენაც შეირყევა, რაც ქრისტიანობის ავტორიტეტს ყველაზე დიდ საფრთხეს უქადის. ეს მომენტი გათვალისწინებული ჰქონდათ ქრისტიანული საღვთო წერილების შემქმნელებს. მაგალითად, კორინთელთადმი ე. წ. პავლე მოციქულის წერილობით მიმართვაში ვკითხულობთ: „უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ცუდად სამე არს ქადაგებაი ეს ჩუენი და ცუდად არს სარწმუნოებაი ეგე თქვენი“. შემდეგ, „და უკეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს ამაო არს სარწმუნოება ეგე თქვენი“[69] (ხაზი ჩვენია — ს. ს.) ასე მსჯელობენ დღესაც ჩვენი თანამემამულე მართლმადიდებლური მიმართულების ეკლესიისნები და მათი დასავლეთის თანამოსაყდრენი. „აღდგომის უარყოფა — წერენ ისინი, — აუცილებლად სარწმუნოების რღვევას იწვევს“ — „ქრისტეს აღდგომა სარწმუნოების საფუძველია... ქრისტიანობის მთლიანობა ქრისტეს აღდგომის შესახებ დოგმატს ემყარება“[70] და ა. შ.

ამგვარად სავსებით აშკარა ხდება თუ რატომ აქცევენ ეკლესიოს-

---

[69] სახარება — 1. კორინთელთა 15, 14, 17.

[70] Ж. М. П. 1957 № 4, стр. 37, 38.

ნები აღდგომის დღესასწაულს განსაკუთრებულ ყურადღებას, რატომ ზრუნავენ სხვა დღესასწაულებთან შედარებით, მის რაც შეიძლება მაღალიდეურ და ორგანიზებულ დონეზე ჩატარებისათვის. „მკვდრეთით აღდგომის“ შესახებ ქრისტიანული დოგმატის შერყევა (თუმცა იგი დიდი ხანია შერყეულია), როგორც ამას თანამედროვე ჩვენი თანამემამულე ეკლესიოსნებიც აღიარებენ, ქრისტიანობის მთელ საფუძველს არყევს.

ეკლესიოსნების მტკიცებით „აღდგომის“ დღესასწაული საკუთრივ ქრისტიანული ტრადიციაა, რადგანაც სხვას, ქრისტიანობამდელ რელიგიებს, ასეთი დღესასწაული თითქოს არ გააჩნდა, რომ ნამდვილად „მკვდრეთით“ აღდგომა იესო ქრისტესი მოხდა და არა სხვა რელიგიათა ღმერთებისა და ა. შ. რა თქმა უნდა, არც ერთ ამ დებულებაში ჭეშმარიტების ნატამალიც არაა. ბუნებაში არავითარი ზებუნებრივი ძალები არ არსებობს...“ დროსა და სივრცის გარეშე მყოფნი არსებანი, — წერს ვ. ი. ლენინი. — რომლებიც ხუცობამ შექმნა და რომელნიც ეაცობრიობის უმეცარი და დაბეჩავებული მასის წარმოსახვაში არსებობენ, ავადმყოფური ფანტაზიაა, ფილოსოფიური იდეალიზმის ფანდებია, უვარგისი საზოგადოებრივი წყობილების უვარგისი პროდუქტია“[71]. სწორედ ამგვარი წყობილების, სახელდობრ, მონათმფლობელური რომის იმპერიის პროდუქტის სახით წარმოიშვა ქრისტიანობა (და მისი მთავარი ელემენტი — ახალი ღმერთი იესო ქრისტეს სახელწოდებით).

ისმება კითხვა, საიდან და როგორ გაჩნდა ქრისტიანულ კალენდარში ე. წ. აღდგომის დღესასწაული? აღდგომის ქრისტიანული დღესასწაულიც თავისი ფესვებით წარმართული წარმოშობისაა. წარმართული რელიგიებიდან ქრისტიანებმა ამ შემთხვევაშიც ბევრი რამ გადაიღეს, გადაამუშავეს და საკუთარი „აღდგომის“ დღესასწაულის შექმნისათვის გამოიყენს. უწინარეს ყოვლისა, ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ აღდგომის ქრისტიანულ დღესასწაულს ბევრი საერთო აქვს წარმართულ რელიგიათა ტრადიციებთან, მათი ღმერთების მკვდრეთით აღდგომის — გამოცოცხლების აღსანიშნავ ცერემონიებთან, წესჩვეულებებთან. მივმართოთ ფაქტებს: თავდაპირველად ძველი აღმოსავლეთის (ბაბილონი, ეგვიპტე, ასურეთი და სხვა) ქვეყნებში, ხოლო შემდეგ რომის იმპერიის ხალხებში (ქრისტიანობის წარმოშობამდე მრავალი საუკუნით ადრე) გავრცელებული იყო რწმენა ისეთი ღმერთების არსებობაზე, რომლებიც შემოდგომობით კვდებიან, ხოლო გაზაფხულობით ისევ ცოცხლდებიან. ეს ღმერთები — ოზირისი ეგვიპტეში, დიონისე —საბერძნეთში, ადონისი-ფინიკიაში, ატისი-ფრიგიაში და სხვ.

[71] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 229.

— მიწათმოქმედების, მცენარეულობის მფარველ ღმერთებად ითვლებოდნენ. ამ ხალხთა შეგნებაში მცენარეთა დაჭკნობა-სიკვდილი, ხოლო გაზაფხულზე მათი გამოცოცხლება ანუ თესლისაგან მცენარეულის აღმოცენება-გახარება ღმერთების კვდომა-გაცოცხლებას განასახიერებდა.

უძველეს ხალხებს სწამდათ, რომ ეს ღმერთები თავიანთი სიკვდილით მსხვერპლად ეწირებოდნენ ადამიანთა კეთილდღეობას, ხოლო დასაფლავების შემდეგ, რაც თესვას განასახიერებდა, მათი ისევ გაცოცხლება ადამიანთა სიცოცხლის უზრუნველსაყოფად ხდებოდა. ცენარეულობისა და მდინარეთა ღმერთი ოზირისი, რომელიც ხალხს მიწათმოქმედებას ასწავლიდა, ეგვიპტური ლეგენდების მიხედვით, ვერაგულად მოჰკლა თავისმა ძმამ სეტმა, მაგრამ სასწაულებრივი ძალით იგი ისევ გაცოცხლდა. ოზირისის პატივსაცემად აწყობდნენ დღესასწაულს, რომლის შინაარსს, ისე როგორც შემდეგ ქრისტიანული აღდგომის შინაარსს, მისი სიკვდილის დატირება, დიდი მწუხარება, ხოლო აღდგომისა ანუ გაცოცხლების გამო სიხარული და ზეიმი წარმოადგენდა. ეს დღესასწაული, აგრეთვე, საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაწყების ნიშნის მიცემასაც წარმოადგენდა.

არანაკლებ გავრცელებული იყო ადონისის კულტიც. ლეგენდების მიხედვით ისიც, ისე როგორც შემდეგ იესო ქრისტე, ვერაგულად მოკლეს. მაგრამ იგი, როგორც ღვთაება, კვლავ გაცოცხლდა —მკვდრეთით აღსდგა. გარდა ამ მომენტებისა, ქრისტიანულ აღდგომის შინაარსი ადონისის აღდგომის დღესასწაულს ბევრ სხვა მომენტშიც ემთხვევა.

ადონისის თაყვანისმცემელნი წინასწარი მზადებით ხვდებოდნენ მის დღესასწაულს, რასაც გაზაფხულობით აღნიშნავდნენ. საყურადღეობა, რომ ეს დღესასწაული იმ თვეებში იმართეობდა (მარტი-აპრილი) და დაახლოებით იმ რიცხვებში, რასაც მრავალი საუკუნის შემდეგ ქრისტიანული აღდგომის თარიღები მიუახლოვდნენ. ადონისის აღდგომის ცერემონიალი, ისე როგორც ამას ქრისტიანულ ტრადიციაში ვხედავთ, ორი მთავარი ნაწილისაგან შედგებოდა: დღესასწაულის მოახლოების ერთი კვირით ადრე ადონისის თაყვანისმცემლები მწუხარებას ეძლეოდნენ, დასტიროდნენ მის სიკდვილს, მარხულობდნენ, მოსანანიებელ წეს-ჩვეულებებს ასრულებდნენ. როგორც ვხედავთ, ამ წეს-ჩვევებს სავსებით შეესაბამება ის წეს-ჩვევები, რასაც ქრისტიანები ე. წ. „ვნების“ კვირის განმავლობაში ასრულებენ.

ამ კულტის მეორე ნაწილი იწყება შეძახილით: „ადონისი აღსდგა“. ამას მოჰყვებოდა დამსწრეთა მიერ ურთიერთმილოცვა ადონისის

„გაცოცხლების“ გამო და საერთო ზეიმი. ძნელი არაა იმის დანახვა, რომ მწუხრის დღეები, რაც ქრისტიანული აღდგომის დღეს საერთო ზეიმით იცვლებოდა და მორწმუნენი ერთმანეთს „ქრისტე აღსდგას“ სიტყვებით მიმართავდნენ, მეტწილად ადონისის დღესასწაულის განმეორებას წარმოადგენს.

ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი ატისის კულტის დროსაც. გადმოცემის მიხედვით, ისიც ტრაგიკულად კვდებოდა. მისი სისხლით შეიღება დედამიწა, რითაც მას დიდი ცხოველმყოფელი ძალა მიეცა, მცენარეულობით შეიმოსა. ატისის თაყვანისმცემელნი მარტის 24-ში აწყობდნენ მის დატირებას, გლოვას, ხოლო 25 მარტს საერთო ზეიმის ვითარებაში აღნიშნავდნენ მისი მკვდრეთით აღდგომას.

ქრისტიანული აღდგომის წეს-ჩვეულების, ცრურწმენების შემუშავებაში კიდევ უფრო მეტი წვლილი მიუძღვის მომთაბარე ებრაელთა უძველეს რელიგიურ დღესასწაულს „პასექს“ ანუ „აღდგომას“. როგორც ვხედავთ, ადრინდელ ქრისტიანობას თავის აღდგომის სახელწოდება ებრაელებიდან გადაუღია.

თავდაპირველად „პასექი“ მომთაბარე ებრალთა მესაქონლეობის საგაზაფხულო დღესასწაული იყო. ამ დღეს ასრულებდნენ სხვადასხვა მაგიურ წესებს ავი სულებისაგან პირუტყვის დასაცავად. მათი გულის მოსალბობად მსხვერპლად სწირავდნენ ბატკნებს, თიკნებს. მათივე სისხლით მოაპკურებდნენ იმ ადგილს, სადაც პირუტყვი ედგათ, შემდეგ მართავდნენ საერთო ზეიმს.

მიწათმოქმედებაზე გადასვლის შემდეგ „პასექის“ ამ დღესასწაულთან ერთად ტრადიციად დაინერგა პურეულის მკის დაწყების აღსანიშნავი დღესასწაული „მაცა“, ე. ი. ხმიადი პურის დღესასწაული. ამ დღეს ადგილობრივ, მემინდვრეობის მფარველ, ღმერთებს პირველ თავთავებსა და ახალი ფქვილიდან გამომცხვარ პურს სწირავდნენ.

ებრაელი ხალხის შემდგომ სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას მათი ნაციონალური სახელმწიფოს შექმნა მოჰყვა. შეიქმნა ერთიანი პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი ქალაქ იერუსალიმის სახით, სადაც მთავარი ღვთაების ადგილი იეღოვას კულტმა დაიჭირა. ე. ი. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მათ რელიგიაშიც. ებრაელმა ქურუმებმა იეღოვას კულტის განმტკიცების მიზნით პასექის დღესასწაული, რომელსაც უკვე შეწოვილი ჰქონდა დღესასწაულ „მაცას“ წეს-ჩვეული, „ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლის“ ბიბლიურ მითებს დაუკავშირეს, ამასთანავე ქადაგებდნენ, რომ პასექი თვით ღმერთმა იეღოვამ დააწესაო. პასექის დღესასწაულის შემდგომი ცვლილებანი ებრაელთა დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაცემისა და ებრაელ ხალხთა რომის იმპერიის კაბალაში ჩავარდნასთანაა დაკავშირებული. ამ

ვითარებასთან დაკავშირებით აღორძინდა მესიანიზმი — იდეა ღვთაებრივი მხსნელის—მესიის მალე მოსვლის შესახებ, რომელიც გაანთავისუფლებდა ებრაელებს რომის უღლისაგან და ღვთაების სამეფოს ამ ქვეყნად შექმნიდა. ებრაელმა ქურუმებმა მესიანიზმი პასექის დღესასწაულს დაუკავშირეს და გადააქციეს იდეოლოგიურ ბაზად იმ რეაქციული იდეების საქადაგებლად, რომ ებრაელთა განთავისუფლება მხოლოდ მესიაზე, მხსნელზეა დამოკიდებული, რომელიც ქვეყანას ზეციდან მოევლინება.

ზეციური მხსნელის ეს იდეა დიასპორის — სამშობლოდან გადახვეწილ ებრაელთა შეგნებაში, დაკარგა რა ზოგიერთი ეროვნული ატრიბუტი, თანდათანობით საყოველთაო მხსნელის იდეად განვითარდა. ზეციური მხსნელის ეს იდეა პასექის ძირითადი შინაარსი გახდა.

ეს დღესასწაული ადრინდელმა ქრისტიანებმა I-II საუკუნეებში გადაიღეს, ამასთანავე გადაამუშავეს, დაუკავშირეს მას სახარების ქრისტეს „ბიოგრაფიები", შეავსეს აღმოსავლურ კულტებთან დაკავშირებული დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულების რიგი ელემენტებით, შექმნეს საკუთარი დღესასწაული — ქრისტეს აღდგომა.

თავდაპირველად ქრისტიანები დღესასწაულს ებრაელ პასექთან ერთად, ერთდროულად აღნიშნავდნენ, ე. ი. ნისანის თვის (მარტი-აპრილი) 14 რიცხვიდან. შემდეგში, იუდაური ტრადიციებისაგან გათიშვის მიზნით, ქრისტიანული ეკლესიების პირველმა მსოფლიო კრებამ 325 წელს დაადგინა, რომ ქრისტეს აღდგომა ედღესასწაულათ გაზაფხულის ბუნიობის (დღე-ღამის გათანაბრების) პირველ კვირას, სავსე მთვარის შემდეგ, ამიტომ აღდგომის დღესასწაულის დღე — თარიღი მოძრავია. იგი ხან მარტის, ხან აპრილის და ზოგჯერ კიდევ მაისის თვეში (ძვ. სტ.) ხვდება.

რაში მდგომარეობს აღდგომის დღესასწაულის რეაქციული არსი? ამ დღესასწაულს (და არა მხოლოდ მას) კულტის მსახურნი ყოველთვის უკავშირებენ მავნე, ანტიმეცნიერული მსოფლმხედველობისა და სოციალური პრინციპების ქადაგებას. უწინარეს ყოვლისა, აღდგომის დღესასწაულის დღეებში მორწმუნეთა მთელ ყურადღებას მიაპყრობენ იმაზე, რომ არსებობს ორი სამყარო: სააქაო და საიქიო. სააქაო წარმავალი, დროებით სამყაროა, სადაც ადამიანთა საყოველთაო ცოდვიანობის გამო ტანჯული ცხოვრება თითოეული ადამიანის უცილობელი ხვედრია, საიქიო ცხოვრება კი საუკუნო ბედნიერების სასუფეველია, სამოთხეა. სიკვდილის შემდეგ სამოთხის საგზურს ისინი მოიპოვებდნენ, ანუ „მკვდრეთით აღსდგებიან", ვინც ამ ქვეყნად, ცოდვილ დედამიწაზე ტანჯვას, დამცირებას, ყოველგვარ გაჭირვებას მოთმინებით, სულიერი მხნეობით გადაიტანს. ხუცობის მტკიცებით:

„ცოდვებში ჩაფლულ ადამიანებს“ ასეთი გზით ხსნის მაგალითი თვით ქრისტე ღმერთმა მისცა თავისი ნებაყოფლობითი, მოწამებრივი სიკვდილით... „ქრისტემ ჩვენთვის ივნო...“ ე. ი. იტანჯა და ჩვენთვისაც ასე ინება — ქადაგებს ხუცობა. ან კიდევ „რომელმან სრულიად დაითმინონ იგი ჰცხოვნდეს“, იუწყება მათეს სახარება (2.22).

აღდგომის დღესასწაულს უკავშირებენ, აგრეთვე სოციალურად მავნე იდეის ქადაგებას, რომ კლასობრივ საზოგადოებათა მთელი უკეთღმართობა და ბოროტება, მძარცველური ომები, მშრომელთა ექსპლოატაცია, უმუშევრობა, სიღატაკე, სოციალური დაავადებანი და ა. შ. წარმოებდა არა თვით ასეთ საზოგადოებათა ბუნებიდან, არამედ ადამიანთა რაღაც თანდაყოლილი ცოდვებისაგან. ექსპლოატატორთა სასარგებლოდ ხუცობა ირწმუნება, რომ ადამიანთა ეს საყოველთაო ცოდვიანობა ადამისა და ევადან მომდინარეობს. სწორედ მათ ჩაიდინეს პირველი ცოდვა-დანაშაული სამოთხის აკრძალული ხილის (ვაშლის) შეჭმით. ამიტომ, ღმერთმა ისინი სამოთხიდან განდევნა და დედამიწაზე ტანჯული ცხოვრება მიუსაჯა. ასეთი რელიგიური იდეების ქადაგებით, ბუნებრივია ხუცობა ექსპლოატატორულ კლასებს ერთობ დიდ სამსახურს უწევს. იგი ღვთის სახელით ამართლებს ექსპლოატატორთა ძალმომრეობასა და ბატონობას. აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებულ ლოზუნგებში აშკარად მოჩანს მოწოდებები სოციალური ჩაგვრის ყოველგვარ სისტემასთან ჩაგრულთა შერიგებისა, მათ მიერ კლასობრივ ბრძოლაზე ხელის აღებისა, ყოველგვარი წინააღმდეგობის გაუწევლობისა და ა. შ.

ასეთ შინაარს შეიცავს ერთ-ერთი საადგომო ლოზუნგი: „ერთმანეთს გადავეხვიოთ და აღდგომა დღეს მოძულეთა ჩვენთა ყველაფერი ვაპატიოთ“.

აღდგომის დღესასწაულს, როგორც წარსულის გადმონაშთებს. სოციალური საზოგადოებისათვის სერიოზული ზიანი მოაქვს. იგი ხელს უწყობს მშრომელთა ერთი ნაწილის შეგნებაში შემორჩენილი ცრუმორწმუნების გამოცოცხლებას, მათი არსებობის გახანგრძლივებას. კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს, მთელ პროგრესულ კაცობრიობას თავისი სანუკვარი საღი დღესასწაულები აქვს. ეს დღესასწაულები თავისი იდეური შინაარსით, მოწოდებებით ხელს უწყობს აქ. დედამიწაზე, ნამდვილი ბედნიერების სამეფოს — კომუნიზმის აშენებას. ერთ-ერთ ასეთ დღესასწაულს წარმოადგენს პირველი მაისი — კაცობრიობის ეს ნამდვილი გაზაფხული, რომელიც ქრისტიანული ეკლესიის საგაზაფხულო დღესასწაულს, აღდგომას თანდათანობით წარსულის არქივში აბარებს.

5. „ღვთისმშობლის“ — „წმ. მარიამის“ ქრისტიანული კულტის წარმოშობა და იდეოლოგიური არსი

„წმ. მარიამი“ ქრისტიანული წყაროების მიხედვით. სახელწოდება „მარიამი“ ძველ აღთქმასა და სხვა არაქრისტიანულ-რელიგიურ გადმოცემებში. მარიამის კულტის დღესასწაულები. „წმ. მარიამის“ კულტი თანამედროვე კათოლიციზმში. „წმ. მარიამის“ კულტი თანამედროვე მართლმადიდებლობაში. ღვთისმშობლის კულტის იდეოლოგიური და კლასობრივი არსი.

ქრისტიანული რელიგიის ამღიარებელთა სულიერ ცხოვრებაში „ღვთისმშობლის“ — წმ. მარიამის კულტს თითქმის არა ნაკლები ადგილი უჭირავს, ვიდრე თვით იესო ქრისტეს კულტს.

ამასთანავე წმ. მარიამი, „როგორც დედა ღვთისა“, ქალთა მასებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. მორწმუნე ქალები მას ყველაზე მახლობელ ღვთაებრივ არსებად თვლიან და ამიტომ ყოველგვარი გაჭირვებისას უფრო „თამამად“ სწორედ მას მიმართავენ. რა თქმა უნდა, ეს გარემოება ქრისტიანობის პროპაგანდის მეტი ეფექტურობის მიზნით ეკლესიოსნებმა იმთავითვე გაითვალისწინეს და მას ყოველნაირად იყენებდნენ და ახლაც იყენებენ.

„წმ. მარიამის“, როგორც საკუთრივ ქრისტიანული ღვთისმშობლის, კულტის შექმნა თვით ქრისტიანობის წარმოშობამ გამოიწვია. ცხადია, მისი შექმნა ქრისტიანული რელიგიის ფორმირების გარკვეულ ეტაპთანაა დაკავშირებული. იგი უფრო გვიანდელი მოვლენაა, ვიდრე თვით რელიგია-ქრისტიანობა. პირვანდელი მითები იესო ქრისტეზე გაცილებით (ერთი საუკუნით მაინც) ადრე იყო შექმნილი ვიდრე სახარების მითები მარიამის შესახებ. ამგვარად, ადრინდელ ქრისტიანთა წრმოდგენებსა და რელიგიურ ფანტაზიებში ჯერ იესო ქრისტე „იშვა“ — წარმოისახა, ხოლო შემდეგ მისი ხორციელი „მშობელი მარიამი“, ე. ი. როცა თავისი ძირითადი ნიშნებით იესო ქრისტეს პერსონაჟი ჩამოყალიბდა, შემდეგ ჯერი მისი მიწიერი მშობლის-მარიამის განსახიერებაზე მიდგა. რომ ასეთ „თანმიმდევრობას“ აქვს ადგილი, ამას პირველი ორი საუკუნის ქრისტიანობის ისტორია მეტყველებს.

ქრისტე-მესიის შესახებ არსებული ლეგენდები, მიწიერ ცხოვრებასთან რამდენადმე დაახლოებული შინაარსი, ჩ. წ. მეორე საუკუნის წყაროებში, კერძოდ, სახარებებშია (უმთავრესად მათესა და ლუკას) ასახული. „ძე ღმერთი“ (იესო ქრისტე) ღმერთ-კაცის სახით სწორედ დასახელებულ სახარებებსა და შემდგომ შეთხზულ საღვთო წერილებშია წარმოდგენილი. პირველად ამ წყაროებშია ლაპარაკი

მარიამზედაც, როგორც „ქალწულ დედაზე“, მიწიერ ქალზე, რომელმაც შვა ღმერთი და არა ჩვეულებრივი, „ცოდვილი“ ადამიანი. ამიტომ იგი ქრისტიანული ეკლესიის აღიარებით მარად ქალწული და მარად წმინდა არსებაა. „ეკლესია, ვადაგებენ თანამედროვე მართლმადიდებლები, თაყვანს სცემს ყოვლად წმინდა ქალწულ მარიამს, როგორც მარად ქალწულ დედას, ე. ი. როგორც ქალწულს შობამდე, მშობიარობაში და მშობიარობის შემდეგ“[72].

არის თუ არა „ღვთისმშობლის“ ეს პერსონაჟი საკუთრივ, მთლიანად, ქრისტიანული ეკლესიოსნების შემოქმედება? რა თქმა უნდა, არა. ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ, რომ წმ. მარიამს ძველი აღმოსავლეთის რელიგიებში საკმაო რაოდენობით მოეპოვება „წინაპარი“ ქალები, რომელთაც ძველი მითები არა მარტო მეფე-იმპერატორთა (ღმერთებთან შეუღლებით) დედობას მიაწერენ, არამედ ძველი რელიგიების ღვთაებათა მშობლებადაც არიან წარმოდგენილნი. ცხრადია (როგორც ამაზე ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება მსჯელობა), ქრისტიანობის მქადაგებლებმა ახალი რელიგიის-ქრისტიანობის — განმტკიცების მიზნით მარჯვედ გამოიყენეს ეს მითები თავიანთი „ძე ღმერთის“ იესო ქრისტეს დედა-მშობლის ანუ ქრისტიანული „ღვთისმშობლის“ განსახიერებისათვის. აქ სწორედ ისე მოხდა როგორც ლ. ფოიერბახის ერთ-ერთ ირონიულ გამოთქმაშია: „სადაც ძე არის, იქ დედაც უნდა იყოს“[73].

ამგვარად, ქრისტიანობის ადრინდელმა აპოლოგეტებმა, იმისათვის, რომ იესო ქრისტეს სახარებისეულ „ბიოგრაფიას“ მეტი დამაჯერებელი ხასიათი მისცემოდა, წარმართული წყაროების გამოყენებით „წმ. მარიამის“ პერსონაჟიც შეთხზეს. იგი ისტორიულ პიროვნებად დასახეს, ხოლო მისი უბიწოდ ორსულობა და მშობიარობა რეალურ სინამდვილედ გამოაცხადეს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანული წყაროები ღვთისმშობელზე ბევრ ურთიერთ საწინააღმდეგო ცნობას, გადმოცემას შეიცავს.

ამ გარემოების ნათელსაყოფად გავეცნოთ ქრისტიანული ღვთისმშობლის პერსონაჟს ე. წ. კანონიკური და აპოკრიფული ლიტერატურის მიხედვით. როცა ამ წყაროებს ერთმანეთს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ქრისტიანული ღვთისმშობლის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო, შეუსაბამო გადმოცემებსა და ცნობებს ადგილი აქვს არა მარტო, ერთი მხრივ, აპოკრიფულს, ეკლესიების მიერ უარყო-

---

[72] Ж. М. П., 1955 № 12, стр. 50.

[73] ლ უ დ ვ ი გ ფ ო ი ე რ ბ ა ხ ი, ქრისტიანობის არსება, 1956, გვ. 113.

ფილ ქრისტიანულ ლიტერატურასა და, მეორე მხრივ, კანონიკურ საღვთო წერილებს შორის, არამედ თვით კანონიკურ ანუ „ჭეშმარიტ სახარებებს“ შორისაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამის შესახებ არავითარი წარმოდგენა არა აქვს არათუ მორწმუნეთა დაბალ ფენებეს, არმაედ ბევრ რიგით კულტმსახურსაც კი. ეს გარემოება ადვილად აიხსნება. ჯერ ერთი, ხუცობის „განსწავლული“, ამ საქმეში კარგად ჩახედული ნაწილი, უფრო სწორად ეკლესიის უმაღლესი ხელისუფალნი, ამ საკითხზე საერთოდ სდუმან, მორწმუნეთა მასების გასაგონად არავითარ კომენტარებს არ აკეთებენ. მათ კარგად იციან, რომ ასეთი კომენტარების გაკეთებას მორწმუნეთა თვალში „საღვთო წერილების“ ანუ ღვთით შთაგონებული „წიგნების“ ავტორიტეტის შერყევა მოჰყვება. ღვთისმშობლის შესახებ „საღვთო წერილებში“ არსებულ ამ წინააღმდეგობებზე, ურთიერთსაპირისპირო გადმოცემებზე მსჯელობას ეკლესიის ხელისუფალნი რიგით (ე. ი. მორწმუნეთა მრეველთან უშუალოდ დაკავშირებულ) მღვდლებსაც კი უკრძალავდნენ. ამასთანავე ეკლესიოსნები საუკუნეების მანძილზე სასტიკად სდევნიდნენ და ავიწროებდნენ იმათ ვინც ღვთისმშობლის შესახებ ოდნავ კრიტიკულ აზრს გამოთქვამდა, ეჭვს შეიტანდა მის „ღვთისმშობლობაში“. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც ეს კეთდებოდა იმ მიზნით, რომ მორწმუნეთა მასებისათვის „საღვთო“-ღვთის კარნახით თუ შთაგონებით დაწერილ-წიგნებს შორის არსებული წინააღმდეგობები შეუმჩნეველი დარჩენილიყო, აგრეთვე, რომ ქრისტიანული ღვთისმშობლის რეპუტაცია არ შელახულიყო.

ახლა ვნახოთ, როგორ ჰქონდათ წარმოსახული ჩ. წ. პირველი ორი საუკუნის ქრისტიანებს მათი „ღვთისმშობელი“. კანონიკური საღვთო წერილებიდან ქრისტიანული ღვთისმშობლის შესახებ ყველაზე ადრინდელ გადმოცემებს იოანეს აპოკალიპსებში („გამოცხადებაში“) ვხვდებით. როცა ამ წიგნის „ღვთისმშობელს“ სახარებათა წიგნების (რომელიც არაუადრეს მეორე საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება) „ღვთისმშობლის“ ფიზიონომიას და მის „ბიოგრაფებს“ ვადარებთ, მათ შორის დიდი განსხვავებანი აშკარავდება.

ჯერ ერთი, აპოკალიპსების ღვთისმშობელი რაღაც კოსმიური არსების სახით წარმოგვიდგება. ესაა...“ დედაკაცი, რომელსაც ემოსა მზე: და მთვარე იყო ქვეშე ფერხთა მისთა; და თავსა ზედა გვირგვინი ათორმეტთა ვარსკვლავთა“[74]. მაშასადამე, იგი ზეციური არსებაა.

---

[74] გამოცხადება იოანესი, 12, 1.

აქვე შვა მან ძე თვისი „კრავის“ სახით. აქ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ იგი იესო ქრისტეს მშობელია, მხოლოდ შემდეგ მიიჩნიეს ქრისტიანობის სულიერმა მამებმა ეს „კრავი“ ყრმა იესო ქრისტედ. აპოკალიპსებში აღწერილია ამბავი, რომ ახალშობილის შეჭმა განუზრახავს გველეშაპს, მაგრამ ეს „ზეციერი“ „დედაკაცი“ გაქცევით იხსნის მას.

როგორც ვხედავთ, ამ „დედაკაცს“, რომელსაც სახელწოდებაც კი არა აქვს (ხოლო სახელი მარიამი აქ ერთხელაც არაა ნახსენები), თითქმის არავითარი ადამიანური ნიშანი არ გააჩნია, იგი არც მარიამად იწოდება. ეს უსახელო „დედაკაცი“ უფრო „ზეციური დედოფლის“ შესახებ ძველ აღმოსავლურ წარმოდგენებს მოგვაგონებს, ვიდრე უფრო გვიან შეთხზული წიგნების-სახარებების ღარიბ ებრაელ ქალს, მარიამს. სახარებებში მარიამის მშობელსა და მათ წინაპირებზე ცოტა რამ როდია ნათქვამი, ხოლო აპოკალიპსებში — სრულიად არაფერი.

როგორც აღვნიშნეთ, აპოკალიპსების „დედაკაცის“ მშობიარობა სადღაც ზეცაში, გაურკვეველ ადგილას ხდება. სახარების ღვთისმშობლის — მარიამისა კი დედამიწაზე, თანაც გარკვეულ გეოგრაფიულ კოორდინატებსა და მშვიდ ვითარებაში. მარიამს, განსხვავებით აპოკალიპსების „კოსმიური“ დედაკაცისა, მშობიარობის დროს არ ემუქრება „ვეშაპი დიდი ცეცხლისა“, რომ „შთანთქოს შვილი. მისი“[75]. ამგვარად, გარდა იმისა, რომ ამ წყაროების-იოანეს აპოკალიპსებისა და სახარებების-ლეგენდათა შედარება ღვთისმშობლის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო გადმოცემებს ამჟღავნებენ, არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომ აპოკალიპსების ავტორს დედაკაცის პერსონაჟის სახით იესო ქრისტეს დედა–მარიამი ჰყავდეს მხედველობაში.

მარიამის — როგორც იესო ქრისტეს მშობლის-სახელწოდება პირველად სახარებებში გვხვდება, აგრეთვე ზოგიერთ აპოკრიფულ ნაწარმოებში. მათესა და ლუკას სახარებებში გარკვეულადაა ნათქვამი, რომ მარიამი ქრისტეს მშობელია და არა აპოკალიპსების „კრავისა“. მარიამი აქ, განსხვავებით აპოკალიპსების „დედაკაცისა“, ჩვეულებრივი ქალის სახითაა წარმოდგენილი. მისი მშობიარობაც, როგორც ითქვა, გარდა ზოგიერთი მომენტისა, ჩვეულებრივ ვითარებაში განხორციელდა.

---

75 გამოცხადება იოანესი, 12.1

როგორ ვხედავთ, იესო ქრისტეს ისტორიზაცია და, მასთან ერთად, მისი „დედის“ ამ ქვეყნად რეალურ პიროვნებად დასახვა მეორე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებულა. ეს კი სწორედ ის პერიოდია, როცა ყველაზე გვიანდელი (მათეს და ლუკას) სახარებები იწერებოდა. რაც შეეხება უფრო ადრინდელ სახარებებს, როგორიცაა მარკოზისა და იოანესი, აქ არც იესო ქრისტეს დედამიწაზე დაბადებაზე, მაშასადამე, არც მარიამის მშობიარობაზე ერთი სიტყვაც არაა დაძრული. რა თქმა უნდა, ეს იმაზე მიუთითებს, რომ „წმ. მარიამის“ სახით ქრისტიანული ღვთისმშობლის ფაბრიკაცია ამ სახარებებზე უფრო გვიანდელია. საყურადღებოა, რომ ამ პერიოდში მითიურ მარიამზე რაიმე ცნობებს არც არაქრისტიანულ წყაროებშ ვხვდებით.

მაგრამ, მას შემდეგ, რაც მათესა და ლუკას სახარებები დაიწერა და ამით იესო ქრისტეს ამ ქვეყნად „ხორციელად“ მშობელის ვინაობა „ცნობილი“ გახდა, მარიამის „დედობის“ (მაშასადამე. „ღვთისმშობლობის“) საკითხი თვით ქრისტიანთა შორისაც დიდი დავის საგანს წარმოადგენდა. დოგმატიკური ხასიათის მწვავე დავაკამათმა იმაზე, თუ ვინ იყო მარიამი, შეიძლება თუ არა „ღვთის მშობლად“ მისი მიჩნევა და სხვ., მეოთხე საუკუნემდე გასტანა. ქრისტიანული ეკლესიის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე, აგრეთვე რიგითი მორწმუნე გადაჭრით უარყოფდა სახარების ლეგენდებს, რომ მარიამი „ღვთისმშობელია“. ასეთ თვალსაზრისზე იდგა ზოგიერთი ქრისტიანული სექტაც. მაგალითად, ემიონიტები[76] იესო ქრისტეს თვლიდნენ ჩვეულებრივ ღარიბ ადამიანად, რომელიც მარიამს ქმართან შეუღლების შედეგად შეეძინა და თავისი მოძღურება-ქადაგებით წმინდანის სახელი დაიმსახურა. გნოსტიკების (სექტანტ.) რწმენით მარიამი საერთოდ არ არსებობდა. იესო ქრისტე მათ მხოლოდ ღმერთად (და არა ღმერთ-კაცად) მიაჩნდათ, რომელმაც დედამიწაზე ადამიანის სახე მიიღო.

თუ როგორ მწვავედ მდგარა ეს საკითხი მეოთხე საუკუნეშიც კი, ეს ნათლად ჩანს იოანე ოქროპირის (34—407) ქადაგებებიდან. იოანე ოქროპირი აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის წინამძღვარი და პირველი იდეოლოგი იყო. ცხადია, რომ იგი მარიამის მიერ ქრისტე ღმერთის „ხორციელად“ დაბადების სახარებისეულ მითებს თავგამოდებით იცავდა. ერთ-ერთ თავის საჯარო გამოსვლაში, 386 წ. 25 დეკემბერს, „საუბარი შობის დღის შესახებ“, იგი

---

[76] „ემიონ“ ძველ ებრაელად ღატაკს, ღარიბს ნიშნავს. აქედან წარმოდგება ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული სექტის სახელწოდება-ებიონიტი — ავტ.

ამბობდა: „ვინაიდან ბევრი ელინელი (ე. ი. წარმართნი) ღმერთის ხორციელად[77] დაბადებაზე მქირდავად იცინის და ბევრ გულუბრყვილოს აწუხებს და აცბუნებს, ამიტომ იმათაც აუცილებლად უნდა ვუთხრათ რამე, აგრეთვე შეცბუნებულთაც, რათა უგნურ ადამიანთა შთაგონებით არასდროს შფოთვა არ განიცადონ და არ შედრკნენ ურჯულოთა ხარხარისაგან"[78].

ახლა გავეცნოთ იმ „არგუმენტებს", რითაც იოანე ოქროპირი თავისი მრევლის დამშვიდებას ლამობს, აგრეთვე „მქირდავ" წარმართთა „ურწმუნოების" გაჭარწყლებას ცდილობს, რომელთაც იესო ქრისტეს ხორციელად დაბადება (და საერთოდ მისი ოდესღაც დედამიწაზე არსებობა), როგორც სიყალბე, სასაცილოდ მიაჩნიათ. პირველ ყოვლისა, მათეს სახარების მითების საფუძველზე იოანე ოქროპირი მარიამის მუცელში იესო ქრისტეს ჩასახვის თვეს „ადგენს". ასეთ თვედ, მისი თვითნებური გამოანგარიშებით, აპრილი „აღმოჩნდა". თუ აპრილის თვიდან, ამბობდა იგი, ცხრა თვეს გადავითვლით..." ჩვენ მივალთ ნამდვილ თვემდე, როცა უფალი იესო ქრისტე დაიბადა"[79]. მაგრამ თუ რომელ წელს მოხდა „დაბადება უფლისა", ან რატომ 25 დეკემბერს, არც უფრო ადრე, არც ცოტა გვიან ან იმაზე, რომ 25 დეკემბრისათვის სრულად არც ცხრა თვე გამოდის, რაც დედის საშოში ნაყოფის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია, და ა. შ. ამაზე ქრისტიანთა ოქროპირი სრულიადაც არაფერს ამბობს.

რა თქმა უნდა, ეს მოძღვარი საჯაროდ მაინც კრინტსაც ვერ დაძრავდა, იმაზე რომ მისმა, არცთუ შორეულმა, წინაპრებმა (თანამოსაყდრეებმა) ეს თარიღი — 25 დეკემბერი ირანული მზის ღმერთის მითრას „შობის" დღე თვით მითრაისტებისაგან მიითვისეს და თავიანთი ღვთაების — ქრისტეს დედამიწაზე „შობის თარიღად გამოაცხადეს. მისი მეორე „არგუმენტიც", რითაც იგი მარიამის ღვთაებრივი დედობის უარმყოფელ დამცინავთ უსწორდება, ასევე უსაფუძვლო და უმწეოა. ამ „მქირდავ ელინელებს" იგი ადარებს ბავშვებს, რომლებიც... „ხშირად იცინიან, როცა ჩვენ სერიოზულ საქმეებზე ვმსჯელობთ და აუცილებელ საქმეებს ვაკეთებთ, მაგრამ მათი სიცილი აბუჩად აგდებული საგნების არარაობის დამამტკიცებელი კი არაა, არამედ დამცინავთა უგუნურებისა. ასევე უნდა ითქვას ელინელთა

---

77 ე. ი. იესო ქრისტე-ავტ.

78 Полное собрание творений святого Иоана златоуста, стр. 395.

79 იქვე, გვ. 395.

შესახებაც[80], „რომლებიც, დასძენს შემდეგ იოანე ოქროპირი, ბავშვებივით ამასხარავებენ იმას, რაც „სასოების ღირსია“, ხოლო „ნამდვილად სასაცილოს თაყვანსა და პატივს სცემენ“.

თავის მხრივ, როგორც ვხედავთ, ეს ცნობილი ღვთისმეტყველი თითონვე დასცინის და აბუჩად იგდებს არაქრისტიანულ ღმერთებსა და მათ თაყვანისმცემელთ. იგი „უკიდურესი უგნურების“ გამოხატულებად თვლის წარმართების მიერ მათი ღმერთების ქანდაკს ქვებსა და ხეებში. ცხადია, მაშინ იოანე ოქროპირს წარმოდგენაც არ შეეძლო იმაზე, თუ როგორი გატაცებით გამოიყენებდნენ მისი შთამომავალნი სახვითი ხელოვნების ყველა დარგს ქრისტიანული პერსონაჟების გამოსახვისათვის.

წარმართთა წინააღმდეგ იგი, „ძე ღმერთის“ „განკაცებისა“ და მარიამის წმინდანობაზე სახარებისეული ლეგენდების დაცვის მიზნით, შემდეგ მსჯელობას გვთავაზობს: „თუ ღმერთისათვის (ე. ი. იესო ქრისტესთვის — ს. ს.) სამარცხვინოა ადამიანის სხეულში ბინადრობა, მაშინ მეტადრე ქვასა და ხეში; და მით უმეტეს ვიდრე ადამიანზე დაბალი ქვა და ხე — თუ მხოლოდ ჩვენი მოდგმა მათ ამ უგრძნობო საგანზე უფრო არარაობად არ ეჩვენებათ[81]. ამასთან დაკავშირებით იგი კვლავ ირონიულად მოიხსენიებს წარმართ ელინელებს პირუტყვთა გაღმერთებისა და თაყვანისმცემლობისათვის. „ჩვენ, ამბობდა იგი, არაფერს ასეთს არ ვამბობთ და არც არასდროს ასეთის მოსმენას არ მოვითმენთ, მხოლოდ ვამტკიცებთ, რომ ქალწულის მარიამის მუცლიდან იესო ქრისტემ წმინდა, უმანკო, უბიწო ხორცი შეისხა, რაც ყოველგვარი ცდუნებისათვის უწვდომო იყო, და საკუთარი ქმნილება აღადგინა“[82].

რა თქმა უნდა, ამ სიტყვებით იოანე ოქროპირი არაფერს არ ამტკიცებს. აქ მხოლოდ ბიბლიური ლეგენდების უფრო განათლებულ აპოლოგიასთან გვაქვს საქმე. მაგრამ საქმე ამაში კი არაა, არამედ, როგორც ზემოთ ითქვა, ამით გვეძლევა ავტორიტეტული საბუთი იმ მწვანე დოგმატიკური დავა-კამათისა, რასაც იმ დროის ქრისტიანობის აპოლოგეტებს, „ერეტიკოს“ ქრისტიანებსა და ანტიქრისტიანებს შორის ჰქონდა ადგილი. ცხადია, იოანე ოქროპირი, როგორც გაბატონებული მიმართულების ყველაზე თვალსაჩინო აპოლოგეტის, ეს გამოსვლა შემთხვევითი არ ყოფილა. ამგვარად, იმ დროს, როცა ქრისტიანობა თავის ძირითად დოგმებში ჩამოყალი-

---

80 Полное собрание творении своего Иоана Златоуста.

81 ი ქ ვ ე, გვ. 396.

82 ი ო ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი, გვ. 396.

ბებული იყო და უკვე სახელმწიფო ოფიციალურ რელიგიას წარმოადგენდა, დოგმატიკური დავა არა მხოლოდ იესო ქრისტეს, არამედ მარიამის ბუნების გარშემოც დამცხრალი არ ყოფილა.

ერთი შეხედვით თითქოს ეს წმინდა დოგმატიკური მნიშვნელობის დავა იყო, ნამდვილად კი იგი მაშინდელი ქრისტიანული ეკლესიის წიაღში არსებულ სხვადასხვა დაჯგუფებათა შორის ბრძოლის ანარეკლი იყო, რომლებსაც საპირისპირო, განსხვავებული სოციალურ-ეკონომიური მოტივები და ინტერესები ამოძრავებდათ. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მარიამის ბუნების შესახებ დავა-კამათი თვით ქრისტიანთა შორისაც იყო. ამჯერად ამ საკითხს უფრო დაწვრილებით უნდა შევეხოთ. ამ მხრივ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის კვიპროსის მთავარი ეპისკოპოსი (IV ს.) ეპიფანე თავის შრომაში „პანერიონი". ირკვევა, რომ იმ დროს მარიამის ვინაობაზე ქრისტიანთა შორის ორი ურთიერთსაპირისპირო შეხედულება არსებობდა. ერთი ჯგუფი თუ მიმართულება მარიამს ჩვეულებრივ ადამიანად. უბრალო ქალად სთვლიდა, რომელსაც იესო ქრისტეს სასწულებრივად შობის შემდეგ იოსებისაგან სხვა შვილებიც შესძენია —4 ვაჟი და ორი ქალი[83]. ეს მიმართულება ცნობილია „ანტილიკომარიანიტების" (მარიამის გაღმერთების მოწინააღმდეგენი) სახელწოდებით. მეორე შეხედულების მიხედვით, რასაც „კოლლირიდანელები"[84] ქადაგებდნენ, მარიამი მხოლოდ ზეციური, ღვთაებრივი არსებაა. რომ იგი მხოლოდ იესო ქრისტეს მშობელია და სხვა არავისი[85]. ამგვარად, კოლლირიდანელთა მარიამი ძველი აღმოსავლეთის ქალღმერთებთანაა გათანაბრებული და მას ეს სექტთა ღვთაების შესა-

---

83 მათე 13, 55, 56; მარკოზი 3, 33, 34, 35

84 „კოლლირიდეს" სპეციალურ ღვეზელს ნიშნავს, რასაც ამ სახელწოდების მატარებელი ქრისტიანული სექტა მარიამის. როგორც ღვთაებრივი არსების, პატივსაცემად აცხობდა.

85 ქრისტიანული ხუცობა ჩვენს დროშიც დაჟინებით ქადაგებს იმაზე, რომ მარიამს ქრისტე-ღმერთის გარდა არავინ უშვია, ხოლო მათეს და მარკოზის სახარებაში მითითებული ქრისტეს — „ძმები და დები" იოსებს პირველი ცოლიდან ყავდა, რომ მარიამი იოსების მეუღლე კი არ იყო, არამედ მასთან „სამეთვალყუროდ" იყო მიბარებული და ა. შ. მითიური მარიამისა და იოსების შესახებ ამ მოგონილი ამბების გავრცელების ძირითადი მიზანია განმტკიცება ქრისტიანული დოგმატისა, რომ მარიამი განგების მიერ მხოლოდ იესო ქრისტეს მშობლად იყო განკუთვნილი და იესო ქრისტეს „განხორციელების", „განკაცების" შემდეგაც იგი კვლავ ქალწულად დარჩა. მოკლედ, აქ ყველაფერი ემსახურება იმ მიზანს, რომ წმ. „მარიამის", როგორც ღვთაებრივი არსების, შარავანდედი და მისი „მართლაც ქალწულობის" ტიტული არ შეიბღალოს — ავტ.

ეერ პატივს სცემდა. აწყობდა მისი სახელობის დღესასწაულებს გარკვეული ცერემონიებითა და წეს-ჩვეულებით.

საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნულ მიმართულებათა დოგმატიკური დავის გამო, იგი, ეპიფანე, არსებითად არც ერთ მხარეს არ ემხრობა, სიფრთხილეს იჩენს და ძირითადად მათესა და ლუკას სახარებათა მითებს ემყარება, რაც მაშინ უკვე ოფიციალურ თვალსაზრისს წარმოადგენდა. „მარიამი, განმარტავდა ეპიფანე, არაა ღმერთი. მას ზეციდან კი არა აქვს სხეული მიღებული, არამედ ქმრისა და ცოლის[86] შეერთებიდან... დეე, ნურვინ შესწირავს მას მსხვერპლს. მაგრამ მეორეს მხრივ არავინ გაბედოს და უგნურად შებღალოს წმინდა ქალწული, დიდებაში უნდა იყოს მარიამი, მაგრამ თაყვანისცემა მხოლოდ მამისა და ძისა და სული წმინდისათვისაა საჭირო; მარიამს კი არავინ არ უნდა სცეს თაყვანი, თუმცა მარიამი უაღრესად მშვენიერია და წმინდაა, საპატიოცაა, მაგრამ თაყვანისცემიის ღირსი კი არა“... მარიამს ასეთ დახასიათებას საბჭოთა მკვლევარი ნ. რუმიანცევი არა მარტო ეპიფანეს, არამედ მაშინდელი ეკლესიის საერთო თვალსაზრისად სთვლის[87].

ეპიფანესვე მტკიცებით ღვთაებრივ არსებად მარიამის მიჩნევა იმიტომ არ შეიძლება, რომ საღვთო წერილებში (მხედველობაში კანონიკური სახარებები ჰქონდა — ს.ს) მისი დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ არაფერია ნათქვამი.

„დეე, იკვლიონ წერილში და იქ ვერ იპოვიან ცნობებს ვერც მარიამის გარდაცვალებაზე, ვერც იმაზე თუ გარდაიცვალა იგი, ვერც იმაზე, რომ არ გადაიცვალა, ვერც იმაზე, რომ იგი დასაფლავებულია, ვერც იმაზე, რომ იგი არაა დასაფლავებული“[88]. ეპიფანეს ამ სიტყვებიდან ორი რამ ირკვევა: პირველი, მარიამის ბუნების დადგენისათვის სქოლასტიკური დავა მის დროსაც წარმოებდა. მეორე, მიუხედავად იმისა, რომ მარიამი წმინდანად და ღვთისმშობლად ოფიციალურად აღიარებული იყო, მისი კულტი (ზემოაღნიშნული ვითარების გამო) მძიმედ ინერგებოდა.

ამ დავამ უფრო მწვავე ხასიათი მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში მიიღო. ამას საბაბი კონსტანტინეპოლის მთავარი ეპისკოპოსის ნესტორის მწვალებლურმა გამოსვლებმა მისცა.

---

86 ლაპარაკია „მარიამის“ მშობლებზე — ავტ.

87 ნ. რ უ მ ი ა ნ ც ე ვ ი, დასახ. შრომა, გვ. 146

88 И. С. С в е н ц и ц к а я, Запрещенные евангелие, 1965, стр. 132.

ნესტორი ასწავლიდა, რომ ქრისტე[89] (და არა იესო ქრისტე — ს. ს.) მხოლოდ შობილი ღმერთისაგან „ყოველ საუკუნეთა უწინარეს არსებობდა". იესო კი იყო ადამიანი, რომელიც შემდეგ „სული წმინდის" მეოხებით, შთაგონებით მესიად იქცა. აქედან იგი ასკვნიდა: მარიამი „ქრისტეს მშობელი" კი არაა, არამედ „ადამიანის მშობელია", მარიამი შობილია დროში და არა „უწინარეს ყოვლთა საუკუნეთა". ამიტომ დროში შობილს არ შეეძლო იმის შობა ვინც მარადიულია, დროის გარეშეა და ყველგან არსებულია. „შემოქმედს", ასწავლიდა იგი, არ შეუძლია შვას შემოქმედი, არამედ — მხოლოდ „ადამიანი". ამგვარად, ნესტორი (და ნესტორიანელობა — ხელობა), არ სცნობდა რა მარიამს ღვთისმშობლად, ამით მკვეთრად დაუპირისპირდა გაბატონებულ ორთოდოქსურ ეკლესიურ თვალსაზრისს, რომელიც იესო ქრისტეს „ღმერთკაცად" აღიარებდა, წმ. მარიამს კი მის „განმკაცებლად". ასეთი კონცეფციიის ქადაგებისათვის ნესტორი ეფესის საეკლესიო კრებამ 431 წ. „ერეტიკოსად" გამოაცხადა, ხოლო მისი მოძღვრება საჯაროდ დაგმო.

საყურადღებოა, რომ არა მხოლოდ ქრისტიანობის აშკარა აპოლოგეტების, არამედ ბევრი სხვა საერო მოღვაწის, მკვლევართა მტკიცებით ნესტორიანელობის დაგმობა თითქოს მხოლოდ წმინდა სარწმუნოებრივი სიწმინდის დაცვის მოტივებით ყოფილიყოს ნაკარნახევი. შორს რომ არ წავიდეთ, მივუთითებთ ნ. სუვოროვის, საეკლესიო სამართლის ერთ-ერთი მკვლევრის, მოსაზრებებს.

ნ. სუვოროვის აზრით, ეფესში (431 წ.) საეკლესიო კრება იმიტომ შეიკრიბა, რომ სადავო, ქრისტოლოგიური საკითხები გადაეჭრა—თუ როგორაა იესო ქრისტეს პიროვნებაში ორი ბუნებ—ღვთაებრივი და ადამიანური გაერთიანებული, ე. ი. „სწორედ ნესტორის. კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსის ერესის წინააღმდეგ", რომელიც ასწავლიდა, რომ „წმ ქალწულს" (ე. ი. მარიამს) არ შეიძლება ეწოდოს ღვთისმშობელი"[90].

რა თქმა უნდა, ეფესის საეკლესიო კრების, რომელიც თვით იმპერატორი თეოდორე II ინიციატივით იყო მოწვეული, უმთავრეს მიზანდანიშნულებას იმდენად დოგმატიკური პრობლემების — მაგალითად მარიამმა „იესო შვა თუ ქრისტე" და სხვ. — გაშუქება კი არ შეადგენ-

---

[89] ნესტორი სიტყვებს — იესოს და ქრისტეს თიშავდა ერთმანეთისაგან. მისი მტკიცებით სიტყვა ლოგოსი-ძე ღმერთი და „იესო" — ადამიანი, რომელიც მარიამმა შვა, ერთ არსებად არ შეერთებულა. იგი შეერთებულია მხოლოდ ჩვენს წარმოდგენაში და არა სინამდვილეში.

[90] Суворов, Церковное право, 1913, стр. 36.

და, რამდენადაც — პოლიტიკური მოსაზრებები. ამ გარემოებ-ს სწორ, მარქსისტულ ანალიზს გვაძლევს საბჭოთა მკვლევარი ნ. რუმიანცევი. მისი გამოკვლევით მაშინდელი ბიზანტიის სასულიერო და საერო ხელისუფალთა მიერ ერთობლივად გატარებული ეს ანტინესტორიანული ღონისძიებები თვით ამ იმპერიის შიგნით მძვინვარე ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისებით უნდა აიხსნას. იმპერიის არსებობას სასტიკად ემუქრებოდნენ ირანელები, გერმანელები, სლავები და სხვ. სახელმწიფო იძულებული იყო შეენახა დიდი არმია, რაც მძიმე ტვირთად აწვა დაპყრობილი პროვინციების ხალხებს და თვით მკვიდრთაც. შინაგანი მღელვარება, აჯანყებები, სეპერატიული გამოსვლები თანდათანობით ფართოვდებოდა. ყოველივე ეს განუხრელად ასუსტებდა იმპერატორთა ხელისუფლებას, ძალაუფლება ხელიდან ხელში გადადიოდა და გარედან თავდასხმებისათვის საშიში პირობები იქმნებოდა. ასეთ ვითარებაში, ნ. რუმიანცევის მართებული შენიშვნით, „ნესტორის მოძღვრება მათ, ე. ი. ბიზანტიის საერო და სასულიერო ხელისუფალთ, პოლიტიკურად საშიშად და მავნედ ეჩვენებოდათ“[91].

ცხადია, ბიზანტიის ხელისუფალთა შიში არ იყო საფუძველს მოკლებული. გარდა იმისა, რომ ნესტორის მოძღვრებას მორწმუნეთა დაბალ ფენებში, მარიამის როგორც „წმინდანისა“ და „ღვთის მშობლის“ შესახებ, რწმენის შერყევა შეეძლო გამოეწვია, იგი კიდევ უფრო საშიში თვით იმპერატორთა ავტორიტეტისათვის იყო. მაშინდელი ქრისტიანული სამყაროს ხალხთა შეგნებაში, თვით ეკლესიოსნების ენერგიული მოღვაწეობის შედეგად, ღრმად იყო ჩანერგილი რწმენა, რომ მეფე იმპერატორები იესო ქრისტეს ამქვეყნიური მემკვიდრენი და მოადგილეებია. რაც შეეხება მარიამს, როგორც ღვთისმშობელს, ეკლესიოსნები მას მეფე-იმპერატორთა უახლოეს. უშუალო მფარველად და შემწედ აცხადებდნენ.

ცხადია, ყოველივე ამის შემდეგ ნესტორის მოძღვრება, რომელიც „იესოს“ და მარიამს ჩვეულებრივ, უბრალო ადამიანებად თვლიდა, მეფე-იმპერატორთა ღვთაებრივი ღირსების შებღალვას მოასწავებდა. ამიტომ ეკლესიის მამებმა ეფესში დაგმეს ნესტორის ერესი და ნესტორიანელობა ეკლესიური დევნა-შევიწროების საგნად გამოაცხადეს.

ეფესის მსოფლიოს კრების შემდეგ ნესტორიანელობა ყველგან. მათ შორის ქართულმა ეკლესიამაც, დაგმეს. ქართულ საეკლესიო ლიტერატურაში ასახულია ნესტორის „წაწყმედილობა“ და, საერთოდ

---

91 ნ. რ უ მ ი ა ნ ც ე ვ ი, დასახ. შრომა, გვ. 147.

ანტინესტორიანული რელიგიური ბრძოლები. ჟურნალ „მწყემსის“ ერთი კორესპონდენტის გადმოცემით, ეპისკოპოს ნესტორს, კონსტანტინეპოლის საკათედრო ტაძარში ერთ-ერთ სადღესასწაულო შეკრებისას, როცა ღვთისმშობლის ხატისათვის შეუხედავს, ასე წარმოუთქვამს: „არ შეგეძლოს დაქადნა მარიამ, რომ თუ შენ ღმერთი გეშობოსო, რადგან ადამიანი ხარ და კაცი გიშობია და არა ღმერთიო“. ამ სიტყვებს, იმავე კორესპონდენტის გადმოცემით, დამსწრეთა შორის „დიდი აყალმაყალი და „ამღრეულობა ეკლესიისა“ გამოუწვევია, მაგრამ ამ რისხვის შემდეგაც მან (ნესტორმა) ხელი მიჰყო „თავის უღვთობას“, ისევ განუვითარებია თავისი მრწამსი, რომ მარიამი არ არის ღვთისმშობელი“[92] და ა. შ.

ასეთი სახითაა წარმოდგენილი მარიამის, როგორც „ღვთისმშობლისა“ ან „ადამიანისმშობლის“ პრობლემა თვით ქრისტიანულ კანონიკურსა და აპოკრიფულ ლიტერატურაში; ასეთია დოგმატიკური მნიშვნელობის სქოლასტიკური დავა-კამათი მარიამის ვინაობაზე, რაც თითქმის მთელი ხუთი საუკუნის განმავლობაში წარმოებდა.

ღვთისმშობლის ქრისტიანულ კულტს წარმართულ-რელიგიურ-მითიური წანამძღვრები აქვს. წმ. მარიამის კულტის ფორმირება და მისი ადგილი ქრისტიანულ პანთეონში ამ წანამღვრებთანაა დაკავშირებული. ქრისტიანული რელიგიის როგორც კანონიკური, ისე აპოკრიფული პირველი წყაროების მეცნიერული ანალიზი არავითარ საბუთს, საფუძველს არ იძლევა იმის მტკიცებისათვისაც, რომ სახარებისეული მარიამი ისტორიული, რეალური პერსონაჟია და ისეთი ადამიანის მშობელი იყო, რომელმაც თითქოს ქრისტიანულ მოძღვრებას საფუძვლები ჩაუყარა. ამ გარემოებაზე მეტყველებენ თვით გადმოცემები ე. წ. „წმ. მარიამის“ შესახებ, აგრეთვე მრავალსაუკუნოვანი დავა-კამათი ქრისტიან მოღვაწეთა შორის — „ღვთისმშობელია“ იგი, თუ „ადამიანისმშობელი“.

რა თქმა უნდა, „ღვთისმშობელ“ მარიამზე, რაგინდ ურთიერთშეთანხმებული შინაარსის გადმოცემები არ უნდა არსებობდეს, საღი, კრიტიკული გონების, მეცნიერების თვალთახედვით იგი მაინც ისევ მითიურ პერსონაჟად დარჩება. მაგრამ ასეთი პერსონაჟების „ადგილი“ ჯერჯერობით მაინც არსებობს და უთუოდ კარგა ხანს დარჩება ადამიანთა ერთი ნაწილის შეგნებაში, ვიდრე რეალური სამყაროს რელიგიური წარმოსახვის გამომწვევი მიზეზები სავსებით არ აღმოიფხვრება.

---

92 ჟ. „მწყემსი“, № 22, 1896, გვ. 11.

მაშ როგორ, საიდან მოევლინა კაცობრიობას ეს ახალი „დედა ღვთისა“, ახალი საყოველთაო მფარველი და ქომაგი? რა თქმა უნდა, ბიბლია ამ „მოვლენას“ ადვილად, მარტივად „გვიხსნის“. ადამისა და ევას ცდუნებათა შედეგად მათი შთამომავლობა ცოდვებში ჩაეფლა. ეს იყო სასჯელი როგორც ადამისა და ევასი, ისე მათი მოდგმისათვის იმ „ხელშეკრულების“ დარღვევის გამო, რომელიც სამოთხეში ღაიდო პირველ ადამიანებსა და მათ შემოქმედს შორის. ბოლოს და ბოლოს ღმერთმა შეიბრალა მის მიერვე დასჯილი ადამიანები დედამიწაზე და მათი „მხსნელის“ მოვლინება ინება. „მხსნელის“ როლი დაეკისრა მის „თანაარს“ და ძე-ღმერთს, რომელიც ადამიანის სახით უნდა წარსდგომოდა ცოდვილ კაცობრიობას „მამაღმერთს“ დროულად, წინასწარ უზრუნია: მისივე ნებით ღრმა მოხუც ცოლქმარს — ტომით ებრაელებს — იოაკიმესა და ანას შესძენია ასული, რომლისთვისაც მარიამი დაურქმევიათ.

თანახმად აღთქმისა, მშობლებს სამი წლის მარიამი „ღვთის სამსახურებლად“ ტაძრისათვის შეუწირავთ. სბოლოოდ სწორედ „აი ამ მარიამისაგან განხორციელდა მხსნელი მაცხოვარი ჩვენი, ძე ღვთისა, იესო ქრისტე“ და ა. შ. ასეა „ახსნილი“ ეკლესიოსნების მიერ „წმ. მარიამის“ ამქვეყნად „გაჩენა“ და „მიზანდანიშნულება“.

გასაგებია, რომ ხუცობის ამ მონაჭორებს მარიამის კულტის წარმოშობის შესახებ ისტორიულ მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს.

ნამდვილად კი „წმ. მარიამის“ ქრისტიანული პერსონაჟიც არსებითად ძველი რელიგიების ქალღმერთთა კულტებიდანაა ნაწარმოები. ამ რელიგიებში ქრისტიანულ ღვთისმშობელს ბევრი წინამორბედი ჰყავს. ამგვარად, თავის გვარში „წმ. მარიამი“ არ წარმოადგენს ერთად ერთ ღვთაებრივ ფენომენს ან საკუთრივ ქრისტიანულ შემოქმედებას.

ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ, რომ ძველი აღმოსავლეთის ღვთაებათა პანთეონში არა მარტო მამრობითი სქესის ღმერთები, არამედ ღმერთთა ბევრი დედაც განისვენებს. ამგვარად, „წმ. მარიამი“ რელიგიის ისტორიაში ერთადერთ „დედა ღვთისად“ მაინც არ ჩაითვლება. მაგრამ აწ „გარდაცვლილ“ ღვთისმშობლებთან შედარებით ქრისტიანულ „ღვთისმშობელს“ ერთგვარი „უპირატესობა“ მაინც გააჩნია; სახელდობრ, იგი ღვთისმშობელთა გადაშენებული მოდგმიდან შემორჩენილი ერთადერთი პერსონაჟია, რომელიც კიდევ „ცოცხლობს“ რელიგიური ცრურწმენებით შეპყრობილთა წარმოდგენებში.

ქრისტიანულ ღვთისმშობელს სხვა „უპირატესობაც“ აქვს: არცერთ ძველ ღვთისმშობელს, ან თუნდაც ყველას ერთად აღებულს, იმდენი ქება-დიდება, მრავალნაირ ფორმაში განსახიერებუ-

ლი კულტი, თაყვანისცემა წილად არ რგებია როგორიც „წმ. მარიამს“. ამაზე მეტყველებს დიდძალი საღვთო ეგზეგეტიკური ლიტერატურა, ხელოვნების (მუსიკის, ფერწერის, ქანდაკების) უამრავი ნაწარმოები, დღესასწაულები და სხვ., რომლებიც მის სახელთანაა დაკავშირებული.

როგორც ზემოთ გაკვრით აღინიშნა, „წმ. მარიამის“ პერსონაჟი და მისი კულტი როდი წარმოადგენს ქრისტიანობის საკუთარ. ორიგინალური შემოქმედების პროდუქტს. ამ გარემოებაზე იგივე ნესტორიანელები და თვით ნესტორი, ნაწილობრივ მაინც, სწორად მიუთითებდა. „შეუძლებელია დავფაროთ, ნათქვამია ნესტორის ერთ-ერთ ფრაგმენტში, რომ ჩვენს ეკლესიებში ძველი ოლიმპიური ღმერთების ადგილას წმინდანთა დასის ცენტრში ქრისტე და მარიამი დგანან, შეუძლებელია მივჩქმალოთ, რომ ჩვენ მას (მარიამს) მივაკუთვნეთ ეპითეტები, რომლებიც „უწინ წარმართული ქალღმერთების დასახელებები იყო“.

მართლაცდა სახარებისეული მარიამი მრავალი ეპითეტით არის შემკობილი: „წმინდა ქალწული“, „დედაი ღვთისა-ღვთისმშობელი“, „ზეციური დედოფალი“, „ყოვლის შემწე“, „ყოვლის მფარველი“ და ა. შ. მაგრამ უფრო ადრე ეს ეპითეტები ქრისტიანობამდელი რელიგიების ქალ-ღმერთებს ეკუთვნოდნენ. რა თქმა უნდა, ეს გარემოება ქალ-ღმერთების კულტის არსებობაზე მეტყველებს, ამასთანავე მრავალი საუკუნით იმაზე ადრე, ვიდრე „წმ. მარიმის“ პერსონიფიკაცია მოხდებოდა და კულტი შეიქმნებოდა.

თავის მხრივ წარმართული ქალღმერთების კულტი კი მატრიარქატიდან იღებს სათავეს. ამგვარად, წარმართული, ქრისტიანობამდელი ღვთისმშობლებიც საზოგადოების განვითარების გარკვეული პერიოდის რელიგიურ-მითოლოგიურ პროდუქტებს წარმოადგენენ.

პირველყოფილი საზოგადოების განვითარების ამ საფეხურზე, ე. ი. მატრიარქატის დროს, ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ქალები ასრულებდა, გვარის მთელი მეურნეობა თითქმის მათ ხელში იყო. სამიწათმოქმედო მეურნეობა უფრო მწარმოებლური, ნაყოფიერი იყო, ვიდრე მონადირეობა და მეთევზეობა, რასაც მამაკაცები ეწეოდნენ. იმის გამო, რომ მეთევზეობის ეს დარგები შედარებით ნაკლებ სარფიანი იყო და ვერ უზრუნველყოფდა მონადირეთა და მეთევზეთა არსებობას, ისინი ეკონომიურად შეზღუდულები, დამოკიდებულნი იყვნენ დედაკაცებისადმი, რომლებსაც არა მხოლოდ საზოგადოებრივ მეურნეობაში, არამედ ოჯახში, ოჯახურ ცხოვრებაშიც საპატიო მდგომარეობა ეჭირათ. მნიშვნელოვან ფაქტორს

ამ შემთხვევაში ისიც შეადგენდა, რომ ჯგუფური ქორწინების გამო არავინ იცოდა თუ ვინ იყო ბავშვთა მამა. ხოლო დედა კი ცნობილი იყო. ამასთანავე, ბავშვთა მოვლა-პატრონობა, საცხოვრებელი ბინის გამგებლობა და ა. შ. თითქმის მთლიანად დედაკაცთა ფუნქციებში შედიოდა. როგორც ფრ. ენგელსი შენიშნავდა, ასეთი ოჯახური მეურნეობა „ნიშნავს დედაკაცების ბატონობას სახლში, ისევე როგორც მარტოოდენ მშობელი დედის აღიარება, როცა მშობელი მამის უცილობლად ცოდნა შეუძლებელია, ნიშნავს დიდ პატივისცემას დედაკაცებისადმი, ე. ი. დედებისადმი"[92].

ამავე ეპოქაში დედაკაცების დიდი პრიორიტეტის, „საპატიო მდგომარეობის" და სხვა მიზეზთა შესახებ ერთობ საყურადღებოა ფ. ენგელსის შემდეგი დასკვნაც: „კომუნისტური ოჯახური მეურნეობა, რომელშიც მეტი ნაწილი დედაკაცებისა ან ყველანი ერთსა და იმავე გვარს, მაშინ როცა მამაკაცები სხვადასხვა გვარს ეკუთვნიან, რეალური საფუძველია პირველყოფილ ეპოქაში საყოველთაოდ გავრცელებული დედაკაცის იმ ბატონობისა, რომლის აღმოჩენაც ბახოფენიის მესამე დამსახურებას შეადგენს"[93].

ამგვარად, ძნელი როდია იმის დანახვა, რომ მატრიარქატის დროს მამაკაცებზე დედაკაცების პრიორიტეტს, მათ უპირატეს მდგომარეობასა და ავტორიტეტს ზემოთ აღნიშნული სოციალური და ეკონომიური ხასიათის ფაქტორები განაპირობებდნენ.

სავსებით ბუნებრივია, რომ მატრიარქატის, პირველყოფილ საზოგადოების ამ ისტორიული საფეხურის, რელიგიურ-იდეოლოგიურ ასახვაში მამაკაცებზე ქალების უპირატესობას თავისებური გამოხატულება უნდა მიეღო. ეს ასეც მოხდა.

ანტროპომორფულ ზებუნებრივ ძალებს შორის, უფრო სწორად, მამრობითი ღმერთების გვერდით რელიგიურ ფანტაზიაში ქალღმერთებსაც მიეჩნია ადგილი. ამასთანავე ეს მდედრობითი ღმერთები გარკვეული პერიოდის მანძილზე მამრობით ღმერთებზე უფრო პატივსაცემ ღვთაებებად ითვლებოდნენ. ამ მხრივ უთუოდ საყურადღებოა თანამედროვე იტალიელი მკვლევრის ა. დონინის მოსაზრებები. „ეთნოგრაფიულმა გამოკვლევებმა, წერს ა. დონინი, გვიჩვენეს, რომ მამრობით ღმერთებზე გაბატონებული დიდი ქალღმერთებისადმი[94] რწმენა გავრცელებული იყო პირველყოფილ საზოგადოე-

---

92 კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, II, გვ. 241.

93 იქვე, გვ. 242.

94 ასეთ „დიდ დედა-ღმერთების" პლეადას ა. დონინი აკუთვნებს ანატის (ირანი, სომხეთი), ათარგატს (სირიაში), კიბელის (ფრიგიაში), ადითას (ძველ ინდოეთში) და ა. შ.

ბის ერთ-ერთ იმ საფეხურზე, როცა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ქალს ჰქონდა მინდობილი, რაც, ამასთანავე, ხელს უწყობდა მის სოციალურ და ეკონომიურ უპირატესობას მამაკაცებთან შედარებით, რომლებიც მონადირეობას და მეთევზეობას ეწეოდნენ. ჩვენ ვეხებით ხმელთაშუა ზღვისპირეთის ისტორიის ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილ, მაგრამ უაღრესად საინტერესო მოვლენას — მატრიარქატს"[95].

ა. დონინი აღნიშნულ შრომაში ხაზგასმით მიუთითებს, რომ ქალღმერთი ათინა (საბერძნეთი) თავდაპირველად დიდ მატრიარქალურ ღვთაებად ითვლებოდა, იგი ჯერ მიჩნეული იყო სოფლის მეურნეობის — მიწათმოქმედების მფარველ ღვთაებად, ხოლო შემდეგ, უფრო მოგვიანებით, — მოქალაქეთა. ამასთანავე ათინა ქალწულებრივი სიწმინდის სიმბოლოდაც გახდა და ზევსის მომდევნო ადგილი დაიკავა, მის პატივსაცემად ააგეს ტაძარი პართენონი და ა. შ. ძველი ირანიდან დიდი ქალღმერთის ანაიტის ე. ი. „უწმინდესის", კულტი სხვა ქვეყნებშიაც გავრცელებულა, განსაკუთრებით სომხეთში.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ათინას დღესასწაული იმართებოდა 15 ნავასარდს (აგვისტოს), ე. ი. სწორედ იმ დღეს, როდესაც შემდეგში ქრისტიანული ღვთისმშობლის—წმ. მარიამის „მიძინების" დღესასწაული დაწესდა[96]. ასევე აღსანიშნავია, რომ ქრისტიანული ღვთისმშობლის კულტის ფორმირებაზე უკვალოდ არც არტემიდე ეფესელის კულტს ჩაუვლია. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნესტორის ერესის დასაგმობად მსოფლიო კრება სწორედ ეფესში მოეწყო, რადგან იგი ამ დროისათვის მარიამის კულტის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი იყო; მანამდე კი, როგორც ამას სახელწოდებაც გვიჩვენებს, არტემიდეს ეფესელი ეწოდებოდა. როგორც ჩანს, არტემიდე ერთ-ერთი წინამორბედი ყოფილა წმ. მარიამისა და ქრისტიანებს საკმაოდ უზრუნვიათ მისი „გაქრისტიანებისათვის". ნ. რუმიანცევის მართებული შენიშვნით მარიამის კულტი აქ ადგილობრივი ღვთაების არტემიდე ეფესელის კულტის გაგრძელებად გვევლინება[97].

ა. დონინი მიუთითებს წმ. მარიამის კულტის დამოკიდებულებაზე არტემიდესა და რომაული ქალღმერთის დიანასადმი, რომელთაც „ღრმა კვალი დააჩნიეს ადრინდელ ქრისტიანობას". მას შემ-

---

[95] А. Донини დასახ. ნაშრ., გვ. 135.

[96] იქვე, გვ. 138.

[97] ნ. Румианцев, დასახელებული შრომა, გვ. 148.

თხვევით არ მიაჩნია ის გარემოება, რომ გადმოცემის მიხედვით ქალწულ მარიამს თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები ეფესში „გაუტარებია". ცხადია, ასეთი ლეგენდის შეთხზვა არა მარტო მარიამის ისტორიზაციის, არამე ადგილობრივი ქალღმერთების დაჩრდილვის მიზნითაც უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, რომ მარიამის მიწიური ცხოვრების „ბიოგრაფია" უფრო დამაჯერებელი გაეხადათ. ამიტომ, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ „მისი (ე. ი. მარიამის — ს. ს.) კულტის პირველი გამოჩენა ამ რაიონში გავრცელებული დიდი ქალღმერთების თაყვანისმცემლობასთანაა დაკავშირებული და ეს უკვე მას შემდეგ, როცა ხალხის შეგნებაში მატრიარჭატის შესახებ ყოველგვარი მოგონება გაქრა"[98].

ცხადია, არა თუ ქრისტიანული ღვთისმშობელი, არამედ არც მისი უახლოესი წინამორბედი ქალღმერთებიც კი არ წარმოადგენენ მატრიარქატური ეპოქის პერსონაჟებს. მათში მხოლოდ ამ ეპოქის „დედაღმერთების" გადმონაშთები შეიძლება ვიპოვოთ. მაგრამ არ შეიძლება იმის უარყოფაც, რომ „ქალღმერთების" თუ „დედა ღმერთების" ინსტიტუტი თავისი შორეული უღრმესი ფესვებით მატრიარქატიდან მოდის. ამასთანავე, ქალღმერთის უპირატესობის „მამრობითი ღმერთების" უპირატესობით შეცვლის მიზეზებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით—მამაკაცებისადმი ქალების დაქვემდებარებაში უნდა ვეძიოთ, რაც უთუოდ კლასობრივი საზოგადოების ადრინდელ ეტაპზე უნდა მომხდარიყო. „საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წერს ა. დონინი, ქალი მამაკაცებისადმი დაქვემდებარებული ხდება. ასეთი გარდაქმნა რელიგიურ ზედნაშენშიაც ხდება. დედა-ღმერთი მითოლოგიაში მამაღმერთს უთმობს ადგილს. ესაა ზეესი — ბერძნებთან, იუპიტერი — რომაელებთან"[99].

მატრიარქატული „დიდი ქალღმერთის" ე. ი. იმ ეპოქაში ყველაზე ღმერთზე მაღლა მდგარი ღვთაების, შესამკობ ზოგიერთ ეპითეტს იზიდას კულტშიაც ვხვდებით. ადრინდელ ქრისტიანებს ამ ეპითეტებიდან თავიანთი ღვთისმშობლის მარიამის სადიდებლად ბევრი რამ გადმოუღიათ და საკუთარი ჰიმნები შეუქმნიათ. ამ გარემოების საილუსტრაციოდ შეიძლება მივუთითოთ აპულეუსის (II საუკუნის რომაელი მწერალია) რომანის „ოქროს ვირის" ერთ-ერთი გმირის ლუციუსის სიტყვებზე, რომლითაც იგი დიდი მადლიერების გრძნობით ქალღმერთ იზიდას მიმართავს: „ოჰ, ადამიანთა მოდგმის უწმინდესო მფარველო, მომაკვდავთა მუდმივო მცველო უბედურთ.

---

98 ა. დ ო ნ ი ნ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 138.

99 ი ქ ვ ე, გვ. 139.

ვასაკირში, რომ ნაზ დედათა ევლინები, არც დღე, არც ერთი ღამე, არც მოკლე წუთი, შენი ქველმოქმედების გარეშე არ მიდის:... ერთად-ერთი რაც ღატაკ მორწმუნეს შეუძლია გააკეთოს, მას მეც მოვიმოქმედებ, შენს ზეციურ სახეს და უწმინდეს ღვთაებას ჩემს გულში უკუნითი უკუნისამდე ღრმად დავიმარხავ და შევინახავ"[100].

ამ სამადლობელი სიტყვების მიხედვით იზიდას არათუ ქალღმერთებში, არამედ მამრობით ღმერთებშიაც კი ტოლი არ ჰყავს, ყველაფერი მისგან წარმოდგება და მასვე ემორჩილება. კიდევ მეტი, მის წინაშე ქედს იხრიან და მასვე „ადიდებენ ზეციური ღმერთები, თაყვანს სცემენ ქვესკნელის ღმერთებიც". ამგვარად, იგი ყველა ზეციურ ძალზე მაღლა დგას.

ქრისტიანული ღვთისმშობელი, მართალია, ასეთი განუსაზღვრელი ყოვლისშემძლეობით არ ხასიათდება, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამ ეგვიპტური ღვთაების იზიდას შემდეგ ღვთაებრივი ყოვლისშემძლეობის აღსანიშნავი ეპითეტებით შემკობა, განდიდება ქალღმერთებიდან, გარდა ქრისტიანული ღვთისმშობლის—მარიამისა, არავის არ „დაუმსახურებია". ახალი რელიგიის — ქრისტიანობის წარმატებათა უზრუნველსაყოფად საჭირო იყო წარმართული ქალ-ღმერთების — არტემიდეს, იზიდას და ა. შ. — კულტის დაძლევა და მათ ადგილას თანამედროვეობისადმი უფრო შესაფერისი კულტების დანერგვა.

მაგრამ ძველი კულტების მექანიკური, ხელაღებით უარყოფის გზით დაძლევა შეუძლებელი იყო. ამიტომ იზიდას კულტიდან, რომელიც მაშინ ქრისტიანობის გარიჟრაჟზე ხმელთაშუა ზღვის-პირეთში არტემიდეს კულტთან ერთად ფართოდ გავრცელებული იყო, მათ ბევრი რამ ისესხეს და გადამუშავებული სახით ქრისტიანული ღვთისმშობლის კულტის შესამუშავებლად გამოიყენეს. ეს რომ მართლაც ასე მოხდა, ამაში ისიც გვარწმუნებს, რომ წმ. მარიამის სადღესასწაულო ჰიმნები ბევრ პუნქტში საერთოდ ემთხვევა იზიდასა და არტემიდეს სადიდებელ ჰიმნებს. ასე მოხდა არტემიდესა და იზიდას კულტის „დაძლევა". ამით ქრისტიანებმა თავიანთი რელიგიური მიღწევების სარბიელზე წინ კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგეს, რითაც საგრძნობლად შეუწყეს ხელი არტემიდეს, იზიდასა და სხვა კულტების თაყვანისმცემელთა ქრისტიანობაში მოქცევის პროცესს. ასეთი იყო მათი მიზანიც. საბოლოოდ საქმე მართლაც ისე მოხდა, როგორც

---

100 ა პ უ ლ ე ი უ ს ი, ოქროს ვირი, გვ. 266.

ამაზე ნ. რუმიანცევი შენიშნავდა, რომ „არტემიდე ეფესელმა და იზიდამ თავიანთი ახალი სახელით — მარიამით გაიმარჯვეს“[101].

იზიდას კულტისადმი „წმ. მარიამის“ კულტის უდავო, იდეური დამოკიდებულების შესახებ ყველაზე ავტორიტეტულ მოსაზრებებს ფ. ენგელისი გამოთქვამდა თავის წერილში ე. ბერშტეინისადმი 1882 წ. 10 მარტს. მისი შენიშვნით, იმპერიის დროს რომში „იზიდას კულტი“ ისე ფართოდ იყო გავრცელებული, რომ იგი იქ „სახელმწიფო რელიგიის ნაწილს წარმოადგენდა“. ასე იყო უკვე მაშინ, როცა ქრისტიანობა ისტორიულ არენაზე გამოვიდა. ამ დროს ეკლესიოსნების მეცადინეობით იზიდას კულტის რიგი ელემენტების „გაქრისტიანება“ ისე შესამჩნევი გახდა, რომ ფრ. ენგელსი თავის გამოკვლევებში ამ „ქალწულებს“, მარიამსა და იზიდას, ერთობლივი სახელწოდებით, დაწყვილებულად გვისახელებს. იგი წერს.... „რაც შეეხება ქალწულებს მ ა რ ი ა მ ს და ი ზ ი დ ა ს[102] ეს ის დეტალებია რაზედაც ადგილის [103] უკმარისობის გამო ვერ შევჩერდიო“. შემდეგ იქვე კიდეე უფრო საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული. :..„ მარიამის, ისე როგორც ყველა სხვა წმინდანთა, კულტი- გაცილებით უფრო გვიანდელ პერიოდს ეხება (იმ დროებას, როცა ანგარებიანმა ხუცებმა პოლითეისტურ გლეხობას წმინდანების სახით მათი საყვარელი ღმერთ-მფარველები დაუბრუნეს) ვიდრე ჩემს მიერ განხილული“[104]... და ა. შ.. ფრ. ენგელისის ამ მოსაზრებებიდან ცხადად ჩანს არა მხოლოდ ის თუ საიდან არის ნაწარმოები მარიამის პერსონაჟი, არამედ. და რაც მთავარია, თუ რა მოტივებით ხელმძღვანელობდნენ ეკლესიოსნები ახალი ღვთისმშობლის ფაბრიკაციისას.

მარიამის კულტის გენეზისის შესახებ საყურადღებო შეხედულებებს შემდეგში ზოგიერთი არამარქსისტი მკვლევარიც გამოთქვამდა. მაგალითად, დრევსი (გერმანელი მკვლევარი) იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უძველესი ღვთისმშობლები „ისე აღსდგნენ მარიამის კულტში, რომ შეიცვალა მხოლოდ სახელწოდება და ქრისტიანული ელფერი მიიღო“[105].

ა. დრევსის დასკვნა, რომ მარიამის კულტში „ძველი ღვთისმშობლები აღსდგნენ,“ ანდა აქ თითქოს უბრალოდ სახელწოდების შეც-

---

101 ნ. რ უ მ ი ა ნ ც ე ვ ი, იქვე, გვ. 148.

102 ლაპარაკია მის შრომაზე-ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა. (ხაზი ჩემია — ს. ს.).

103 რედაქციის შენიშვნით ამ შემთხვევაში მხედველობაშია ენგელსსა და ბერშტეინს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ენგელსის ამ შრომაზე იხ. К. Маркс и фр. Энгельс, т. 35., соч., стр. 436.

104 ი ქ ვ ე, გვ. 238.

105 А. Д р е в е, Миф о деве Марии, 1929, стр. 93.

ვლასთან გვაქვს საქმე, სავსებით მართებული არაა. თუ რა გზით განხორციელდა წარმართული ქალღმერთების კულტზე ქრისტიანული ღვთისმშობლის მარიამის გამარჯვება, მოკლედ ზემოთ აღნიშნული გვაქვს.

ამჯერად ფრ. ენგელსის ზემოთ მოტანილი მოსაზრებებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ და ისევ უნდა ავღნიშნოთ, რომ „ანგარებიანმა ხუცებმა" აღნიშნული კულტების პირწმინდა რესტავრაცია კი არ მოახდინეს და არც მარტო სახელწოდების შეცვლით დაკმაყოფილდნენ, არამედ ყოველივე ის, რაც ძველ კულტებში სიცოცხლისუნარიანი და ხალხთა რელიგიურ შეგნებაში ღრმად დანერგილი იყო, გადმოიღეს და ახალი რელიგიის, ქრისტიანობის მოთხოვნათა შესაბამისად გადამუშავებული სახით გამოიყენეს. ასე შემუშავდა ახალი ღვთისმშობლის-მარიამის კულტი. მართლაცდა მაშინ, როცა პოლითეისტური ქალღმერთების კულტი მათ ეროვნულ ფორმულებს ვერ სცილდებოდა, წმ. მარიამი კოსმოპოლიტურ წმინდანად (და შემდეგ, როგორც ეს კათოლიკურმა ეკლესიამ მოიმოქმედა, სრულ ღვთაებად) გამოცხადდა, ე. ი. მთელი მაშინდელი სამყაროს ხალხთა (ყოველ შემთხვევაში რომის იმპერიის მაინც) მფარველ ღვთაებრივ არსებად დაისახა.

ასევე, იმავე მიზნებით, „ანგარებიანმა ხუცებმა" (ენგელსი) „წმ. მარიამს", როგორც ეს ქრისტიანულ საღვთო წერილებსა და გადმოცემებშია მოცემული, ამქვეყნიური ცხოვრების „ბიოგრაფიაც შეუთხზეს. „ბიოგრაფიაში" მოცემულია მის მშობლებზე (იოაკიმესა და ანას), მარიამის ამქვეყნიურ ცხოვრება-მოღვაწეობის ღირსშესანიშნავ მომენტებსა და, ბოლოს მისი „მიძინების" (გარდაცვალების) შემდეგ ზეცად ამაღლებაზე.

რა თქმა უნდა, მარიამის „წინაპარი" ღვთისმშობლები ასეთ ნიშნებსა და „ბიოგრაფიულ" სიზუსტეებს დიდად მოკლებულნი არიან.

სახელწოდება „მარიამი" ძველი აღთქმასა და სხვა არაქრისტიანულ რელიგიურ გადმოცემებში მსგავს უთუოდ ყურადღებას იპყრობს ისეთი გარემოება, რომ რელიგიურ-მითიური პერსონაჟები „მარიამის" სახელწოდებით („მარიამი" — მთლიანი ან ოდნავ შეცვლილი დასახელებით) ცნობილი იყო ძველი აღმოსავლეთის რელიგიებში, ე. ი. ქრისტიანობის წარმოშობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე.

მაგალითად, ბიბლიის ერთ-ერთ წიგნში („გამოსვლათა") მოხსენებულია ვინმე წინასწარმეტყველის ქალის—მარიამის შესახებ, რომელიც ჩვეულებრივი დედაკაცი კი არაა, არამედ საღვთო მოღვაწეა. ღმერთთან დაახლოებული დასის წარმომადგენელი, ღვიძლი და მო-

ესა და ჯონის და ი. შ. მარიამი აქ ღმერთის მიმართ სამადლობელი რიტუალის მოთავედ გვევლინება იმ დახმარებისათვის, რომელიც მან ფარაონისაგან დევნილ ისრაელთ აღმოუჩინა. ამასთან დაკავშირებით... „მიიღო (ე. ი. აიღო) მარიამ წინასწარმეტყველმა დამან აჰრონისაგან: ბობღანი[106] ხელით თვისთა, და განვიდოდეს ყოველნი დედანი მისთანა ბობღნებითა და მძღობრითა[107] უპირებდა მათ მარიამ და ეტყოდა: უგალობდით უფალსა რამეთუ დიდებით დიდებულ არს, მხედრები და უნები შთათხია ზღვასა“[108].

ზემოთ (შობის დღესასწაულის წარმოშობასთან დაკავშირებით) აღნიშნული გვაქვს, თუ რა საოცარი, საყურადღებო მსგავსებას აქვს ადგილი ქრისტიანობამდელ რელიგიებში ღვთაებათა დედებს შორის. თავის მხრით ქრისტიანული ღვთისმშობლის „ბიოგრაფია“ და სახელწოდებაც „მარიამი“ რომ ძველ ღვთაებათა დედების სახელებს და მეტადრე კი მათ თავვადასავალს მნიშვნელოვან მომენტებში ემთხვევა, ეს შემთხვევითი არაა. სწორედ ამ გარემოებას ეყრდნობოდა გერმანელი კომუნისტი მკვლევარი ალფა და ომეგა (ფსევდონიმია), როცა ქრისტიანული ღვთისმშობლის სახელწოდების ტრანსფორმაციის გამო საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამდა. იგი წერდა: „დედა ღვთისამ ათასი წლის მანძილზე შეასრულა რთული როლი: მაიას სახით — ინდოეთის ცეცხლის ღმერთის აგნისას დედისა, მაიასი — ბუდას დედისა, მაისი — ბერძნული ღვთაებრივი მოციქულის ჰერმესის დედისა, მაირის — ბერძნული ცეცხლის ღმერთის ჰეფესტის მეუღლისა, მირის — სპარსული ქალწული დედისა, მირასი — გაზაფხულის სირიული ღვთაების ადონისის დედისა და მარიამისა — ესო ნავინის დედისა. ქრისტიანულმა ეკლესიამ ეს, ისე როგორც სხვა მრავალი, წარმართული ღმერთქალიც აითვისა და თავისი მიზნებისათვის გამოიყენა“[109].

ამგვარად, ქრისტიანებისათვის ესოდენ სათაყვანებელი „წმ. მარიამი“ არ წარმოადგენს ქრისტიანთა პანთეონს, საკუთარ წმინდანს და არც ერთადერთ ღვთისმშობელ დედას. როგორც ვნახეთ, რელიგიის ისტორია უამრავ ასეთ „ღვთისმშობლებს“ გვისახელებს, რომლებიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხალხთა წარმოდგენაში მანამდე არსებობდნენ ვიდრე ისინი დრომოჭმულნი არ გახდნენ. მაშასადამე, ქრისტიანული ღვთისმშობელი, წინააღმდეგ ეკლესიოსნების მტკიცე-

---

106 საკრავი იარაღია — ს.ს.

107 ე. ი. მხიარულებით.

108 დაბადება (ბიბლია), თავი IIII (15), თბილისი, 1884, გვ. 140.

109 ა ლ ფ ა ო მ ე გ ა, დასახ. შრომა, გვ. 37.

ბისა, სხვა არაფერია თუ არა პოლითეისტურ რელიგიათა ქალღმერთების თუ წმინდანების უფრო დახვეწილი სახეობა, რომელიც ეკლესიისნებმა მიწიერი „ბიოგრაფიათა“ და ახალი საკულტო ხასიათის ნიშანთვისებებით შეავსეს.

მითიური, „წმ. მარიამის“ ამქვეყნიური „თავგადასავლის“ (მის გარ-გარდაცვალებამდე ანუ „მიძინებამდე“ ჩათვლით) უმთავრესი მომენტების აღსანიშნავად და პატივსაცემად დაწესებულია რელიგიური დღესასწაულები. ამ დღესასწაულების ფორმირება, როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმისა და სტილის მხრივ, შესაბამისი წარმართული ტრადიციების დიდი გავლენით ხდებოდა.

ქვემოთ განვიხილავთ ღვთისმშობლის კულტის მხოლოდ უმთავრეს დღესასწაულებს. ასეთებია თავისი თარიღებით: შობა ღვთისმშობლისა 8 (21) სექტემბერს, ტაძრად მიყვანება ღვთისმშობლისა 21 ნოემბერს (4 დეკემბერს), ხარება —25 მარტს და მიძინება ღვთისმშობლისა (მარიამობა) 15 (28) აგვისტოს.

ეს დღესასწაულები ქრისტიანთა ყოფაცხოვრებაში უმთავრესად მხოლოდ IV—V საუკუნეებიდან ჩნდებიან, ეკლესიისნები კი ირწმუნებიან, რომ ამ დღესასწაულების გამართვა თითქოს ქრისტიანობის წარმოშობისთანავე დაიწყო. მაგრამ ეკლესიისნების ეს მტკიცებანი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, რაც თუნდაც იქიდანაც ჩანს, რომ, ქრისტიანულ ეკლესიას, ქრისტიანობის წარმოშობიდან თითქმის მთელი ხუთი საუკუნის განმავლობაში, არათუ მარიამის, არამედ თვით იესო ქრისტეს დაბადების თარიღიც კი არ მოეპოვებოდა. როგორც ცნობილია, კანონიკურ სახარებებში მარიამის „დაბადებისა“ და „მიძინების“ (გარდაცვალების) შესახებ სრულიად არაფერია ნათქვამი.

ბუნებრივია, რომ „წმინდა მარიამის“ შესახებ ახალი ლეგენდების შეთხზვა-გავრცელება მისი მიწიერი „ბიოგრაფიის“ შესავსებად ეფესის (431 წ.) მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ უნდა გაჩაღებულიყო. ამ კრებაზე იგი საბოლოოდ აღიჭურვა „ღვთისმშობლის“ ტიტულით, რის გამოც საჭირო იყო ამ ეპითეტის შემდგომი განმტკიცება.

ზემოხსენებული მოსაზრებებით ეკლესიის მამებმა, ამჯერად, მარიამის „ბიოგრაფიის“ შესადგენად უკვე აპოკრიფული, უარყოფილი ქრისტიანული ლიტერატურით სარგებლობაც კი იკისრეს. ერთ-ერთ ასეთ წყაროს იაკობის პროტოევანგელო“ (ანუ „იაკობის ისტორია მარიამის დაბადების შესახებ“) წარმოადგენს, სადაც მარიამის ყრმო-

ბაზეა მოთხრობილი. ამ ნაწარმოების მიხედვით, მარიამის დაბადების ლეგენდის შინაარსი ასეთია: „ოდესღაც ქალ. გალილეიაში ცხოვრობდა ღრმა მოხუცი უშვილო ცოლ-ქმარი, მეფე დავითის შთამომავალნი იოაკიმე და ანა. ისინი მხურვალედ ევედრებოდნენ ღმერთს, რომ მათთვის შვილი მიეცა. ღმერთმა ისმინა მათი ვედრება და „ორმოცდაათი წლის ცოლქმრობის შემდეგ დაებადათ ქალიშვილი მარიამი. როცა მას სამი წელი შეუსრულდა, მშობლებმა ღმერთისადმი მიცემული აღთქმის შესასრულებლად იგი იერუსალიმის ტაძარში მიიყვანეს და იქ აღსაზრდელად და ღვთის მსახურებისათვის დატოვეს“[110]. ამ ლეგენდიდან მეხუთე საუკუნეში ეკლესიისნებმა ორი მომენტი — „დაბადება“ და „ტაძრად მიყვანება“ დიდად ღირსშესანიშნავ მოვლენებად გამოაცხადეს. „დაბადების“ დღის აღსანიშნავად, როგორც აღვნიშნეთ, 8 სექტემბერი (ძვ. სტ.) და „ტაძრად მოყვანების“ აღსანიშნავად 21 ნოემბერი (ძვ. სტ.) დააწესეს.

ამ თარიღების შესახებაც ახალი აღთქმის მოთხრობებში არსად არ არის მოხსენებული. ცხადია, ყოველივე ეს ეკლესიისნების თვითნებობის ნაყოფია, რომლის ძირითად მიზანს მორწმუნეთა თვალში მარიამის ღვთაებრივი ავტორიტეტის ამაღლება და მისი კულტის შინაარსის გამრავალფეროვნება შეადგენდა.

ქრისტიანული ღვთისმშობლის „დაბადების“ შესახებ ლეგენდები ძველი აღთქმის მითებიდანაა შედგენილი, ამ რელიგიური ზღაპრის ძირითადი იდეები ადრინდელმა ქრისტიანებმა ბიბლიური (ძველი აღთქმის) გადმოცემებიდან აიღეს და საკუთარი ლეგენდები შეადგინეს. ეკლესიისნებმა ეს ლეგენდები, მითები, აგრეთვე ადრინდელი ქრისტიანების მიერ წარმართობიდან გადმოღებული მოსავლის აღების დამთავრებასთან დაკავშირებული დღესასწაულები გამოიყენეს თავიანთი „წმ. მარიამის“ დაბადების დღესასწაულის შემუშავებადაწესებისათვის.

ღვთისმშობლის ქრისტიანული კულტის დღესასწაულებიდან ყველაზე მეტი პოპულარობით „მარიამობა“ ანუ „ღვთისმშობლის მიძინება“ სარგებლობს. ე. წ. კანონიკურ სახარებებში, აგრეთვე სხვა ადრინდელ არააპოკრიფულ საღვთო წერილებში მარიამის გარდაცვალების შესახებ სრული დუმილი სუფევს. მაშასადამე, ცხადია, არც ე. წ. „მიძინების“, მარიამის კულტის ამ უმთავრესი დღესასწაულის, ხსენებაც არაა ამ წყაროებში. რომ ეს სწორად ასე ყოფილა, ამას მოწმობს თვით მაშინდელი ცნობილი საეკლესიო მოძღვრის, კიპროსის ერთ-ერთი ეპისკოპოსის ეპიფანეს სიტყვები: „დაე

---

[110] Б. И. Гладков, Толкование евангелия, 1909, стр. 57.

გამოიკვლიონ წერილები [111], ამბობდა იგი და ვერ იპოვიან იქ ცნობებს ვერც გარდაცვალებაზე მარიამისა, ვერც იმაზე, მოკვდა თუ არა ის, ვერც იმაზე, რომ დასაფლავებული არაა".

მარიამის „ბიოგრაფიის" ყველა მთავარი მომენტის შეკრება, მაშასადამე, მისი გარდაცვალების შესახებ ლეგენდების საჭიროება, ცხადია, ყველაზე მეტად დღის წესრიგში ეფესის საეკლესიო კრების შემდეგ წამოიჭრებოდა. ასეთი ლეგენდებიც მოინახა. იგი აღმოჩნდა ერთ-ერთ უცნობი ავტორის ნაწარმოების სახით „მარიამის მიძინების შესახებ". უფრო სწორად, ესაა IV საუკუნის დასასრულს ჩაწერილი ლეგენდა, რომელიც მარიამის უჩვეულო, უბრალო მომაკვდავთაგან განსხვავებული, გარდაცვალების შესახებ ზღაპართა კრებულს წარმოადგენს. ეს უცნობი ავტორი ყოველნაირად ცდილობს მარიამი ღვთაებრივ არსებად წარმოგვიდგინოს. მარიამის „მიძინებას". ამ ავტორის მტკიცებით, დასწრებია თვით იესო ქრისტე ანგელოსთა დიდი გუნდით და უამრავი სასწაულიც მომხდარა, კერძოდ იმ საღამოს გახსნილა ცა და იქ გამოჩენილა მარიამი ადამიანის სახით, ე. ი. ისიც ზეცად ამაღლებულა თავისი შვილის იესო ქრისტეს სასუფეველში და ა. შ.

საერთოდ ეს ლეგენდა რომ ქრისტიანული ღვთისმშობლის მარიამის სადღესასწაულო რიტუალის შესადგენად ეკლესიისნებისათვის ხელსაყრელ მონაცემებს შეიცავდა, და კიდევაც გამოიყენეს, ეს არავითარ დავას არ იწვევს. მაგრამ „მიძინების" დღესასწაულის რიგი იდეები და ფორმები (ცერემონიები, რიტუალები და ა. შ.) [112] ძველი რელიგიებიდან რომ არის გადმოღებული, ამის უარყოფა შეუძლე-

---

111. ე. ი. საღვთო წერილები — ს. ს.

112 თუ როგორ ადიდებდნენ რომის სამყაროში ფრიგიელ ქალღმერთს, ღმერთების „დიად დედას", კიბელას, ან როგორ ასრულებდნენ მის პატივსაცემ დღესასწაულს, ამის სურათს გვაძლევს ანტიკური ათეიზმის შესანიშნავი წარმომადგენელი ლუკრეციუსი:

„ის დიად დედად იწოდება-დედათ ღმერთების
და წარმომშობად ცხოველთა და კაცთა მოდგმისა.
მას უმღეროდნენ უძველესი ბერძენთ პოეტნი.
დაფის დაფდაფი და ხმაური-წინწილ-ებნისა
საყვირთა ბგერა სულ გარემოს შეაზრიალებს,
გულს ამღელვარებს სალამური ფრიგიულ ჰანგით,
ლახვრებიც მოაქვთ ეს ნიშანი ამძვინვარების,
ცოდვილი სული ურწმუნო ბრბოს, გული არ წმინდა
ძრწოლამ შეიპყროს დიად ღმერთის ძალის წინაშე".

იხ. ლუკრეციუსი. საგანთა ბუნებისათვის, თარგმანი ლათინურიდან პ. ბერაძისა, 1958, გვ. 54.

ბელია. მაგალითად, როგორც ცნობილია, ქალღმერთების — „ღმერთთა დედების“ პატივსაცემი დღესასწაულები („დაბადების“, „მიძინების“ და ა. შ.) ძველ აღმოსავლეთში თითქმის ყველა ქრისტიანობამდელი რელიგიური ტრადიციის უმთავრეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ამგვარად ეს ტრადიციაც არავითარ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანულ შემოქმედებას არ წარმოადგენს.

რაც შეეხება რელიგიურ იდეებს, ქალღმერთების მკვდრეთით აღდგომას, ზეცაში მათ ამაღლებას (როგორც ეს ზემოაღნიშნულ ლეგენდაში მარიამის მიმართაა განმეორებული), ესეც ძველი რელიგიური მითებია. ამგვარად, „მარიამის მიძინებისა“ და „გარდაცვალების“ ამბავიც წარმართული რელიგიური მასალებიდანაა ნაწარმოები. ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მისი „მიძინების“ თარიღის —15 აგვისტოს მიმართაც. როგორც აღნიშნული იყო, ირანული, და შემდეგ სომხეთში გადმონერგილი და დამკვიდრებული, ქალი-ღვთაების ანაიტის საპატივსაცემო დღესასწაულიც 15 ნავასარდს (აგვისტოს) იმართებოდა, ასევე აღინიშნებოდა კიბელას, ღმერთთა დიდი დედის, დღესასწაული. შორეული წარსულიდან მომდინარე ამ ტრადიციას რომის სამყაროში ქრისტიანობის ფორმირების დროსაც მიმართავდნენ, მათ შორის ადრინდელი ქრისტიანებიც, რომელთაც საკუთარი ღვთისმშობლის დღესასწაულები ჯერ კიდევ არ გააჩნდათ.

ამგვარად, ქრისტიანულმა ეკლესიამ, ზემოდასახელებული კულტების დაძლევისა და „გაქრისტიანების“ მიზნით, ეს თარიღიც შეინარჩუნა და იგი თავისი ღვთისმშობლის მარიამის მიძინების დღედ გამოაცხადა.

ქრისტიანული ეკლესიების თანამედროვე იდეოლოგიურ მოღვაწეობაში წმ. მარიამის კულტსა და დღესასწაულებს კვლავინდებურად დიდი ყურადღება ეთმობა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ წმ. მარიამის კულტის პრაქტიკაში ახალი ნაბიჯებიც გადაიდგა. თანამედროვეობის კარნახის შესაბამისად კულტის მსახურებმა წმ. მარიამის კულტში მეტნაკლები მოცულობით (ძირითადი ქრისტიანული მიმართულებების მიხედვით) გარკვეული ცვლილებები, დამატებები შეიტანეს, ე. ი. თანამედროვეობის სულისკვეთებასთან შეფარდებით ამ კულტის ერთგვარი მოდერნიზება მოახდინეს, რათა იგი უფრო ქმედითი გაეხადათ არა მარტო მათი რელიგიური სპეკულაციებისათვის, არამედ კიდეკ უფრო მეტად სოციალური დემაგოგიის წარმატებებისათვის.

თანამედროვე ეკლესიისნებიდან ასეთ მოღვაწეობაში ამჟამად წინა პლანზე კათოლიკური ეკლესია და მის ცენტრი ვატიკანი დგას.

როგორც ცნობილია, კათოლიკური ეკლესიის „სულიერმა მამებმა“ ყველა სხვა ქრისტიანულ მოღვაწეზე უმალ და უკეთ შესძლეს დანახვა იმისა თუ რა მძლავრ იდეოლოგიურ საშუალებას წარმოადგენს წმ. მარიამის კულტი მშრომელთა შეგნების რელიგიური გაბიაბრუების საქმეში. ამიტომაც კათოლიკურმა ეკლესიამ მორწმუნეთა თვალში წმ. მარიამის კულტის განდიდებისათვის ყველაზე მეტიც გააკეთა. ბუნებრივია, რომ ამ გარემოებამ დასავლეთში სხვა ფაქტორებთან ერთად ღვთაების დონემდე წმ. მარიამის ამაღლებამ უთუოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამის შედეგი იყო ის, რომ პირველად სწორედ ამ ეკლესიის წიაღში შემუშავდა რელიგიური იდეა „ანას“ („წმ. მარიამის“ დედის) მიერ თვით მარიამის უბიწოდ ჩასახვის შესახებ. ამ ახალი ლეგენდის მიხედვით მორწმუნეთა თვალში წმ. მარიამი პირველყოფილ ცოდვათა ტვირთისაგან თავისუფალ არსებად ისახებოდა, რაც ასე ძალიან ესაჭიროებოდა ხუცობას.

ეს მორიგი ხუცური ნაყალბევი, რომ თავის მხრივ წმ. მარიამიც მისმა დედამ ანამ უბიწოდ, მამაკაცთან შეუღლების გარეშე, ჩაისახა, ჯერ კიდევ XVII—XVIII საუკუნეების ბევრი კათოლიკის შეგნებაში მტკიცედ იყო დამკვიდრებული. ამ საკითხის შესახებაც საყურადღებო დასკვნებს გვაძლევს პ. ჰოლბახი თავის ნარკვევში „წმინდანთა გალერეია“, რომელიც პირველად 1770 წ. გამოქვეყნდა: „ბევრმა მათგანმა თავიანთი სინატიფით ამ საკითხში ისე შორს შესტოპა, რომ ამტკიცებენ თითქოსდა ეს დიდი წმინდანი თავისი განსაკუთრებული პრიველეგიის გამო „პირველყოფილი ცოდვებისაგან“ თავისუფალი დაიბადა, რასაც ადამის სხვა შვილნი დედის მუცლიდანვე იძენენ. ღვთისმოსავმა თავებმა მოისაზრეს, რომ დაუჯერებელი იქნებოდა, ღმერთს ლაქმოცხებული არსების მუცელში გაჩენა რომ ენდომებია: ამ ფანტაზიისაგან ზოგიერთი ბერის თავში მარიამის უბიწოდ ჩასახვის შესახებ მოძღვრება აღმოცენდა. ბევრი მათგანისათვის ეს შეხედულება სარწმუნოების ისეთ მნიშვნელოვან ნაწილად გახდა, როგორც ყველაზე უფრო სათაყვანებელი რელიგიური დოგმები“[113].

1859 წ. პაპმა პიუს IX-მ ზემოაღნიშნული რელიგიური შეხედულების თავისებური კანონიზაცია მოახდინა, შემოიღო ღვთისმშობლის კულტის ახალი დოგმატი. ამ დოგმატის მიხედვით ყოველი კათოლიკე ვალდებულია იწამოს, რომ მარიამი, რომელმაც უბიწოდ, სულიწმინდის ძალით თავის მუცელში იესო ქრისტე ჩასახა, თავის მხრივაც თავისმა დედამ ანამ უბიწოდ ჩასახვის შედეგად შვა. ამის გამო, ამბობს ეს დოგმა, მარიამი პირველყოფილ ცოდვათა ტვირთი-

[113] Поль Голбах, Галерея святых, 1937, стр. 31.

საგან" თავისუფალი დაიბადა[114]. ამასთანავე კათოლიკური „სულიერი მამები" აღარაფერს ამბობენ იმაზე იყო თუ არა ეს „ანა" წმინდანური წარმოშობის, ე. ი. „ღვთისმშობლის" ეს „მშობელი" თავის მხრივ იყო თუ არა „უბიწოდ ჩასახვის" შედეგად გაჩენილი? თუ მარიამის ამ დედის წმინდანურ წარმოშობასაც კი ვინმე „დაამტკიცებდა", მაშინ მაძიებელი გონება მისი, ანას დედის, დიდედის, და ა. შ. „წმინდანობის" საკითხს დასვამდა, მაგრამ ასეთი საჭირბოროტო ჩაცივების წინააღმდეგ კათოლიკ მოძღვართ, წინასწარ, ერთი საერთო პასუხი აქვთ გამზადებული: „საქმენი ღვთისანი გამოუკვლევლ არიან", ამიტომ ადამიანებმა კი არ უნდა იკვლიონ (რადგან ეს შეუძლებელია), არამედ იწამონ ის რასაც მათ საღვთო წერილები და გადმოცემები ან ეკლესიის ავტორიტეტული პირნი აუწყებენ.

თანამედროვეობასთან შეხამების მიზნით ამჟამად, ვიდრე წარსულში, კათოლიციზმი ყურადღებას აქცევს ღვთისმშობლის კულტის ახალი დღესასწაულებითა და დოგმებით შევსება-გადახალისებას. კათოლიკურ სამყაროში ისედაც პოპულარული (მეტადრე ქალთა მასებში) წმ. მრიამის-მადონას კულტი და მისი იდეოლოგიურ-რელიგიური გავლენა რომ უფრო ქმედითი გამხდარიყო, პაპმა პიუს XII ახალი დოგმატი გამოაქვეყნა. ამ მორიგი დოგმატით ყოველმა მორწმუნემ უნდა აღიაროს, რომ წმ. მარიამის ჯერ სული ამაღლდა ზეცად, ხოლო შემდეგ სხეულიც და ისინი ზეცაში შეერთდნენ. იმავე პაპმა წმ. მარიამის კულტის განმტკიცების მიზნით 1954 წ. წმ. მარიამის, როგორც „ზეციური დედოფლის", ახალი დღესასწაული დააწესა.

ამჟამად დასავლეთ ევროპის კათოლიკური ეკლესია, ღვთისმშობლის კულტის კალენდარულ დღესასწაულებთან ერთად, დიდ რეკლამას უკეთებს ე. წ. „ლურდის სასწაულს": 1858 წ. ლურდის მახლობლად 14 წლის გოგონას ღვთისმშობელი „გამოეცხადა". „ლურდის სასწაულის" ასწლიანი იუბილე, რომელიც დიდის ამბით 1958 წ. აღინიშნა, კათოლიკური ეკლესიის რელიგიურ-პოლიტიკური პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი გახდა. ამ ადგილისაკენ მიეშურებიან ათასობით ავადმყოფი და დასახიჩრებული მორწმუნენი იმის რწმენით, რომ ლურდის წყარო თავისი სასწაული მოქმედი თვისებით ყოველგვარ ავადმყოფობას განკურნავს.

---

114 მართლმადიდებლური ეკლესია არ იზიარებს ამ დოგმატს. იგი ამტკიცებს, რომ მარიამიც არ იყო „პირველყოფილ ცოდვათა ტვირთისაგან „თავისუფალი" — ს. ს.

თანამედროვე მართლმადიდებლური ეკლესია რელიგიურ მოდერნიზმს კათოლიკურთან თუ პროტესტანტობასთან შედარებით (ღვთისმსახურებისა და სარწმუნეობის დარგში) გაცილებით ნაკლებად მიმართავს. ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანულ დოგმატიკაში მას ჯერჯერობით არავითარი ცვლილება-დამატება არ შეუტანია და კვლავინდებურად „ორთოდოქსალური" ჭეშმარიტი ქრისტიანობის დამცველთა როლში გვევლინება. ამ მხრივ სსრ კავშირის ეკლესიები, დანარჩენი მართლმადიდებლური ეკლესიებისაგან, რამდენადმე გამოირჩევიან. მათ მოღვაწეობაში ზოგიერთი ცვლილება მოხდა. უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია მათი ლოიალური დამოკიდებულება საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ, დადებითი ნაბიჯები მშვიდობის სასარგებლოდ და ომის პოლიტიკის წინააღმდეგ დემოკრატიულ მოძრაობაში და სხვ.

მაგრამ ეს სიახლენი არსებითად პოლიტიკური მოღვაწეობის სფეროს განეკუთვნებიან და სრულიადაც არ ზღუდავთ მათ იმაში, რომ ისეთივე გულმოდგინეობით აწარმოონ ქრისტიანობის ძირითადი იდეების პროპაგანდა და ძველი ტრადიციების დაცვა. როგორც მათი წინამორბედები ოქტომბრის რევოლუციამდე. იგივე ითქმის წმ. მარიამის კულტის მიმართაც. ისინი მას (წმ. მარიამს) ამჟამადაც გვისახავენ არა მარტო ტრადიციული ქრისტიანული ერების, არამედ მთელი კაცობრიობის მხსნელად. ამასთანავე მარიამის ამ ფუნქციას არა მარტო თეოლოგიის ძველი არსენალიდან აღებული „არგუმენტებით" ასაბუთებენ, არამედ ახლებური კომენტარითაც.

არცთუ ისე შორეულ წარსულში ეპისკოპოსი ლეონიდი ღვთისმშობლის „დაბადების" დღეს, თავის სამოძღვრებო ქადაგებაში, ამბობდა „...დაიბადა დღევანდელსა დღესა ყრმა მარიამი და სოფელი აღივსო სიხარულით, ვინაიდან მოიპოვა მან (სოფელმა) მშობელი ცისა და ქვეყნისა მეფისა"... მისივე განმარტებით ეს დღე სასიხარულოა იმითაც, რომ „...სამშობლო ჩვენი (ე. ი. საქართველო — ს. ს) იყო და არის ამ ნეტარი ყრმის წილხვედრიო"[115].

თანამედროვე ქართული ეკლესიაც „წმ. მარიამში" კელვავინდებურად ქართველი ერის პირველ მეურვეს და მოწყალეს ხედავს და მას მთელი სასოებით მიმართავს: „აცხოვნე და შეიწყალე ღვთით დაცული ერი ჩვენი და მეუფობა მისი"[116].

რაც შეეხება რუსულ მართლმადიდებლობას, იგი, თავის მხრივ, „წმ. მარიამს" რუსი ხალხის მფარველად თვლის. ამიტომაც მათი

---

115 ქადაგებანი, 1913. № 9. გვ. 8.

116 იხ. ლოცვანი, 1963, თბ., გვ. 128, 129.

განმარტებით „ღვთისმშობლის მართლმადიდებლური თაყვანისცემა“ რუსეთში განსაკუთრებით „ღრმაა და მყარი“. ერთი თანამედროვე აპოლოგეტის განმარტებით, „რუსული მართლმადიდებლური შეგნება ყოველთვის გამსჭვალულია მისი მფრაველობისა და მოსარჩლეობის რწმენით და ეს რწმენა რუსი ხალხის მრავალსაუკუნოვან ვამოცდილებას გამოხატავს, რომელმაც არაერთგზის შეიცნო ღვთისმშობლის ბარაქიანი შემწეობა საერთო სახალხო და პირად ცხოვრებაში“[117]. (ხაზი ჩვენია — ს. ს.). ამგვარად, ეს ავტორი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ ღვთისმშობელი ყველა განსაცდელის, როგორც მტრის თავდასხმების, ასევე სტიქიური უბედურების, დროს ხალხის მფარველი იყო და ა. შ.

რა თქმა უნდა, ამ ხუცური მონაჭორების საუკეთესო უარყოფას, სხვებზე რომ არ ვილაპარაკოთ, თვით ამ ორი ერის—რუსი და ქართველი ხალხის ისტორია წარმოადგენს. ამ ერებმა, განსაკუთრებით ქართველმა ერმა, მუსულმანური სამყაროს ურდოებისაგან უამრავი ტანჯვა წამება, უდიდესი მატერიალური ზიანი გადაიტანეს — წმ. მარიამი კი რატომღაც ყოველთვის სდუმდა.

აღნიშნული ეკლესიების იდეოლოგები, გარდა ზემოაღნიშნულისა, წმ. მარიამს საერთო-საკაცობრიო „მხსნელის“, მაცხოვნებლის ნიშანსაც მიაწერენ... „უწმინდესი ქალწულის მარიამის დაბადება, თანამედროვე რუსული ეკლესიის აღიარებით, მომავალში ადამიანთა ხსნის პირველი წინასწარ მაუწყებელი იყო“. ამასთანავე დასძენენ, რომ მისი „შობის“ დღესასწაული, რომელიც 8 (21) სექტემბერს იმართება, მთლიანად „ამ იდეითაა“ გამსჭვალული[118].

რა თქმა უნდა, თანამედროვე ეკლესიოსნებიც მარიამის უდიდეს „დამსახურებას“ იმაში ხედავენ, რომ მან კაცობრიობას „ძე ღვთისა“ უშვა. „ძე ღმერთისა“ ანუ ქრისტე, ყველა დროის აწმყოს, ნამყოსა და მყობადი ადამიანის ხსნისათვის დაიბადა[119], მაგრამ „ხსნის საწყისად“, განმარტავენ ისინი, მაინც მარიამი ითვლება. „ქალწული მარიამისაგან ძე ღმერთის განხორციელება, განმარტავენ ჩვენი თანამემამულე ეკლესიონები, ჩვენი ხსნის დასაწყისი იყო: ადამიანს თავისი საკუთარი ძალებით არ შეეძლო პირველი ცოდვის წყლულთაგან განკურნება და მარადიული სიკვდილისაგან თავის ხსნა; მას მხოლოდ

---

[117] Ж. М.П., 1955, № 12, стр. 55.
[118] Ж. М.П., 1959, № 9, стр. 57,
[119] იქვე. 1964, № 1, გვ. 24.

ღმერთით შეეძლო ეს. მაგრამ ეს ხსნა თვით ადამიანის მონაწილეობის გარეშეც არ შეიძლებოდა მომხდარიყო"[120]. (ხაზი ჩვენია — ს. ს.). მაშასადამე, ადამიანთა ხსნის, უკვდავების და ზეციურთან მათი შეერთებისათვის თვით ადამიანებისაგან საჭირო იყო მსხვერპლის გაღება. ამიტომ. განმარტავენ ისინი, მარიამმა ზეციური განგებით შვა „ღმერთკაცი". აქედან კაცობრივი ბუნებაა, რომელიც მან მარიამისაგან მიიღო, ეწამა და მოკვდა ხოლო ღვთაებრივი — ზეცაში ამაღლდა და ა. შ. ამგვარად, გვარწმუნებენ ეკლესიოსნები, „იესო ქრისტეს ამქვეყნიური თავგადასავალი და მისი სწავლება კაცობრიობის ხსნის დასაწყისი იყო, ხოლო „ხსნის" ამ საქმის უშუალო თანამონაწილეა ერთადერთი ადამიანური არსებაქალწული მარიამი"[121].

ასეთია თანამედროვე მართლმადიდებლობის რელიგიურ-ფილოსოფიური „არგუმენტაციები" მითიური წმ. მარიამის კულტის მნიშვნელობის როგორც ადამიანთა „ხსნის" თუ ცხოვრების" — პირველი წინასწარმეტყველების შესახებ. ყოველივე იმისაგან. რაც ღვთისმშობლის კულტის წარმოშობისა და მისი იდეოლოგიური არსის შესახებ ითქვა, ძნელი როდია იმის დანახვა. თუ რა დიდი ზიანი მოჰქონდა და დღესაც მოაქვს ამ კულტს მშრომელებისათვის არა მხოლოდ კაპიტალისტურ, არამედ დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებშიც. მაგრამ ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

ეკლესიოსნების რელიგიურ-იდეოლოგიურ მოღვაწეობაში, ქრისტიანული „შობისა" და „აღდგომის" დღესასწაულთა შემდეგ, ღვთისმშობლის — „წმინდა მარიამის" კულტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი ხუცობის ხელში მშრომელთა მასებზე რელიგიური გავლენა-განმტკიცების ერთ-ერთი ძლიერი იარაღია, ვინაიდან მასთან დაკავშირებულ დღესასწაულებს, ტრადიციებს ემოციური და იდეური ზემოქმედების მრავალნაირი ფორმა, საშუალება გააჩნია. ცხადია, ყოველივე ეს ეკლესიოსნებს დიდ სამსახურს უწევს არა მარტო რელიგიური იდეოლოგიის პროპაგანდის დარგში, არამედ მორწმუნეთა მასებიდან შემოწირულებათა სახით. რაც შეიძლება მეტი მატერიალური სახსრების ამოქაჩვაშიც.

ქრისტიანული პერსონაჟებიდან, საეკლესიო კალენდრით, იმდენი პერსონალური დღესასწაულები არავის არ გააჩნია, რამდენიც — „ქალწულ მარიამს". ე. წ. ათორმეტი უმთავრესი დღესასწაულიდან

---

[120] Ж. М. Я., 1964, № 1, გვ. 21.
[121] იქვე

ოთხი დღესასწაული მისი სახელობისაა: „შობა ყოვლად წმინდა ღვთისმშობლისა“ (8 სექტემბერი), „ტაძრად მიყვანება ღვთისმშობლისა“ —21 ნოემბერს, „ხარება“ —25 მარტს, „მიძინება ღვთისმშობლისა“ — „მარიამობა„ —15 აგვისტოს[122]. ამ დღესასწაულებიდან ყველაზე მეტი პოპულარობით, ხალხმრავლობით ე. ი. დამსწრეთა კონტიგენტით „მარიამობა“ ან „ღვთისმშობლის“ გარდაცვალების დღის აღსანიშნავი დღესასწაული გამოირჩევა.

ამასთანავე ქრისტიანულმა ეკლესიამ საუკუნეთა მანძილზე ღვთისმშობლის უამრავი სადიდებელი ჰიმნი, ლოცვა და რიტუალი შექმნა. ქრისტიანობის გავრცელების ქვეყნებში „წმ. მარიამის“ სახელობის უამრავი ტაძარი და ეკლესია არსებობს. აღსანიშნავია, რომ კაპიტალისტურ სამყაროში კვლავ აშენებენ ღვთისმშობლის სახელობის მოდერნიზებულ ეკლესიებს.

ღვთისმშობლის სადიდებლად შექმნილია (და იქნება) უამრავი საეკლესიო საგანი, ნივთი, სამკაული. პირველ რიგში აღსანიშნავ, მაღალი ოსტატობით შესრულებული დრამატიული გამომეტყველების ღვთისმშობლის სურათები, ხატები, ქანდაკებანი. ხელოვნების ამ საშუალებებთან ერთად ღვთისმშობლის ყოვლისშემძლეობის პოპულარიზაციის მიზნით საზღვარგარეთ ეკლესიოსნები ფართოდ მიმართავენ ბეჭდვით პროპაგანდას, საჯარო გამოსვლებს როგორც ეკლესიაში, ისე მის გარეთ. პრესასთან ერთად მაქსიმალურად გამოყენებულია რადიო, კინო, ტელეხედვა დ ა. შ. ბუნებრივია, რომ ღვთისმშობლის სახელობის დღესასწაულების დღეებში არათუ კაპიტალისტურ სამყაროში, არამედ ჩვენშიც კულტის მსახურნი ეწევიან „წმ. მარიამის“ შესახებ სახარებისეულ ლეგენდებისა და გადმოცემების პოპულარიზაციას, მათ განკარგულებაში არსებული ყოველგვარი საშუალებებით.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ქრისტიანული ეკლესიების ერთობლივმა მოღვაწეობამ მთავარი როლი შეასრულა იმ ყალბი რელიგიური წარმოდგენების, შეხედულებების დამკვიდრებაში, რომ „წმ. მარიამი“ არა მარტო ქრისტე ღმერთის მშობელია არამედ „ყოვლის შემძლე“, „ყოვლის მფარველი“, ყველას ქომაგი დედაც არის. მეტწილად სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის, რომ სოციალური უკეღმართობით დაბეჩავებულთა რელიგიურ შეგნებაში „წმ. მარიამს“ ქრისტიანულ ღმერთის შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს.

---

122 თარიღები ძველ სტილითაა — ავტ.

თუ როგორ ყავთ მორწმუნეთა მასებს, კერძოდ ქალებს, წმ. მარიამი წარმოდგენილი, ამაზე ბევრი გონებამახვილური და იდეოლოგიური თვალსაზრისით საყურადღებო შენიშვნა აქვს გაკეთებული ფრანგული ათეიზმის ბრწყინვალე წარმომადგენელს პ. ჰოლბახს. მორწმუნეთა შეხედულებით, განმარტავდა იგი, მარიამი „სამოთხეში ყველაზე მნიშვნელოვანი წმინდანია, ხოლო ქრისტიანთა ზოგიერთ დასში მას უფრო გულმოდგინეობით თაყვანს სცემენ ვიდრე ღმერთს, განსაკუთრებით ქალები და მდაბიონი"[123]. (ხაზი ჩვენია-ს. ს.).

პ. ჰოლბახის, ჩვენ მიერ ხაზგასმული, სიტყვები კიდევ უფრო მეტად საყურადღებოა იმით, რომ ქალთა მასებში და, საერთოდ. მდაბიოთა შორის (მაგრამ უფრო მეტად მაინც ქალთა შორის) წმ. მარიამს მეტი თაყვანისმცემლები ჰყავს. ეს სწორია, მაგრამ ამის ანალიზს ამ სიტყვების ავტორი არ იძლევა, არ მიუთითებს იმ მიზეზებზე თუ რითაა ეს გამოწვეული. ყველა კლასობრივი საზოგადოებაში. ვ. ი. ლენინის გამოთქმით, ქალი „მონის მონაა". მისი ხვედრი კიდევ უფრო მძიმეა ვიდრე მამაკაცებისა. ამიტომ ყველაზე უფრო მეტად რელიგია სწორედ ასეთ ქალთა მასებში ინახავს თავს, აქ ცოცხლობს იგი უფრო მეტხანს. ამასთანავე თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ადამიანთა მოდგმაში ქალები უმეტესობას წარმოადგენს და, უწინარეს, მათგანვე გადაეცემა მოზარდ თაობას სამყაროს შესახებ რელიგიური, უკუღმართი წარმოდგენები და იდეები. მაშინ ძნელი როდია იმის დანახვა, რომ ჩაგრულ ქალთა სახით ხუცობას ერთობ ხელსაყრელი „მოკავშირე" გააჩნია.

სოციალურ-ეკონომიური უკუღმართობით დაბეჩავებული ქრისტიანი ქალი წმ. მარიამში, როგორც მისი, ღვთაების დედა მშობელში (რომელმაც თავისი შვილის იესო ქრისტეს ამქვეყნიური დევნილი ცხოვრებისა და სიკვდილის გამო დიდი ტანჯვა, უსიამოვნება გადაიტანა), ყველაზე მახლობელ ღვთაებრივ არსებას ხედავს. სოციალური ჩაგვრითა და უთანასწორობით გამოწვეულ მძიმე უსიამოვნებებთან ერთად ქალი, როგორც დედა, ბუნებრივია მამაკაცებზე უფრო მეტად განიცდის თავისი შვილებისა და მახლობლების მძიმე ხვედრს — მონისა მონათმფლობელურ სამყაროში, ყმისა — ფეოდალიზმის ეპოქაში, კაპიტალის მონისა — ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

ასეთი, მეტად აუტანელი სოციალური ვითარების გამო, ყოველმხრივ დამცირებული, უუფლებო, თავისი შვილების. ქმრების, საერ-

---

123 პ. ჰ ო ლ ბ ა ხ ი, იქვე. გვ 95.

თოდ ყველა მახლობლის მძიმე ხვედრის გამო სასოწარკვეთილებითა და შიშით შეპყრობილი მორწმუნე ქალები, ბუნებრივია (რადგან სხვა გამოსავალს ვერ ხედავდნენ), მთელ თავიანთ იმედებს, ხსნას წმ. მარიამზე ამყარებდნენ. ბუნებრივია, ქალთა ამ მასების რელიგიურობაში მნიშვნელოვანი როლი ქრისტიანულმა ხუცობამაც შეასრულა. ქრისტიანობის გავრცელების ჟვეყნებში ქრისტიანული ეკლესია ხომ ყველა თავისი საშუალებით, დიდი გულმოდგინებით ავრცელებდა. ნერგავდა სოციალურად მავნე რელიგიურ იდეებს წმ. მარიამზე, რომ იგი „კურთხეული დედაა", რომ მან „სულის მაცხოვარი-მხსნელი"[124] შობა „ცოდვილთ ამა ქვეყნისა" და ა. შ.

ზემოაღნიშნული იდეებიდან ცრუმორწმუნეობით შეპყრობილ ქალთა გრძნობებზე რელიგიური სპეკულაციების საქმეში ხუცობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას სახარებისეული ლეგენდების იმ იდეას ანიჭებდა, რომ მარიამი, თავისი შვილის — ქრისტე-ღმერთის ამ ქვეყნად მოწამებრივი სიკვდილის გამო, დიდად „ტანჯული დედა" იყო, დიდი დევნა, შევიწროება განიცადა და სხვ. მაგრამ, ყოველივე ეს, „ამტკიცებენ" ეკლესიოსნები, „წმ. მარიამს" დიდი სულიერი მხნეობითა და მოთმინებით გადაუტანია და სამაგიეროდ აქ ტანჯვა-მწუხარებისათვის დიდი სიხარული და საუკუნო ცხოვრება დაუმსახურებია. იგი მოესწრო თავისი პირმშოს — იესო ქრისტეს „მკვდრეთით აღდგომას" — გაცოცხლებას და ზეცად თვით ამაღლებას, აგრეთვე თვითონაც „მიძინების" (ანუ სიკვდილის) შემდეგ ყოვლისშემძლეობის ძალით ზეცად იჭნა აყვანილი და ზეციურ დედოფლად გამოცხადებული[125].

3. ჰოლბახის სიტყვებით ვთქვათ, ამ „ზეციურ დედოფალს" —„აღთქმის კიდობანს", „სამოთხის კარებს" თუ „ცოდვილთა თავშესაფარს" იმგვარადვე მიმართავდნენ ლოცვებითა და შეპირებე-

---

124 სახელმძღვანელო საღმრთო რჯულის სწავლებაზე, 1889, თბილისი, გვ. 95.

125 თემცა მარიამის ამქვეყნიური ცხოვრების ასეთი ფინალისა და ტიტულის მოპოვების შესახებ სახარებები, როგორც ადრევე აღნიშნული გვქონდა, სრულიად სდუმან. შემდგომ შეთხზული ლეგენდების საფუძველზე ეკლესიოსნები „ამტკიცებენ", რომ მარიამის გარდაცვალებას თვითონ იესო ქრისტე დასწრებია და სიკვდილის წინ მისთვის შემდეგი სიტყვებით მიუმართავს: „წმიდაო დედაო, მოწვნულ არს ჟამი წასვლისა ჩემისა, რამეთუ ყოველნი მსახურნი ჩემნი ზეცისა ძალნი უჩილავენ ბჯენთა თანა ცისანი გ ე ლ ი ა ნ, რ ა თ ა მ ც ა ე გ რ ე შ ე გ ი ყ ვ ა ნ ე ვ ი თ ა რ ც ა დ ე დ ო ფ ა ლ ი მ ა თ ი" (ხაზი ჩემია — ს. ს.). იხ. საქართველოს სამოთხე, გვ. 16.

ბით, როგორც ღმერთს"[126]. ჰოლბახისავე მოსწრებული შენიშვნით „ღმერთს აქვს საფუძველი სასტიკი ეჭვიანობისა მისი ერთ-ერთი ქმნილებისადმი (ე. ი. „წმ. მარიამისადმი" — ს. ს.), ასეთი გადაჭარბებული თაყვანისცემის გამო". წმ. მარიამის ქრისტიანული კულტის განსაკუთრებით პატივსაღებ ობიექტად წარმოსახვის გამო მან სრულიად „დაჩრდილა" ღმერთი, ყოველ შემთხვევაში, მორწმუნეთა დიდი რაოდენობის შეგნებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო საკვირველი როდია, რომ მორწმუნეთა უმეტესობა, მეტადრე კი ქალები, წმ. მარიამში ისეთ ღვთაებრივ არსებას ხედავენ, რომელსაც ქრისტე ღმერთზე უკეთ გაეგება, როგორც მათი საერთო მძიმე ხვედრი, ისე მათი, როგორც შვილთა მშობლების, დედობრივი გრძნობებიც.

მაგრამ, როგორც ჩანს, წმ. მარიამი ისეთი ქველმოქმედი არსება როდია, რომელიც თავის მოწყალებას უსასყიდლოდ ეწეოდეს. თუმცა ამის შესახებ იგი არსად არაფერს „ამბობს", ე. ი. მისი თაყვანისმცემლებისაგან იგი არავითარი მსხვერპლის გაღებას არ მოითხოვს. სამაგიეროდ ხუცობა ირწმუნება, რომ თვით ღვთისმშობლის კულტი და მისი დღესასწაულების მთელი სისტემა (რაც მორწმუნეთაგან დიდი მატერიალური ხარჯების გაღებას მოითხოვს) ზეშთაგონების ნაყოფია. მაშასადამე, საჭიროა მსხვერპლი. ამასთანავე, ღვთისმშობლის გულის მოგებისათვის ეკლესიოსნების განმარტებით. საჭიროა არა მარტო ნივთიერი, მატერიალური მსხვერპლი (შესაწირავების სახით), არამედ სულიერიც. ამისათვის, ქადაგებენ ეკლესიოსნები, მორწმუნე ქალებმა ისეთივე სულიერი მხნეობით, მოთმინებით უნდა გადაიტანონ ამქვეყნიური ცხოვრების მთელი სიდუხჭირე და უკუღმარობა, როგორც ამის მაგალითი თვით ღვთისმშობელმა მოგვცაო.

რა თქმა უნდა, ეკლესიოსნებს მხედველობაში აქვთ სახარების ლეგენდები ქალწული მარიამის მიერ ამქვეყნად გადატანილი ტანჯული ცხოვრება, თავისი შვილის იესო ქრისტეს დევნა-წამებასთან დაკავშირებით. სამაგიეროდ, ამქვეყნიური ტანჯული ცხოვრებისათვის წმ. მარიამმა მოიპოვა დიდი ბედნიერება-სიხარული და, ბოლოს, ზეციური სასუფეველი — სამოთხე. ვინც წმ. მარიამს მიბაძავს, ასწავლის ეკლესია, ისინიც სულიერი მხნეობით აღიჭურვებიან და უდრტვინველად გადაიტანენ მიწიერი ცხოვრების ყველა სიძნელეს, ხოლო სიკდვილის შემდეგ ჯილდოდ სამოთხეში ცხოვრების საგზურებს დაიმსახურებენ.

---

126 ჰ. ჰ ო ლ ბ ა ხ ი. იქვე, გვ. 95.

ასეთია ქრისტიანული მორალის ერთ-ერთი მოთხოვნა, რაც არსებითად ჩაგრულ ქალთა ზნეობრივი ქცევის სახელმძღვანელოდაა განკუთვნილი, ხოლო ასეთი იდეების პროპაგანდის ნაცად საშუალებად ეკლესიოსნების ხელში ქალთა შეგნების რელიგიური გაბიაბრუებისათვის პირველ რიგში ღვთისმშობლის კულტის დღესასწაულები წარმოადგენენ.

ამ შემთხვევაში ძნელი როდია იმის დანახვა, რომ ასეთი რიგის მოწოდებებითა და მოთხოვნებით ეკლესიოსნები ყველა მშრომელს. მეტადრე კი ქალებს, ზეცის სახელით ექსპლოატატორებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობის, მორჩილების, თავიანთი მძიმე სოციალური ხვედრისადმი შეგუების მავნე იდეებს შთაგონებენ.

როგორც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, ღვთისმშობლის კულტს ქრისტიანული ეკლესიის იდეოლოგიურ მოღვაწეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია. ეს განსაკუთრებულობა არა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ ამ კულტის ობიექტს მდედრობითი სქესის ღვთაება წარმოადგენს, რომ მისი მიწიერი ცხოვრების „ბიოგრაფია" დრამატული მომენტებითაა აღსავსე და ა. შ. ეკლესიოსნებისათვის ამ შემთხვევაში მთავარი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ ეს კულტი თავისი იდეოლოგიით პირველ რიგში და უშუალოდ უფრო ქალთა შეგნებაზე ახდენს თავის მავნე რელიგიურ გავლენას ვიდრე მამაკაცებზე. ქალები კი, როგორც ცნობილია ისტორიულად და დღესაც, ოჯახის ფარგლებში „სარწმუნოების საქმეთა" პირველი გამგებელი და მომწესრიგებელია. ესაა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ყველა არასოციალისტური საზოგადოების ოჯახისა, რომლის გადმონაშთები აქა-იქ ჩვენშიაც კი შეიმჩნევა.

ბუნებრივია, კლასობრივ საზოგადოებებში ქალები სხვა საერთო ფაქტორების მოქმედებასთან ერთად მნიშვნელოვან რელიგიურ ზეგავლენას ახდენენ ოჯახის წევრებზე, არა მარტო მოზარდ თაობაზე (ისიც, ბავშვობის პერიოდიდან), არამედ — თავიანთ ძმებზე და ა. შ.

ამგვარად, ყოველგვარი რელიგიური კულტების, კერძოდ ღვთისმშობლის კულტის და მისი დღესასწაულების ტრადიციებად დანერგვაში ნებით თუ უნებლიეთ, მორწმუნე ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ამდენად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი რელიგიური ცრურწმენების გავრცელებაში ობიექტურად ეკლესიოსნებისათვის ხელსაყრელი მოკავშირის როლში გამოდიან. ამ გარემოებას უმნიშვნელო როლი როდი შეუსრულებია იმაში, რომ წმ. მარიამის კულტი ყველა ქრისტიანის (განურჩევლად სქესისა) სათა-

ყვანებელ არსებად არის აღიარებული. მართლაცდა, ყოველი ქრისტიანი წმ. მარიამში ხედავს ერთ-ერთ მხსნელსა და დედობრივ მზრუნველს. ამასთან ერთად, ყოველი ქრისტიანის წარმოდგენაში წმ. მარიამი თავის თაყვანისმცემელს არა მარტო თავისი მოწყალებითა და მადლით ეხმარება, არამედ საჭიროების შემთხვევაში მათთვის იგი უმაღლესი ღვთაების — ღმერთის (იესო ქრისტეს) წინაშეც შუამდგომლობს.

ამგვარად, წმ. მარიამი თავისი დედობრივი ავტორიტეტით ყველაზე საიმედო „შუამავალია“ — ადამიანსა და ღმერთს შორის. ასეთია მისი ერთ-ერთი „საღვთო ფუნქცია“, დანიშნულება „კაცთა წინაშე“, რასაც „საქართველოს სამოთხე“ ასე გადმოგვცემს: „იგი ღვთისა დედა არს შესავედრებელ ქრისტიანობისა ტკბილი მოღვაწე. სიქადულ, სიხარულ, საღმრთო და სიმტკიცე და მყუდრო ნავთსაყუდელი, მეოხე და მოღვაწე ყოვლისა, შუამდგომელი ღვთისა და კაცთა დედოფალთ ცათა და ქვეყნისა, ორთავე ერთად შეერთებული“[127]. (ხაზი ჩვენია — ს. ს.)

---

127 საქართველოს სამოთხე, გვ. 1.

შინაარსი

შესავალი 3

1. ქრისტიანული დღესასწაულების წარმოშობა . . 6

2. ქრისტიანული „ყოვლად წმინდა სამება“ 9

3. ქრისტიანული ღვთაების „შობის“ კულტი, მისი დღესასწაული და იდეოლოგიური არსი 25

4. ქრისტიანული „აღდგომის“ დღესასწაული 46

Степан Иванович Сахаров

О ПРОИСХОЖДЕНИИ И ИДЕОЛОГИЧЕСКОЙ СУЩНОСТИ НЕКОТОРЫХ ХРИСТИАНСКИХ ПРАЗДНИКОВ

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ო. გ ა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი
გამომცემლობის რედაქტორი ო. ს ა მ ს ო ნ ი ა
ტექრედაქტორი ნ. ბ ო კ ე რ ი ა
კორექტორი ლ. მ ა ი ს ურ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 23.4.1970; ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.3.1971;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ნაბეჭდი თაბახი 5.75; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 4,9; უე 00264; ტირაჟი 3000; შეკვეთა № 1089;

ფასი 53 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Академии наук ГССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15